სახელმძღვანელო

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტებისათვის

ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების კურსი

სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებები
(პოლიტოლოგია, სოციოლოგია, ჟურნალისტიკა)

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი 2017

ენობრივი კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

პროექტი
„არაქართულენოვან სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის სრული (ბეჭდურ-ელექტრონული) პაკეტი“

გამოცემულია ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ ”ღია საზოგადოება-საქართველოს” პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

Published with the financial support of the Open Society Georgia Foundation. The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material

ავტორი **ჭაბუკი ქირია**

კონცეფციის ავტორები: **კახა გაბუნია, ჭაბუკი ქირია**

რედაქტორი: **ქეთევან გოჩიტაშვილი**

ISBN

პოლიტოლოგია

თემა 1. ლიბერალიზმი და ნეოლიბერალიზმი

როგორც ჩამოყალიბებული პოლიტიკური დოქტრინა, ლიბერალიზმი XIX ს-ის დასაწყისში დამკვიდრდა. მისი ცალკეული ელემენტები შემდგომი საუკუნეების განმავლობაში ფორმირდებოდა. ადრეული ლიბერალიზმი გამოხატავდა სამრეწველო, საშუალო კლასის მისწრაფებებს. მას შემდეგ ლიბერალიზმი და კაპიტალიზმი ერთმანეთისაგან ფაქტობრივად განუყოფელია. იგი თავდაპირველად წმინდა პოლიტიკური დოქტრინა იყო, რომელიც აბსოლუტიზმს, ფეოდალურ პრივილეგიებსა და მათ ურთიერთსაწინააღმდეგო კონსტიტუციურ და წარმომადგენლობით მმართველობასაც აკრიტიკებდა.

XIX ს-ის დასაწყისისათვის განვითარდა **ეკონომიკური ლიბერალიზმი,** რომელიც პროპაგანდას უწევდა თავისუფალ კაპიტალიზმს და გმობდა სახელმწიფოს ყველანაირ ჩარევას ეკონომიკაში. XIX საუკუნის ბოლოს წარმოიშვა სოციალური ლიბერალიზმის ფორმა, რომელმაც გააცნობიერა სოციალური რეფორმებისა და ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა.

პიროვნების თავისუფლება ლიბერალიზმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, ვთქვათ, თანასწორობა, სამართლიანობა ან ძალაუფლება. ლიბერალები ამჯობინებენ ისაუბრონ „თავისუფლებაზე კანონის ფარგლებში“. ისინი ცხადად აცნობიერებენ, რომ ერთი ადამიანის თავისუფლებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სხვა ადამიანების თავისუფლებას და ეს შეიძლება გადაიზარდოს ქაოსში. ამ პრობლემის იდეალური გამოსავალი აქ წარმოგვიდგება შემდეგნაირად: ადამიანს უნდა მიეცეს თავისუფლების ის მაქსიმუმი, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის სხვა ადამიანების თავისუფლებას.

ლიბერალებს სწამთ, რომ სამყაროს აქვს შემეცნებითი ხასიათი. ამიტომ ისინი ამჯობინებენ ირწმუნონ ინდივიდის შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება. აქედან გამომდინარეობს ლიბერალებში პროგრესისა და ადამიანების შესაძლებლობების რწმენა, გადალახონ წინააღმდეგობები მშვიდობიანი გზით _ დისკუსიითა და მოლაპარაკებებით და არა ძალადობითა და ომით. თანასწორობა _ ინდივიდუალიზმი მოიცავს ადამიანთა თანასწორობის იდეას. იგი არ აღიარებს სოციალური თანასწორობის იდეას _ შედეგების თანასწორობას. ამის ნაცვლად იგი ამჯობინებს ისაუბროს „შესაძლებლობების თანასწორობაზე“, რაც საშუალებას აძლევს ხალხს საკუთარი პოტენციალის რეალიზებისა, რომელიც თავიდანვე არათანაბარია.

ლიბერალები დარწმუნებულნი არიან, რომ ტოლერანტობა ერთდროულად პირადი თავისუფლების, კულტურისა და სხვა დანარჩენის გარანტიაა. ჯანსაღი საზოგადოების შეუცდომელ მაჩვენებლად გვევლინება პლურალიზმი, ვინაიდან იგი ხელს უწყობს შეხედულებათა გაცვლას საზოგადოებაში და გავლენას ახდენს მათ განვითარებაზე, რადგან მხოლოდ ასეთ პირობებში გამოიცდება შეხედულებათა ჭეშმარიტება თავისუფალი საბაზრო იდეების ჩარჩოებში. უფრო მეტიც, ლიბერალიზმს სჯერა, რომ საწინააღმდეგო ინტერესებს შორისაც კი არსებობს „დამკვიდრებული ჰარმონია“. სწორედ ამიტომ საზოგადოებაში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ისეთი კონფლიქტი, რომლის გადაწყვეტაც არ შეიძლება.

ლიბერალიზმის ფილოსოფიის თანახმად, ძალაუფლება და ურთიერთობები დაფუძნებული უნდა იყოს საზოგადოებრივ თანხმობაზე. ყველანაირი მმართველობა უნდა ემყარებოდეს „იმ მხარეთა თანხმობას“, რომელთაც ისინი მართავენ. სწორედ ამიტომ ლიბერალიზმი ემხრობა დემოკრატიის დოქტრინას და პოლიტიკურ წარმომადგენლობას.

კონსტიტუციონალიზმი ლიბერალური იდეოლოგიისათვის ყოველთვის წარმოადგენდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წესრიგისა და სტაბილურობის გარანტს საზოგადოებაში. ყოველთვის არსებობს საშიშროება, რომ ხელისუფლებამ შეიძლება გამოავლინოს ტირანია. შესაბამისად, საჭიროა მისი შეზღუდვა. საკითხის გადასაჭრელად სახელმწიფოს ძალაუფლება ნაწილდება.

კლასიკური ლიბერალიზმი თავიდანვე ემხრობოდა ინდივიდუალიზმის უკიდურეს ფორმას. ამ ტრადიციის მქონე ადამიანები აღიქმებოდნენ, როგორც ეგოისტური არსებები, რომლებიც საკუთარი მიზნების მისაღწევად იღვწოდნენ და მხოლოდ თავიანთი თავის იმედი ჰქონდათ. კლასიკური ლიბერალიზმის იდეალად მიიჩნეოდა „მინიმალური სახელმწიფოს“ იდეა, რომელიც „ღამის გუშაგის“ ფუნქციას შეასრულებდა და თანამოქალაქეებს ყოველგვარი უსიამოვნო ქმედებისაგან დაიცავდა.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: *ლიბერალიზმი, თავისუფლება, ინდივიდუალიზმი, ტოლერანტობა, თანასწორობა, დემოკრატია.*

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

რისი სწამთ ლიბერალებს?

_____
_____

რას ემხრობოდა თავიდანვე კლასიკური ლიბერალიზმი?

_____
_____

რის გარანტს წარმოადგენდა კონსტიტუციური ლიბერალიზმი საზოგადოებაში?

_____
_____

რაზე უნდა იყოს დაფუძნებული ლიბერალიზმის ფილოსოფიის თანახმად ძალაუფლება და ურთიერთობები ?

_____
_____

რაში არიან ლიბერალები დარწმუნებულნი?

_____
_____

როდის განვითარდა ეკონომიკური ლიბერალიზმი?

_____
_____

4. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

ადრეული ლიბერალიზმი გამოხატავდა

ა. სამრეწველო კლასის ინტერესებს;
ბ. გლეხების ინტერესებს;
გ. არისტოკრატიის ინტერესებს;
დ. მუშების ინტერესებს.

ლიბერალებს სწამთ, რომ წინააღმდეგობების გადალახვა შეიძლება:

ა. ომის გზით;
ბ. კონფრონტაციის გზით;
გ. ძალადობის გზით;
დ. მშვიდობიანი გზით.

ლიბერალიზმის შემადგენელი ნაწილია:

ა. პიროვნების კონტროლი;
ბ. პიროვნების შეზღუდვა;
გ. პიროვნების თავისუფლება;
დ. დაჩაგვრა.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

შემდეგ ფაქტობრივად ერთმანეთისაგან კაპიტალიზმი ლიბერალიზმი მას და განუყოფელია

_____
_____

რწმენა პროგრესისა შესაძლებლობების აქედან ლიბერალებში და ადამიანების გამომდინარეობს

_____
_____

საზოგადოების მაჩვენებლად პლურალიზმი შეუცდომელ გვევლინება ჯანსაღი

_____
_____

6. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

აცნობიერებენ საფრთხეს სამართლიანობა ქაოსში თავისუფლება

პიროვნების .....ლიბერალიზმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, ვთქვათ, თანასწორობა, ... ან ძალაუფლება. ლიბერალები ამჯობინებენ ისაუბრონ „თავისუფლებაზე კანონის ფარგლებში“. ისინი ცხადად ....., რომ ერთი ადამიანის თავისუფლებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სხვა ადამიანების თავისუფლებას და ეს შეიძლება გადაიზარდოს ..... ამ პრობლემის იდეალური გამოსავალი აქ წარმოგვიდგება შემდეგნაირად: ადამიანს უნდა მიეცეს თავისუფლების ის მაქსიმუმი, რომელიც ..... არ შეუქმნის სხვა ადამიანების თავისუფლებას.

7. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

8. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. ლიბერალური	თავისუფლება
ბ. კლასიკური	დოქტრინა
გ. საკითხის	ხასიათი
დ. შემეცნებითი	გადაჭრა
ე. პოლიტიკური	ლიბერალიზმი
ვ. პიროვნების	იდეოლოგია

9. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 2. დემოკრატია

ტერმინი „დემოკრატია“ დაფუძნებულია ბერძნულ სიტყვაზე „კრატია“, რაც მმართველობას, ხელისუფლებას ნიშნავს. „დემოკრატია“ კი, შესაბამისად, _ „დემოსის ძალაუფლებას“ (დემოსი ნიშნავს „ხალხს“, თუმცა ბერძნები თავდაპირველად ასე უწოდებდნენ „სიღარიბეს“ ან „მასას“).

აბრაამ ლინკოლნი მოხსენებაში, რომელიც 1864 წელს გეტისბერგში ამერიკის სამოქალაქო ომის დროს წაიკითხა, საუბრობდა დემოკრატიაზე, როგორც „ხალხის მმართველობაზე ხალხიდან და ხალხისათვის“. ამ სიტყვებიდან ნათელია, რომ დემოკრატია აკავშირებს მთავრობას ხალხთან, მაგრამ თვითონ ეს კავშირი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით: საკუთრივ როგორც ხალხის ძალაუფლება; როგორც ძალაუფლება მათი, ვინც გამოვიდა ხალხიდან და როგორც მმართველობა ხალხის ინტერესებისათვის.

რა არის ხალხი? სახელდობრ, როგორი აზრია ჩადებული ხალხის მმართველობაში? რამდენად შორს შეიძლება და უნდა გავრცელდეს ხალხის ძალაუფლება?

დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია პოლიტიკური თანასწორობის პრინციპი.

როგორ სოციალურ დონეზე და როგორ სოციალურ ჩარჩოში უნდა გავრცელდეს ეს თანასწორობა? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვინ მოიაზრება ცნებაში „ხალხი“?

ერთი შეხედვით, პასუხი ნათელია: „დემოსში“ ან „ხალხში“ უნდა ვიგულისხმოთ ყველა ადამიანი ანუ ქვეყნის ყველა მაცხოვრებელი, თუმცა პრაქტიკულად ყველა დემოკრატიული სისტემა ზღუდავდა პოლიტიკურ მონაწილეობას და ამავე დროს ძალიან მკაცრად.

ძველი ბერძენი ავტორები დემოსში მოიაზრებდნენ უმრავლესობას _ ღარიბებს, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ საკუთრებას. ამიტომ აქ სიტყვა „დემოკრატია“ გამოხატავდა არა პოლიტიკური თანასწორობის იდეას, არამედ პოლიტიკური ბალანსის დარღვევას ღარიბების სასარგებლოდ.

ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში პოლიტიკური მონაწილეობა შემოიფარგლებოდა მოსახლეობის მცირე ნაწილით _ 20 წელს გადაცილებული მამაკაცებით. გამოირიცხებოდნენ ქალები, მონები და უცხოელები.

დასავლეთის ქვეყნების უმეტესობაში შემდგომშიც არსებობდა ამომრჩეველთა უფლებების მკაცრი შეზღუდვა, განსაკუთრებით ქონებრივი ცენზით ან ქალთა დისკრიმინაციით. დიდ ბრიტანეთში ამომრჩეველთა უფლება საყოველთაო მხოლოდ 1928 წლიდან გახდა, როცა ამომრჩევლის ყუთთან ქალები დაუშვეს.

აშშ-ში ამას მიაღწიეს 1960 წ-დან; მაშინ სამხრეთის ბევრ შტატში აფროამერიკელები პირველად დაუშვეს არჩევნებზე.

შვეიცარიაში ქალებმა არჩევნების უფლება მიიღეს 1971 წლიდან.

დემოკრატიის უმთავრესი კონცეფციები დაფუძნებულია პრინციპზე: „მთავრობა ხალხისაგან“. ეს ნიშნავს, რომ ხალხი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობით არსებითად მართავს თავის თავს და განსაზღვრავს საკუთარ და საზოგადოების ბედს. მაგრამ ამ მონაწილეობას აქვს სხვადასხვა ფორმა. თუ ჩვენ ვსაუბრობთ პირდაპირ დემოკრატიაზე, მაშინ ხალხის მონაწილეობაში იგულისხმება უშუალო და განუწყვეტელი მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში *რეფერენდუმის* მეშვეობით, *მასობრივი შეკრებებით.* დემოკრატიული მონაწილეობის ალტერნატიული და უფრო ჩვეულებრივი ფორმა არის

პოლიტიკური არჩევნები. აქ ჩნდება ე.წ. წარმომადგენლობითი დემოკრატიის დამახასიათებელი თვისება, როცა მოქალაქეები ირჩევენ მათ, ვინც მიიღებს გადაწყვეტილებას მათი სახელით.

არსებობს დემოკრატიის ისეთი მოდელებიც, რომლებიც ეფუძნება პრინციპს: „მთავრობა ხალხისათვის". აქ ხალხს უტოვებენ პირდაპირ ან ირიბად პოლიტიკური მონაწილეობის მცირე შესაძლებლობას.

დემოკრატიის ყველაზე გროტესკული ფორმის მაგალითია ე.წ. *ტოტალიტარული დემოკრატიები,* ფორმირებული ისეთი ფაშისტური დიქტატურის დროს, როგორიც იყო მუსოლინის და ჰიტლერის რეჟიმები. მათი სწრაფვა „დემოკრატიულობაზე" ეფუძნებოდა იმ იდეას, რომ მხოლოდ ლიდერს შეეძლო ხალხის ნამდვილი ინტერესის გამოხატვა. ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ „ჭეშმარიტი დემოკრატია" შეიძლება მხოლოდ აბსოლუტური დიქტატურის დროს. ზოგჯერ ამას წარმოადგენდნენ როგორც პლებიცისტურ დემოკრატიას.

შეიძლება გამოიყოს დემოკრატიის 4 სხვადასხვა მოდელი:

- კლასიკური დემოკრატია
- პროტექციული დემოკრატია
- განვითარების დემოკრატია
- სახალხო დემოკრატია

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: დემოკრატია, არჩევნები, დიქტატურა, რეფერენდუმი, ამომრჩეველი, ხელისუფლება, პოლიტიკა.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

რომელია დემოკრატიის ყველაზე გროტესკული ფორმა?

_____

_____

რაზეა დაფუძნებული დემოკრატიის უმთავრესი კონცეფციები?

_____

_____

რა არის დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი?

_____

_____

რომელ წელს დაუშვეს აშშ-ის სამხრეთის ბევრ შტატში აფროამერიკელები პირველად არჩევნებზე?

_____

_____

რა არის დემოკრატიული მონაწილეობის ალტერნატიული და ჩვეულებრივი ფორმა?

_____

_____

რას ნიშნავს ტერმინი „დემოკრატია“?

_____

_____

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ძველი ბერძენი ავტორები დემოსში მოიაზრებდნენ უმრავლესობას _ ღარიბებს, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ .....

სიტყვა „დემოკრატია“ გამოხატავდა არა პოლიტიკური ..... იდეას, არამედ პოლიტიკური ბალანსის დარღვევას ღარიბების სასარგებლოდ.

დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ..... თანასწორობის პრინციპი.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

დემოკრატიული ჩვეულებრივი მონაწილეობის ალტერნატიული და უფრო არის პოლიტიკური ფორმა არჩევნები.

_____

_____

პლებიცისტურ ზოგჯერ როგორც წარმოადგენდნენ დემოკრატიას ამას

_____

_____

ავტორები უმრავლესობას დემოსში ძველი მოიაზრებდნენ ბერძენი

_____

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

შესაძლებლობას, მაცხოვრებელი, დროს, თანასწორობა

ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ „ჭეშმარიტი დემოკრატია“ შეიძლება მხოლოდ აბსოლუტური დიქტატურის .....

როგორ სოციალურ დონეზე და როგორ სოციალურ ჩარჩოში უნდა გავრცელდეს ეს .....?
„დემოსში“ ან „ხალხში“ უნდა ვიგულისხმოთ ყველა ადამიანი ანუ ქვეყნის ყველა .....
აქ ხალხს უტოვებენ პირდაპირ ან ირიბად პოლიტიკური მონაწილეობის მცირე .....

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. ქონებრივი	არჩევნები
ბ. ქალთა	ბრიტანეთი
გ. პოლიტიკური	ცენზი
დ. ფაშისტური	ფორმა
ე. ალტერნატიული	დიქტატურა
ვ. დიდი	დისკრიმინაცია

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

9. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 3. სახელმწიფოს არსი

ტერმინის „სახელმწიფოს“ მიმართ არსებობს *იდეალისტური, ფუნქციონალური* და *ორგანიზაციული* მიდგომა.

იდეალისტური მიდგომა დამახასიათებულია ჰეგელის ნაშრომებისათვის, რომლებშიც სახელმწიფო ეთიკურ საზოგადოებას წარმოადგენს, გამსჭვალულს საერთო სიმპათიით. თუმცა სახელმწიფოს ეთიკურ კატეგორიაში განთავსებით იგი უძლური ხდება, გვიჩვენოს ზუსტი ზღვარი სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტებს შორის.

ფუნქციონალური მიდგომა სახელმწიფოსადმი იმაზეა ფოკუსირებული, თუ როგორია სახელმწიფო ინსტიტუტების როლი და მიზნები. აქ სახელმწიფოს მთავარი ფუნქციაა *საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება,* კერძოდ, სახელმწიფო წარმოგვიდგება, როგორც ინსტიტუტების კომპლექსი, რომელიც ამყარებს წესრიგსა და სტაბილურობას საზოგადოებაში.

რაც შეეხება ორგანიზაციულ მიდგომას, აქ სახელმწიფო წარმოგვიდგება მართვის აპარატის ყველაზე ფართო მნიშვნელობით. ეს არის ინსტიტუტების კომპლექსი, რომელთაც აქვთ აშკარად გამოხატული „სახალხო“ ხასიათი _ ის პასუხობს კოლექტიური საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციას და ფინანსდება საზოგადოების ხარჯზე.

თანამედროვე სახელმწიფოს წარმოშობა დაკავშირებულია ევროპასთან (XV-XVI სს), როდესაც აქ წარმოიშვა პირველი ცენტრალიზებული მართვის ორგანოები, რომლებმაც თანმიმდევრულად დაიქვემდებარა სხვა ინსტიტუტები და სტრუქტურები (როგორც სასულიერო, ისე არისტოკრატიული), ხოლო ვესტფალიის სამშვიდობო მოლაპარაკებაში (1680 წ.) პირველად იყო ფორმულირებული „სახელმწიფო სუვერენიტეტი“. სახელმწიფო მმართველობის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ყველა კანონის დაცვას და სჯის მათ დამრღვევებს, ე.ი. „კანონით დაშვებული ძალადობის“ მეშვეობით გამოხატავს თავის სუვერენიტეტს.

სახელმწიფო ხელისუფლებაზე ფართო ცნებაა. ხელისუფლება მისი ნაწილია. თუ სახელმწიფო არის ისტორიულად ჩამოყალიბებული და სამუდამო, ხელისუფლება არის დროებითი, რომელიც მოდის და მიდის. ხელისუფლება არის საშუალება, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო ახორციელებს თავის ნებას; ის სახელმწიფოს ტვინია, რომელიც ხელს უწყობს მის არსებობას და გამოხატავს იმათ პარტიულ მიდრეკილებებს, ვინც იმყოფებიან ხელისუფლების სათავეში.

პოლიტოლოგიის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ყოველთვის იყო სახელმწიფო ძალაუფლების ბუნების საკითხი. პოლიტოლოგიაში გამოყოფენ სახელმწიფოს ოთხ თეორიას: *პლურალიზებულს, კაპიტალისტურს, სახელმწიფო ლევიათანისა* და *პატრიარქალურს.*

პლურალიზებული სახელმწიფოს თეორია იხრება ლიბერალური ტრადიციისკენ. სახელმწიფო აქ წარმოგვიდგება როგორც „რეფერი“ საზოგადოებაში, რომელიც ყურადღებას არ აქცევს ან ნაკლებად აქცევს სახელმწიფოსა და მის ინსტიტუტებს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „ხელისუფლებას“.

სახელმწიფო შეიძლება შევადაროთ ფლუგერს, რომელიც შებრუნდება იმ მხარეს, საითკენაც მიუთითებს საზოგადოება.

თანამედროვე იერარქიული სახელმწიფოს იდეა წამოვიდა ფემინისტური თეორიიდან. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ფემინისტებს საკუთარი თეორია აქვთ სახელმწიფოს შესახებ. საერთოდ, ფემინისტები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ სახელმწიფოს, რადგან ისინი იკვლევენ მამაკაცის ბატონობას საზოგადოებაზე, რომლის ფესვებიცაა ოჯახური და ეკონომიკური ურთიერთობები. რა

თქმა უნდა, ზოგიერთი ფემინისტი არ ეთანხმება სახელმწიფოს საზოგადოებრივ გაგებას, ისინი ამტკიცებდნენ, რომ მამაკაცი არ ფლობს მონოპოლიას მოცემულ ძალადობაზე. უნდა ითქვას, რომ ფემინიზმმა გაამდიდრა დისკუსია სახელმწიფოს შესახებ სრულიად ახალი მიდგომებითა და საინტერესო კონცეფციებით.

ლიბერალური ფემინიზმის წარმომადგენლები, რომლებიც თვლიდნენ, რომ მიაღწევდნენ სქესების თანასწორობას საზოგადოებრივი ურთიერთობების თანმიმდევრული გადაწყობით, სინამდვილეში ემხრობიან სახელმწიფოს შესახებ პლურალისტურ მოსაზრებას. ისინი იქიდან გამოდიან, რომ როდესაც ქალს უარს ეუბნებიან იურიდიულ და პოლიტიკურ თანასწორობაზე, განსაკუთრებით ხმის მიცემასთან დაკავშირებით, სახელმწიფო უპირატესობას ანიჭებს კაცს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, სახელმწიფოს მაინც უჭირავს ნეიტრალური პოზიცია, რადგან ადრე თუ გვიან ამის გამოსწორება შეიძლება. ამიტომ ლიბერალური ფემინისტები დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ ყველა საზოგადოებრივ ჯგუფს (ქალების ჩათვლით) აქვს თანაბარი პოტენციალი სახელმწიფოს წინაშე და სწორედ ამიტომ შესაძლებელი ხდება საზოგადოებრივი სამართლის მიღწევა.

ამასთან ერთად, სახელმწიფო წარმოგვიდგება ღია ფერებში: ითვლება, რომ მისი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩარევით შესაძლებელია სქესების უთანაბრობის პრობლემის მოგვარება და საზოგადოებაში ქალის ადგილისა და როლის გამტკიცება.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: ნეიტრალური, პოტენციალი, ფემინიზმი, სახელმწიფო, ძალაუფლება, წესრიგი, საზოგადოება

_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

საიდან წამოვიდა თანამედროვე იერარქიული სახელმწიფოს იდეა?

_____

_____

რასთან არის დაკავშირებული თანამედროვე სახელმწიფოს წარმოშობა?

_____

_____

რისი ნაწილია ხელისუფლება?

_____

_____

რა იყო ყოველთვის პოლიტოლოგიის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა?

_____

_____

ვისი ნაშრომებისათვის არის დამახასიათებული იდეალისტური მიდგომა?

_____

_____

საითკენ იხრება პლურალიზებული სახელმწიფოს თეორია?

_____

_____

4. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

პოლიტოლოგიაში გამოყოფენ სახელმწიფოს:

ა. ოთხ თეორიას;
ბ. ორ თეორიას;
გ. სამ თეორიას;
დ. შვიდ თეორიას.

სახელმწიფო შეიძლება შევადაროთ:

ა. ბარომეტრს;
ბ. ფლუგერს;
გ. თერმომეტრს;
დ. პროპელერს.

ფემინისტები იკვლევენ:

ა. დიეტის ფორმებსა და სახეობებს;
ბ. გერონტოლოგიის საფუძვლებს;
გ. რასიზმის საკითხებს;
დ. მამაკაცის ბატონობას საზოგადოებაზე.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

ფემინისტური სახელმწიფოს იერარქიული წამოვიდა თანამედროვე თეორიიდან იდეა.

_____

_____

ლიბერალური სახელმწიფოს იხრება ტრადიციისკენ პლურალიზებული თეორია

_____

_____

ბატონობას ისინი საზოგადოებაზე იკვლევენ მამაკაცის

_____

_____

6. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

მიდგომებითა, ფემინიზმმა, დისკუსია, კონცეფციებით, შესახებ

უნდა ითქვას, რომ ..... გაამდიდრა ..... სახელმწიფოს ..... სრულიად ახალი ..... და საინტერესო .....

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. ლიბერალური მონოპოლიას
ბ. საზოგადოებრივი ორგანოები
გ. მართვის ურთიერთობები
დ. პლურალისტური დაცვა
ე. კანონის ფემინიზმი
ვ. ფლობს მოსაზრება

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

9. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 4. სახელმწიფოს ფორმები

ყველა არსებული კონცეფცია სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ დაკავშირებულია კითხვებთან:

- რა როლს თამაშობს სახელმწიფო?
- როგორია მისი ვალდებულებები, რითი უნდა იყვნენ დაკავებული სახელმწიფოები და რა ფუნქციები უნდა დარჩეს კერძო პირების ხელში.

ამ კითხვების გარშემო ბრუნავს როგორც საარჩევნო პოლიტიკა, ასევე პარტიული კონკურენცია.

გამოყოფენ სახელმწიფოს შემდეგ სახეებს:

- მცირე (მინიმალური სახელმწიფო);
- განვითარებადი სახელმწიფო;
- სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო;
- კოლექტივიზებული სახელმწიფო;
- ტოტალიტარული სახელმწიფო;

მცირე სახელმწიფო - „რაც შეიძლება ნაკლები სახელმწიფო“ - ყოველთვის იყო კლასიკური ლიბერალიზმის ლოზუნგი. ეს ტრადიცია თავისი ფესვებით მიდის „საყოველთაო მოლაპარაკების“ თეორიამდე, მაგრამ, ამის მიუხედავად, ის მაინც ნეგატიურ შეხედულებას გამოხატავს სახელმწიფოს მიმართ. იგი თვლის, რომ მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია ადამიანის ქცევები მოაქციოს განსაზღვრულ ფარგლებში და ამით დაიცვას ადამიანები, რათა მათ არ შეავიწროონ ერთმანეთის უფლებები. სახელმწიფო აქ გამოდის თავისი პროტექციონული ფუნქციით, რომელიც მდგომარეობს მსოფლიო წესრიგისა და სოციალური კეთილდღეობის დაცვაში, როდესაც ხალხი წყვეტს, თუ როგორ ურჩევნია ცხოვრება.

- პირველი და მთავარი ფუნქცია - სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შინაგანი წესრიგი;
- მეორე - მან უნდა აკონტროლოს შეთანხმებათა უზრუნველყოფა;
- მესამე - სახელმწიფომ უნდა დაიცვას ქვეყანა გარეგანი საფრთხისაგან.

ასეთი სახელმწიფოს ინსტიტუციონალური აპარატი მჭიდრო კავშირშია პოლიციასთან, სასამართლო სისტემასა და ჯართან, ხოლო ეკონომიკური, კულტურული და სოციალური სხვა საქმეები ეკისრება ინდივიდს, რომელიც არის საზოგადოების განუყოფელი ნაწილი.

დღესდღეობით მცირე სახელმწიფოს მაგალითებს ხედავენ ისეთ აზიურ სახელმწიფოებში, როგორებიცაა ტაივანი, სინგაპური და მალაიზია, მაგრამ არ აღნიშნავენ, თუ რაოდენ დიდ როლს თამაშობს აქ სახელმწიფო ეკონომიკის მართვაში, ინვესტიციების გადანაწილებაში, განათლებასა და პროფესიულ მომზადებაში.

განვითარებადი სახელმწიფოების ყველაზე ნათელი მაგალითი იყო XIX ს. დიდი ბრიტანეთი და აშშ, მაგრამ არსებობს ერთი საერთო წესი: სახელმწიფო რაც უფრო გვიან იწყებს ინდუსტრიალიზაციის პროცესს, მით უფრო დიდი როლი ენიჭება სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარებაში.

დღესდღეობით განვითარებად სახელმწიფოში იგულისხმება სახელმწიფო, რომელიც ერევა ქვეყნის ეკონომიკურ სისტემაში ერთი მიზნით, რომ გააძლიეროს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი.

იმ დროს, როდესაც განვითარებადი სახელმწიფო მიმართავს ეკონომიკაში ჩარევის გზას ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად, სოციალ-დემოკრატები აკეთებენ ამასვე

„სოციალური თანასწორობის“ ლოზუნგებით სოციალური ურთიერთობების შეცვლის მიზნით. ავსტრალიასა და შვედეთში სახელმწიფო ყოველთვის იყენებდა როგორც განვითარების პრიორიტეტებს, ასევე სოციალ-დემოკრატიულ პრინციპებს.

სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოს მიზანი არა იმდენად კარგი ცხოვრების პირობების შექმნაა, არამედ იგი თვითონ მიისწრაფვის ამ ცხოვრებაში მონაწილეობისკენ, რათა საზოგადოებას დაეხმაროს საბაზრო ეკონომიკის ნეგატიური გამოვლინების დაძლევაში, ამიტომ იგი ნაკლებადაა ორიენტირებული მატერიალურ მიზნებზე და უფრო მეტ ყურადღებას უთმობს თანასწორ და სამართლიან განაწილებას. პრაქტიკაში საუბარი მიდის სიღარიბის აღმოფხვრასა და სოციალური უთანასწორობის შემცირებაზე.

სახელმწიფოს ჩარევის ყველაზე უხეში და ყოვლისმომცველი ფორმები საზოგადოებრივ ცხოვრებაში იკვეთება ტოტალიტარულ სახელმწიფოში. ტოტალიტარიზმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნას ისეთი სახელმწიფო, რომელიც კაცობრიობის ყოფის ყველა მხარის მომცველი იქნება. ასეთი სახელმწიფო აკონტროლებს არა მხოლოდ ეკონომიკას, არამედ კულტურას, რელიგიას, ოჯახურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებს.

ტოტალიტარული რეჟიმის მაგალითია ჰიტლერის გერმანია და სტალინური საბჭოთა კავშირი, მაგრამ დღესაც არსებობს ამ ნიშნების მატარებელი სახელმწიფოები. ასეთი სახელმწიფოები დამოკიდებულები არიან პოლიციაზე, სახელმწიფო კონტროლსა და მათ იდეოლოგიურ განშტოებებზე. რა თქმა უნდა, აქ სამოქალაქო სფერო სრულიად განადგურებულია და „პირადი“ ცხოვრება უფრო გართულებულია. ამისკენ მიისწრაფოდნენ იტალიელი ფაშისტები, - „პიროვნება“ სრულიად ჩაეხშოთ საზოგადოებაში.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: ტოტალიტარული, კონტროლი, რეჟიმი, ინდივიდი, ნეგატიური, უთანასწორობა, ეკონომიკა

_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

რა არის სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოს მიზანი?

_____

_____

რა არის კლასიკური ლიბერალიზმის ლოზუნგი?

_____

_____

როგორ სახელმწიფო იგულისხმება განვითარებად სახელმწიფოში?

_____

_____

დაასახელეთ მცირე აზიური სახელმწიფოს მაგალითები.

_____

_____

სახელმწიფოს რამდენ სახეს გამოყოფენ?

_____

_____

დაასახელეთ ტოტალიტარული რეჟიმის მაგალითები.

_____

_____

4. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

მცირე სახელმწიფოს მაგალითებს ხედავენ ისეთ აზიურ სახელმწიფოებში, როგორებიცაა:

ა. მაკედონია, ხორვატია, სერბეთი;
ბ. ლიტვა, ლატვია, ესტონეთი;
გ. საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი;
დ. ტაივანი, სინგაპური და მალაიზია

სახელმწიფოს ჩარევის ყველაზე უხეში და ყოვლისმომცველი ფორმები საზოგადოებრივ ცხოვრებაში იკვეთება:

ა. დემოკრატიულ სახელმწიფოში;
ბ. ტოტალიტარულ სახელმწიფოში;
გ. მონარქიულ სახელმწიფოში;
დ. კონსერვატიულ სახელმწიფოში.

ტოტალიტარული სახელმწიფო აკონტროლებს:

ა. მხოლოდ ეკონომიკას;
ბ. მხოლოდ კულტურას;
გ. მხოლოდ რელიგიას;
დ. ეკონომიკას, კულტურას, რელიგიას, ოჯახურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებს.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

მატარებელი არსებობს ამ დღესაც ნიშნების სახელმწიფოები.

_____

_____

კავშირშია აპარატი ასეთი ინსტიტუციონალური მჭიდრო პოლიციასთან სახელმწიფოს

ქცევები განსაზღვრულ მხოლოდ შეუძლია ადამიანის სახელმწიფოს მოაქციოს ფარგლებში

6. მრავალწერილების ნაცვლად ჩასვით სათანადო სიტყვები:

ნიშნების სახელმწიფო რეჟიმის ფაშისტები სამოქალაქო

ტოტალიტარული ..... მაგალითია ჰიტლერის გერმანია და სტალინური საბჭოთა კავშირი, მაგრამ დღესაც არსებობს ამ ..... მატარებელი სახელმწიფოები. ასეთი სახელმწიფოები დამოკიდებულები არიან პოლიციაზე, ... კონტროლსა და მათ იდეოლოგიურ განშტოებებზე. რა თქმა უნდა, აქ ..... სფერო სრულიად განადგურებულია და „პირადი“ ცხოვრება უფრო გართულებულია. ამისკენ მიისწრაფოდნენ იტალიელი .....- „პიროვნება“ სრულიად ჩაეხშოთ საზოგადოებაში.

7. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 5. გლობალიზაცია და სახელმწიფო

სახელმწიფოსა და ერისათვის ყველაზე დიდი საშიშროება მოაქვს *გლობალიზაციის* პროცესს. საერთოდ, გლობალიზაცია - ეს არის პროცესი, როცა პლანეტის ერთ წერტილში მომხდარ მოვლენას დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია პლანეტის მეორე წერტილში მყოფი ხალხის ცხოვრებაზე. ამის ერთ-ერთი მაგალითია გლობალური ეკონომიკა, სადაც ცალკეულ სახელმწიფოს აღარ შეუძლია გავლენა იქონიოს საერთაშორისო კაპიტალის დინებაზე.

ამ ყველაფრის შედეგი ბევრი სახელმწიფოსთვის დრამატულია. ნათელი გახდა, რომ სახელმწიფოს რჩება საკმაოდ შეზღუდული შესაძლებლობები საკუთარი ეკონომიკის მართვისათვის, უფრო მეტიც, გლობალურ კონტექსტში „ნაციონალური“ ეკონომიკური სტრატეგია საერთოდ არ ფუნქციონირებს. დაიწყო საერთო უკანდახევა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკისაგან, რადგან საერთაშორისო კონკურენციის გაძლიერებამ გამოიწვია გადასახადებისა და ხელფასების შემცირების საჭიროება.

გლობალიზაციის გამოვლინებაა ისიც, რომ დღეს სახელმწიფოს უჭირს მრავალნაციონალური კომპანიების კონტროლი _ კორპორაციებს უადვილდებათ მომსახურებისა და ინვესტიციების გადაადგილება მთელ მსოფლიოში.

დიდი გავლენა აქვს პოლიტიკურ გლობალიზაციასაც. ეს ჩანს საერთაშორისო და ნაციონალურ ორგანიზაციებში, როგორებიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპის კავშირი, ნატო და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ევროპის კავშირში სახელმწიფო ძალაუფლებას ემუქრება ეროზია, რადგან ყველაზე სერიოზული გადაწყვეტილებები მიიღება საყოველთაო ევროპულ და არა ეროვნულ დონეზე.

არსებობს მოსაზრება, რომ გლობალიზაციას მივყავართ სახელმწიფოს ძირფესვიანი გარდაქმნისაკენ ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. სუვერენიტეტის იდეა, როგორც სახელმწიფოებრიობის ნიშანი და როგორც სახელმწიფოს მეფობის იდეა, გარკვეულ ტერიტორიაზე უკვე მთლიანადაა ამოწურული, ყოველ შემთხვევაში. დღევანდელი სახელმწიფო ფუნქციონირებს „პოსტსუვერენულ” პირობებში - საზღვრების გახსნისა და საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების პირობებში. მაგრამ ამ ყველაფერს არ მივყავართ სახელმწიფოს გაქრობისკენ, ვინაიდან შეიძლება წარმოიქმნას ახალი ტიპის სახელმწიფო.

სოციალ-დემოკრატიული ორიენტაციისა და კოლექტივიზებულის მსგავსი სახელმწიფოს ადგილას მოდიან „კონკურენციის“ უნარის მქონე სახელმწიფოები, რომლებიც უკეთესად მოერგნენ გლობალური ეკონომიკის მოთხოვნებს. დღეს ყველაზე მეტად ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ გაზარდონ განათლების ხარისხი და პროფესიული მომზადება, რათა იპოვონ გზა ეკონომიკური წარმატებისკენ ახალ მაღალტექნოლოგიურ ეკონომიკაში, გააძლიერონ ბაზრის რეაგირების შესაძლებლობები ახალ გამოწვევებზე, გადაწყვიტონ ამა თუ იმ სოციალური ჯგუფების პრობლემა და ამ ყველაფერთან ერთად შეინარჩუნონ და გააძლიერონ საზოგადოების მორალური მდგომარეობა.

პოლიტიკურ გლობალიზაციას შეუძლია როგორც გაზარდოს სახელმწიფოს ძალაუფლება, ასევე შეამციროს კიდევაც. ასეთი შემთხვევისთვის წარმოიშვა „გაერთიანებული სუვერენიტეტის“ კონცეფცია. იდეა შემდეგია: სახელმწიფოები, რომლებიც იმოქმედებენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, იქნებიან სუსტები და არაეფექტურები, ხოლო გაძლიერდებიან, თუკი ითანამშრომლებენ საერთაშორისო და რელიგიურ ინსტიტუტებთან შეთანხმებით. აქ მაგალითად გამოგვადგება ევროკავშირის მინისტრების კრება - იგი არის ევროკავშირის მთავარი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც შექმნეს წევრმა სახელმწიფოებმა საერთო ევროპულ ფორუმზე, სადაც მიიღება საერთაშორისო გადაწყვეტილებები.

სუბსახელმწიფოებრივი მმართველობისას საბოლოოდ სახელმწიფო ეჯახება ერთ გამოწვევას, რომელიც გამომდინარეობს მმართველობის დეცენტრალიზების ყველაზე პოპულარული მოთხოვნიდან, გადაიტანონ მისი ფუნქციები საყოველთაო ნაციონალურიდან ადგილობრივი მმართველობის დონეზე და შემდგომში კიდევ უფრო გააღრმავონ პატარა საზოგადოებრივ დაჯგუფებებში. რა თქმა უნდა, ეს პროცესი არ ატარებს საყოველთაო ხასიათს, მაგრამ მსოფლიოს ბევრ ადგილას ლოკალური პოლიტიკის როლი მკვეთრად გაიზარდა.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: *გლობალიზაცია, პოლიტიკა, ეკონომიკა, სუვერენიტეტი, საერთაშორისო, საზოგადოება, საზღვრები.*

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

რას მოაქვს სახელმწიფოსა და ერისათვის ყველაზე დიდი საშიშროება?

_____
_____

რა არის გლობალიზაცია?

_____

რა შეუძლია პოლიტიკურ გლობალიზაციას?

_____
_____

რა გამოიწვია საერთაშორისო კონკურენციის გაძლიერებამ?

_____
_____

რომელ დონეზე მიიღება ყველაზე სერიოზული გადაწყვეტილებები?

_____
_____

როგორია მსოფლიოს ბევრ ადგილებში ლოკალური პოლიტიკის როლი?

_____

_____

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

პოპულარული, ფუნქციები, სახელმწიფო, ნაციონალურიდან, მმართველობის

საბოლოოდ ..... ეჯახება ერთ გამოწვევას, რომელიც გამომდინარეობს ..... დეცენტრალიზების ყველაზე ..... მოთხოვნიდან, გადაიტანონ მისი ..... საყოველთაო ..... ადგილობრივი მმართველობის დონეზე.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

პოლიტიკურ დიდი აქვს გლობალიზაციასაც გავლენა.

_____

ემუქრება სახელმწიფო კავშირში ძალაუფლებას ეროზია ევროპის

_____

ადგილას მკვეთრად ლოკალური მსოფლიოს ბევრ პოლიტიკის როლი გაიზარდა.

_____

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 6. **იდეალიზმი, რეალიზმი, პლურალიზმი**

პოლიტიკური იდეალიზმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი საერთაშორისო პოლიტიკას აღიქვამს სამართლის მორალური ფასეულობებისა და ნორმების პოზიციიდან. მას ნაკლებად აინტერესებს ემპირიული ანალიზი (ანუ ის, თუ სახელმწიფოები რეალურად როგორ იქცევიან).

ისტორიის მსვლელობისას შემუშავებულ იქნა პოლიტიკის იდეალისტური თეორიის მრავალი ტიპი. მაგალითად, შუა საუკუნეებში თომა აქვინელი (1224-1274) მსჯელობდა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა „სამართლიანი ომი“, რისთვისაც განიხილავდა მმართველთა მოქმედებებს ერთმანეთთან მიმართებით, ზნეობრივი თვალსაზრისით. იგი ამტკიცებდა, რომ ომი შესაძლებელია გამართლებული იქნეს, თუ დაცულია სამი პირობა:

- **პირველი:** ომი უნდა გამოაცხადოს სრულუფლებიანმა მმართველმა;
- **მეორე:** საქმე, რის გამოც მიმდინარეობს ომი, სამართლიანი უნდა იყოს;
- **მესამე:** ასეთ ომში უნდა ეყრდნობოდე სიკეთეს და გაექცე ბოროტებას, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცე სიმკაცრესა და სიხარბეს.

მოგვიანებით ემანუელ კანტმა შემოგვთავაზა მსოფლიო მმართველობის პროექტის მსგავსი რამ. მისი აზრით, მორალი და გონება ერთდროულად ეუბნება ადამიანს, რომ არ უნდა იყოს ომი და მომავალში კაცობრიობა მიაღწევს „საერთო სამუდამო მშვიდობას“.

იდეალიზმის ფორმათა უმრავლესობა შეესაბამება ინტერნაციონალიზმს, ანუ, ადამიანის საქმიანობა უნდა მოეწყოს საკაცობრიო მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში და არა მარტო ნაციონალურ პრინციპებზე დაყრდნობით. ეს შეხედულება, თავის მხრივ, გამოხატულებას პოულობს იმ წინადადებაში, რომ ხალხის ცხოვრება, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე, უნდა მოეწყოს ჰარმონიისა და თანამშრომლობის საწყისებზე.

იდეალიზმის ერთ-ერთ გავლენიან ფორმად იქცა ლიბერალიზმი.

ყველაზე ძლიერ ბიძგს იდეალიზმის აღორძინებისთვის წარმოადგენს იმის გააზრება, რომ სამხედრო დანახარჯების ესკალაციის შედეგად მსოფლიო ატომური განადგურების საფრთხის წინაშე დადგა.

იმ დროს, როცა იდეალიზმი ეყრდნობა საერთაშორისო ურთიერთობების ეთიკურ მხარეს, რეალიზმისათვის დამახასიათებელია სხვა სპექტრი _ სახელმწიფოთა ძალოვანი პოლიტიკა, სადაც სახელმწიფოები მიჰყვებიან საკუთარ ინტერესებს. მისი არსით, სახელმწიფო ხდება შინაგანად მჭიდროდ დაკავშირებულ პოლიტიკურ თანასაზოგადოება, სადაც ყველა ემორჩილება ერის ინტერესებს.

რეალიზმის წამყვანმა თეორეტიკოსებმა ემანუილ კანტმა და ჰანს მორგენთაუმ გააკრიტიკეს იდეალიზმი. რეალისტები აქცენტს აკეთებენ ძალის როლზე საერთაშორისო ურთიერთობებში, ძალას კი საომარ კატეგორიად მიიჩნევენ. საერთაშორისო ანარქია მათთვის არც ერთ შემთხვევაში არ აღნიშნავს პერმანენტულ კონფლიქტს და მუდმივ ომს. ისინი ამტკიცებენ, რომ კონფლიქტიც და თანამშრომლობაც სახელმწიფოთა შიდა სისტემაში უმრავლეს შემთხვევაში ემორჩილება ძალთა ბალანსის ლოგიკას.

ამასთან, რეალისტები არ თვლიან, რომ საერთაშორისო წესრიგის შიგნით ნამდვილად მოქმედებენ „ბუნების კანონები“, რადგან ძალაუფლება, სიმდიდრე და რესურსები სახელმწიფოთა შორის თანაბრად არაა განაწილებული. ამ სისტემის მთავარ მონაწილეებს მინიჭებული აქვთ დიდი სახელმწიფოების როლი. საერთოდ, ადგილი აქვს სახელმწიფოთა იერარქიას, რომელიც საერთაშორისო სისტემაში წესრიგს ქმნის, რამდენადაც დიდი სახელმწიფოები ასე თუ ისე

აკონტროლებენ დაქვემდებარებულ სახელმწიფოებს სავაჭრო ბლოკებიდან. „ცივი ომის“ წლებში ყოველივე ამან გამოიწვია ბიპოლარული მსოფლიო წესრიგის დამკვიდრება, სადაც ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ძალოვან ბლოკებს შორის წინააღმდეგობებმა თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა. რეალისტების მტკიცებით სწორედ ბიპოლარობამ განაპირობა მშვიდობის შენარჩუნება.

პლურალისტური მიდგომა საერთაშორისო პოლიტიკისადმი დამახასიათებელია აშშ-სთვის; იგი შეინიშნება 1960-1970-იანი წლებიდან და წარმოადგენს ერთგვარ ზედნადებს ლიბერალურ იდეებსა და ფასეულობებზე. თავისი არსით პლურალიზმი წარმოადგენს სოციალურ-პოლიტიკურ კონცეფციას, როგორიცაა ძალისა და ძალაუფლების გაფანტვა კონკურენტულ სტრუქტურებსა ან ჯგუფებში.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: *პლურალიზმი, მშვიდობა, კონფლიქტი, იდეალიზმი, ესკალაცია, თანამშრომლობა, ბალანსი.*

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

რას შეესაბამება იდეალიზმის ფორმათა უმრავლესობა?

_____

რა იქცა იდეალიზმის ერთ-ერთ გავლენიან ფორმად?

_____

რასთან შესაბამისობაში უნდა მოეწყოს ადამიანის საქმიანობა?

_____

_____

რის საწყისებზე უნდა მოეწყოს ხალხის ცხოვრება?

_____

რა არის ყველაზე ძლიერი ბიძგი იდეალიზმის აღორძინებისთვის?

_____

რამ განაპირობა რეალისტების მტკიცებით მშვიდობის შენარჩუნება?

_____

რას წარმოადგენს თავისი არსით პლურალიზმი?

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

დიდი მონაწილეებს სახელმწიფოების მინიჭებული აქვთ მთავარ ამ სისტემის როლი

_____

ურთიერთობებში აკეთებენ საერთაშორისო რეალისტები აქცენტს ძალის როლზე

_____

ფორმათა უმრავლესობა ინტერნაციონალიზმს იდეალიზმის შეესაბამება

_____

5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

შიდა, რეალისტები, ლოგიკას, ძალთა, თანამშრომლობაც, შემთხვევაში

..... ამტკიცებენ, რომ კონფლიქტიც და ..... სახელმწიფოთა ..... სისტემაში უმრავლეს ..... ემორჩილება ..... ბალანსის .....

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. ბუნების	ომი
ბ. ძალოვანი	წესრიგი
გ. სახელმწიფოთა	იდეები
დ. ცივი	კანონები
ე. მსოფლიო	უწყება
ვ. ლიბერალური	იერარქია

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 7. მსოფლიო წესრიგი XXI საუკუნეში

1989 წლის 9 ნოემბერს აღმოსავლეთ ბერლინში გაიმართა დემონსტრაციები ბერლინის კედლის დასანგრევად _ ეს „ცივი ომის“ მთავარ სიმბოლოს წარმოადგენდა.

1990 წლის გაზაფხულზე კუვეიტის კრიზისის პერიოდში, როცა ერაყის აგრესიის წინააღმდეგ ჩამოყალიბდა ყველაზე ფართო საერთაშორისო კოალიცია, აშშ-ის პრეზიდენტმა გამოაცხადა „ახალი მსოფლიო წესრიგი“.

1990 წლის ნოემბერში ვარშავის შეთანხმებისა და ნატოს წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს პარიზში და ოფიციალურად გამოაცხადეს კონფრონტაციის ერის დასასრული.

„ცივი ომის“ წიგნში გადაიშალა ბოლო გვერდი, მაგრამ დარჩა კითხვები: როგორ დაიწყო „ცივი ომი“? რამ შეაჩერა იგი და რატომ არ გადაიზარდა ნამდვილ ომში? და რას ნიშნავდა მისი დამთავრება: ვინ მოიგო?

ისეთი რთული ისტორიული პროცესი, როგორიცაა „ცივი ომის“ დასაწყისი და დასასრული, არ შეიძლება აიხსნას რომელიმე ერთი მიზეზით. 1980-იანი წლების მოვლენები მომზადებული იყო 1970-იანი წლების დაძაბულობის განმუხტვის პოლიტიკის მიერ. განმუხტვამ აიძულა მხარეები გადაესინჯათ თავისი სტრატეგიული პრიორიტეტები. 1980-იანი წლების მოძრაობამ მშვიდობისათვის კითხვის ქვეშ დააყენა ზესახელმწიფოების ყველა შეთანხმება.

ყველაზე ფართო მასშტაბით „ცივი ომის“ დასასრულმა გამოხატულება ძალთა გლობალურ ბალანსში პოვა. XXI საუკუნის საერთაშორისო სისტემა განსხვავებული იქნება წინა პერიოდების საერთაშორისო სისტემისაგან: აქ ყველა სახელმწიფო - დიდიც, და ზესახელმწიფოებიც იცხოვრებენ ურთიერთდამოკიდებულ სიტუაციაში და გაიზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობაც.

გლობალიზაცია წარმოადგენს რთულ კონცეფციას. მიუხედავად იმისა, რომ დისკუსია მის გარშემო 1980-იანი წლებიდან მოდის, მისი გამოყენების სფერო დღესაც არ არის დადგენილი, მან შეიძლება აღნიშნოს პოლიტიკური, გლობალური მარკეტინგული სტრატეგია, კაცობრიობის დღევანდელი და პერსპექტიული მდგომარეობა, და ბოლოს იდეოლოგიაც კი. გლობალიზაცია შესაძლებელია განვიხილოთ ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ განზომილებაში. ეკონომიკური გლობალიზაციის გაგებაში ჩადებულია იდეა იმის შესახებ, რომ დღეს არც ერთი ნაციონალური ეკონომიკა არ წარმოადგენს კუნძულს. ისინი დიდი თუ მცირე სახით ჩართულნი არიან მსოფლიო ეკონომიკაში. კომუნიზმის კრახმა დააჩქარა გლობალიზაცია: გლობალურ კაპიტალისტურ სისტემას შეემატა სახელმწიფოთა მსხვილი ბლოკი, რომელიც ადრე მის გარეთ რჩებოდა.

კულტურული გლობალიზაცია ქმნის პირობებს იმისათვის, რომ ინფორმაცია, საქონელი და იმიჯი, წარმოებული ქვეყნის ამა თუ იმ ნაწილში, მოექცეს ერთ გლობალურ დინებაში, რომლის გარდაუვალ შედეგს წარმოადგენს ერებს, რეგიონებსა და ხალხს შორის კულტურული განსხვავებების მეტ-ნაკლები გათანასწორება.

პოლიტიკური გლობალიზაცია, პირველ რიგში, ჩანს საერთაშორისო ორგანიზაციების მნიშვნელობის ზრდაში. მათ შორის არსებობს კლასიფიკაცია. არსებობს ტრანსნაციონალური ორგანიზაციები, რომლებიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს არა რომელიმე სახელმწიფოს შიგნით, არამედ სახელმწიფოთა შორის. ასეთი ორგანიზაციების უმრავლესობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა, ესენია: გაერო, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა, ევროპის საბჭო, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია და ა.შ.

ზოგიერთი თეორეტიკოსი გლობალიზაციაში ითვალისწინებს თანამშრომლობისა და ჰარმონიის ტენდენციებს, მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად გლობალიზაციის პროცესი აგრძელებს ახალ წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებს. ეს ტენდენცია ნათლად ჩნდება საერთო ნაციონალური მართვის მოდელის ეფექტურობის შემცირებასა და რეგიონალიზაციის პროცესის გაძლიერებაში.

ურთიერთდამოკიდებულება გლობალიზაციასა და რეგიონალიზაციას შორის ჯერჯერობით ნათელი არაა. შესაძლებელია რეგიონალიზაცია გავიგოთ როგორც პირველი ნაბიჯები გლობალიზაციისაკენ.

რეგიონალიზაციის მამოძრავებელ ძალად გამოდის სტრატეგიული, ეკონომიკური და, შესაძლებელია, კულტურული ხასიათის განსაზღვრული ფაქტორები. რეგიონული ორგანიზაციები აღმოცენდა 1945 წლის შემდეგ. მნიშვნელოვან ორგანიზაციებად ითვლებოდნენ ნატო და ვარშავის შეთანხმების ქვეყნების ორგანიზაცია.

კომუნიზმის კრახამდე, 1989-1991 წლებში ნატო და ვარშავის პაქტი არ იყვნენ აქტიურები. „ცივი ომის“ დამთავრების შემდგომ ნატო დარჩა ერთ-ერთ მსხვილ სამხედრო ორგანიზაციად რეგიონული მასშტაბით, მაგრამ რადიკალურად შეიცვალა მისი მიზნები და როლი. დღეს ნატო ფართოვდება, ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნები ერთი მეორის მიყოლებით შედიან ნატო-ში, რათა უზრუნველყონ სამხედრო და პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

ყველაზე დიდი ბიძგი რეგიონალიზაციას მაინც ეკონომიკამ მისცა. ზოგიერთი რეგიონული სავაჭრო ბლოკი, მაგალითად, ევროპის ეკონომიკური კავშირი, ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მაგრამ უმრავლესობა 1990 წლიდან წარმოიშვა.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: *გლობალიზაცია, ცივი ომი, რეგიონული, დამოუკიდებლობა, იდეოლოგია, კავშირი, ორგანიზაცია*

_____

_____

_____

_____

_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

რას ითვალისწინებს ზოგიერთი თეორეტიკოსი გლობალიზაციაში?

_____
_____

როგორ შეიძლება გავიგოთ რეგიონალიზაცია?

_____
_____

რაში ჩანს პირველ რიგში პოლიტიკური გლობალიზაცია?

_____
_____

რაში პოვა ყველაზე ფართო მასშტაბით „ცივი ომის“ დასასრულმა გამოხატულება?

_____
_____

რა გამოდის რეგიონალიზაციის მამოძრავებელ ძალად?

_____
_____

რამ დააჩქარა გლობალიზაცია?

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

რეგიონალიზაციას ყველაზე ეკონომიკამ დიდი მაინც ბიძგი მისცა

_____
_____

მსხვილი შეემატა გლობალურ კაპიტალისტურ სისტემას ბლოკი სახელმწიფოთა

_____
_____

ბალანსში გამოხატულება ყველაზე დასასრულმა მასშტაბით „ცივი ომის“ ძალთა გლობალურ პოვა ფართო

_____
_____

5. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

1990 წლის ნოემბერში ვარშავის შეთანხმებისა და ნატოს წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს:

ა. რუსეთის დედაქალაქში;
ბ. ესპანეთის დედაქალაქში;
გ. საფრანგეთის დედაქალაქში;
დ. ბრაზილიის დედაქალაქში;

ტრანსნაციონალური ორგანიზაციების უმრავლესობა ჩამოყალიბდა:

ა. პირველი მსოფლიო ომის წინ;
ბ. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ;

გ. მეორე მსოფლიო ომის წინ;
დ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

გლობალიზაცია დააჩქარა:

ა. მეორე მსოფლიო ომმა;
ბ. ეკონომიკურმა კრიზისმა;
გ. კომუნიზმის კრახმა;
დ. კულტურულმა კრიზისმა.

6. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ხელშეკრულების დამთავრების დამოუკიდებლობა ორგანიზაციად რადიკალურად სამხედრო

„ცივი ომის“ …… შემდგომ ნატო დარჩა ერთ-ერთ მსხვილ სამხედრო …… რეგიონული მასშტაბით, მაგრამ …… შეიცვალა მისი მიზნები და როლი. დღეს ნატო ფართოვდება, ყოფილი ვარშავის …… ქვეყნები ერთი მეორის მიყოლებით შედიან ნატო-ში, რათა უზრუნველყონ …….. და პოლიტიკური …….

7. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 8. სამართალი, მორალი და პოლიტიკა

ურთიერთდამოკიდებულება სამართალსა და მორალს შორის პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა.

ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სამართალი და მორალი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სამართალი სოციალური კონტროლის ყველაზე მოხერხებული ფორმაა; იგი გვკარნახობს, რა შეიძლება და რისი კეთება იკრძალება. მორალი, სამართლისგან განსხვავებით, ეხება ეთიკური წესრიგის საკითხებს: რა არის „კარგი“ და რა „ცუდი“, როგორ უნდა მოვიქცეთ და როგორ არა.

კანონი ობიექტურია - ეს საზოგადო რეალობაა.

მორალი სუბიექტურია - იგი ადამიანის სინდისის საკითხია.

იმ უზარმაზარი როლის მიხედვით, რომელსაც კანონი საზოგადოებაში თამაშობს, სამართალს ენიჭება უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა.

სამართლმა უნდა დაიცვას საზოგადოების თითოეული წევრი და მათი თავისუფლებები და უფლებები, რადგანაც ამგვარი მფარველობა ვრცელდება ყველა ადამიანზე და ასევე მთელ საზოგადოებაზე.

კლასიკური ლიბერალიზმის მიხედვით, კიდევ ერთი პრობლემა შემდეგია: თუ კანონის უმთავრესი მიზანი არის ადამიანის უფლებების და თავისუფლების დაცვა, იმავდროულად უნდა ხდებოდეს თავად კანონის მოქმედების სფეროს შეზღუდვა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანონი „კარგია“ მხოლოდ მაშინ, როცა იგი აფართოებს და არ ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას.

სამართალზე განსხვავებულ შეხედულებას გვთავაზობენ კონსერვატიული მოძღვრების თეორეტიკოსები. აქ განიხილება აზრი იმის შესახებ, რომ წესრიგი და კანონი იმ დონეზეა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ისინი ერთგვარად შეერწყა ერთმანეთს. ტრადიცია ეყრდნობა ორ წყაროს. პირველი ღრმად პესიმისტურია. ესაა ჰობსისეული ტრადიცია, რომელიც ამტკიცებდა, რომ ადამიანს სიცოცხლის ბოლომდე მიჰყვება სამუდამო და დაუოკებელი ძალაუფლების წყურვილი.

მეორე მოტივი ეფუძნება აზრს, რომ საზოგადოებრივი სტაბილურობა დამოკიდებულია იმაზე, აქვთ თუ არა ადამიანებს ერთნაირი ფასეულობები და საერთო კულტურა.

1980-90-იან წლებში „ახალმა მემარჯვენეებმა“ დაიკავეს ამასთან ძალიან ახლო პოზიცია „ტრადიციული მორალისა“ და „საოჯახო ფასეულობების“ წინ წამოწევთ და მოთხოვნით, რომ ყველაფერი მიეკუთვნება სამართლებრივ დაცვას.

სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფო მმართველობის ნაწილია, რომელიც საჭიროა პრობლემათა სამართლიანი გადაწყვეტისათვის.

მოსამართლეთა უმთავრეს დანიშნულებად სამართლის დაცვა ითვლება. სასამართლო ხელისუფლების დანიშნულება სხვადასხვაგვარად ვლინდება სახელმწიფო და პოლიტიკურ სისტემებში. ძირითადად, იგი მნიშვნელოვანია კოდიფიცირებული კონსტიტუციის მქონე სახელმწიფოებში, სადაც სასამართლო ხელისუფლება განმარტავს კონსტიტუციას და ამასთანავე განიხილავს კონფლიქტებს სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტსა და სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის.

სასამართლო ხელისუფლების მნიშვნელობა დღეისათვის იზრდება საერთაშორისო სამართლის მზარდი მნიშვნელობის გამოც. აქ შემდეგი ინსტიტუტები მოქმედებენ: გაეროს

სასამართლო ორგანო არის საერთაშორისო სასამართლო ჰააგაში - ფორუმი, სადაც სახელმწიფოთა შორის დავა და დაპირისპირება განიხილება. რადგანაც საერთაშორისო სამართალი დაფუძნებულია სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პრინციპზე, ეს სასამართლო პროცესი იმართება მხოლოდ კონფლიქტის ყველა მხარეთა თანხმობის საფუძველზე.

საერთაშორისო სასამართლომ ააღორძინა ნიურნბერგის ტრიბუნალის იდეა (1945-46), რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლებრივი დევნა ხორციელდება საომარი დანაშაულის ან კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამო. საერთაშორისო სასამართლომ წარმოადგინა ბრალდებები და მიაღწია მთელი რიგი პირების დაპატიმრებას. მათ შორის იყო იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტი, სლობოდან მილოშევიჩი.

ამას გარდა, არსებობს მთელი რიგი საერთაშორისო სასამართლოები, რომელთაც აქვთ რეგიონული იურისდიქცია, როგორიცაა ევროსასამართლო ლუქსემბურგსა და ევროსასამართლო ადამიანის უფლებათა დაცვის განხრით სტრასბურგში.

სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისება და ლიბერალურ-დემოკრატიულ სისტემებში მისი მთავარი განმსაზღვრელი ნიშანი არის ის, რომ მოსამართლეები წარმოადგენენ სრულიად დამოუკიდებელ და არაპოლიტიკურ ფიგურებს.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: სასამართლო, ფიგურა, ტრიბუნალი, საერთაშორისო, მორალი, პოლიტიკა, სამართალი

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

რა არის მოსამართლეთა უმთავრესი დანიშნულება?

რა როლი აქვს სამართალს?

რისი ნაწილია სასამართლო ხელისუფლება?

როდის არის კანონი „კარგი“?

როგორ ფიგურებს წარმოადგენენ მოსამართლეები?

ვინ ახდენს კანონის „კონსტრუირებას“?

---

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

საერთაშორისო იდეა ააღორძინა სასამართლომ ნიურნბერგის ტრიბუნალის

მმართველობის სახელმწიფო ხელისუფლება ნაწილია სასამართლო

თავისუფლების კანონის არის ადამიანის და დაცვა უმთავრესი მიზანი უფლებების

---

5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

პესიმისტურია, კონსერვატიული, სამართალზე, ტრადიცია, წესრიგი, ერთგვარად

..... განსხვავებულ შეხედულებას გვთავაზობენ ..... მოძღვრების თეორეტიკოსები. აქ განიხილება აზრი იმის შესახებ, რომ ..... და კანონი იმ დონეზეა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ისინი ..... შეერწყა ერთმანეთს. ..... ეყრდნობა ორ წყაროს. პირველი ღრმად .....

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____
_____
_____
_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. სასამართლო	პრინციპი
ბ. სამართლებრივი	წყურვილი
გ. ძალაუფლების	აზროვნება
დ. პოლიტიკური	როლი
ე. უზარმაზარი	დევნა
ვ. სუვერენიტეტის	ხელისუფლება

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 9. ძალოვანები და პოლიტიკა

ა) არმია და პოლიტიკა

თანამედროვე ტიპის შეიარაღებული ძალების ფორმირება იწყება გვიანდელი შუასაუკუნეების პერიოდში, მაშინ, როცა ევროპის სახელმწიფოებმა დაიწყეს რეგულარული არმიების შექმნა.

XIX საუკუნეში არმია გადაიქცა საზოგადოებრივ ინსტიტუტად, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პროფესიონალური სარდლობა - ინსტიტუტი, რომელიც მკვეთრად იყო გამიჯნული მთელი საზოგადოებისაგან.

შემდეგ დადგა ევროპული კოლონიალიზმის ეპოქა და არმიის ეს მოდელი გავრცელდა მთელ მსოფლიოში, რითაც გახდა თანამედროვე საზოგადოების განუყოფელი კომპონენტი.

არმია წარმოადგენს სავსებით განსაკუთრებულ პოლიტიკურ ინსტიტუტს. მისი თავისებურება ისაა, რომ მისი უპირატესობა სამოქალაქო ინსტიტუტებზე გამოიხატება ოთხი ფაქტორით. **პირველ რიგში,** არის რა ომის იარაღი, არმია ფლობს შეიარაღების თითქმის მთელ მონოპოლიას და აქვს დათრგუნვითი ხასიათის უზარმაზარი პოტენციალის ძალაუფლება. რამდენადაც მას შეუძლია მხარი დაუჭიროს ნებისმიერ რეჟიმს ან დაამხოს იგი, არმიის ამ რეჟიმთან ურთიერთობაზეა დამოკიდებული მისი არსებობა.

მეორე მხრივ, შეიარაღებული ძალები თავისი არსით არის უმაღლეს დონეზე ორგანიზებული დისციპლინური სტრუქტურა, აქ არსებობს ზედმიწევნით მკაფიოდ გარკვეული იერარქია და მტკიცედაა დამკვიდრებული ბრძანებათა შესრულების კულტურა. ყველაფერი ეს აძლევს არმიას არაჩვეულებრივად ორგანიზებულ ეფექტურობას, თუმცა შეიძლება ყველაფერ ამას მისცეს კონსერვატიზმის ელფერიც. **მესამე,** არმიისათვის დამახასიათებელია სავსებით სპეციფიკურ კულტურათა და ღირებულებათა მთელი ნაკრები. არმია აღიქმება, როგორც განსაკუთრებით კონსერვატიული და ძალზე ავტორიტარული ინსტიტუტი, მაგრამ შეიძლება იყოს სხვა პოლიტიკური იდეალების მომხრეც _ ასე მაგალითად, რევოლუციური სოციალიზმის, როგორც ესაა ჩინეთში, ან ისლამური ფუნდამენტალიზმის, როგორც ეს ირანშია და **მეოთხე,** შეიარაღებული ძალები შეიძლება ჩავთვალოთ და თვით ისინიც აღიქვამენ თავს, როგორც ძალას, რომელიც დგას პოლიტიკაზე მაღლა: ვარაუდობენ, რომ არის რა სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და ერთიანობის (მთლიანობის) გარანტი, შეიარაღებული ძალები ემსახურებიან საერთო ეროვნულ ინტერესებს. ერთი მხრივ, ეს აძლევს არმიას ყველაზე მაღალ საზოგადოებრივ სტატუსს _ ხოლო, მეორე მხრივ, მან იმავე მიზეზით შეიძლება გამოიჩინოს მიდრეკილება პოლიტიკაში ჩარევისადმი, მაშინ როდესაც არმიის სარდლობა დარწმუნებულია, რომ ქვეყნის ეროვნული ინტერესები საფრთხის წინაშე დგას.

არმია შეიძლება წარმოადგენდეს:

- ომის იარაღს;
- პოლიტიკური წესრიგისა და სტაბილურობის გარანტს;
- ინტერესთა სპეციფიკურ ჯგუფს;
- სამოქალაქო მართვის ალტერნატივას.

ბ) პოლიცია და პოლიტიკა

პოლიცია, ისევე, როგორც არმია, არის დათრგუნვის სახელმწიფო აპარატის ნაწილი, მაგრამ განსხვავება მათ შორის თვალნათელია:

შეიარაღებული ძალები მოწოდებულია უზრუნველყოს ქვეყნის თავდაცვა, პოლიციამ კი უნდა დაიცვას ქვეყნის შინაური წესრიგი. ლიბერალური თვალსაზრისით, პოლიციაში ხედავენ უმთავრესად ნეიტრალურ ინსტიტუტს, რომლის ამოცანაა დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი და ადამიანთა უფლებები და თავისუფლებები. ამ კუთხით პრობლემა შემდეგშია:

პოლიცია ეყრდნობა ფართო საზოგადოებრივ კონსენსუსს და ფლობს მაღალი ხარისხის ლეგიტიმურობას, რამდენადაც მოქალაქეები დარწმუნებულნი არიან, რომ პოლიცია ხელს უწყობს საზოგადოებრივი წესრიგის სტაბილურობას და უზრუნველყოფს ხალხის პირად უსაფრთხოებას, იცავს რა მათ ერთიმეორისაგან, ამასთან, ის დაკავებულია წესრიგის დაცვით, - სხვა პოლიტიკური ფუნქციები მას არც ჰქონდა და არც ექნება.

კონსერვატიული თვალსაზრისით, პოლიციამ მხარი უნდა დაუჭიროს სახელმწიფო ძალაუფლებას, უზრუნველყოს მისი კანონიერი შესრულება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

ეს მიდგომა, რომელსაც აქვს პესიმისტური შეხედულება ადამიანის ბუნებაზე, ხაზს უსვამს, რომ პოლიციას აქვს მნიშვნელობა როგორც საზოგადოების ძალოვან ინსტიტუტს, რომელსაც შეუძლია საჭიროებისას ყველაზე მკაცრად იმოქმედოს. ამ შემთხვევაში პოლიცია განიხილება, როგორც პოლიტიკური კონტროლის მექანიზმი.

რადიკალური თვალსაზრისით, პოლიცია წარმოადგენს დათრგუნვის ინსტრუმენტს, რომელიც უფრო სახელმწიფოს ხელშია, ვიდრე საზოგადოებისა და ემსახურება პირველ რიგში ელიტას, ვიდრე მასებს.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: პოლიცია, არმია, წესრიგი, ძალოვანი, თავდაცვა, პოლიტიკა, საფრთხე

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

რისი ნაწილია პოლიცია?

_____

რას ეყრდნობა პოლიცია?

_____

რა არის არმიისათვის დამახასიათებელი?

_____

როგორია არმიის საზოგადოებრივ სტატუსი?

_____

რაში მდგომარეობს შეიარაღებული ძალების როლი?

_____

_____

რაში მდგომარეობს პოლიციის როლი?

_____

_____

როდიდან იწყება თანამედროვე ტიპის შეიარაღებული ძალების ფორმირება?

_____

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

თვალსაზრისით რადიკალური წარმოადგენს ინსტრუმენტს პოლიცია დათრგუნვის

_____

დისციპლინური უმაღლეს ორგანიზებული შეიარაღებული თავისი არსით არის დონეზე სტრუქტურა ძალები

_____

_____

წინაშე საფრთხის ეროვნული დგას ინტერესები ქვეყნის

_____

_____

5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

პოლიციას, საჭიროებისას, პესიმისტური, ადამიანის, ძალოვანი, კონტროლის

ეს მიდგომა, რომელსაც აქვს ..... შეხედულება ..... ბუნებაზე, ხაზს უსვამს იმას, რომ ..... აქვს მნიშვნელობა როგორც საზოგადოების .....

ინსტიტუტისა, რომელსაც შეუძლია ..... ყველაზე მკაცრად იმოქმედოს. ამ შემთხვევაში პოლიცია განიხილება, როგორც პოლიტიკური ..... მექანიზმი.

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი რამდენიმე წინადადებით.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. დათრგუნვის	გარანტი
ბ. სახელმწიფო	ინტერესები
გ. ეროვნული	აპარატი
დ. საზოგადოებრივი	უფლებები
ე. სტაბილურობის	წესრიგი
ვ. ადამიანთა	ინსტრუმენტი

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 10. საქართველოს პოლიტიკური სისტემა

საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო".

ქალაქის მოსახლეობა 58%, სოფლის – 42%.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა: საქართველოს დედაქალაქი – თბილისი, 2 ავტონომიური რესპუბლიკა (აჭარის და აფხაზეთის), 9 მხარე (კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-თიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის), 63 რაიონი, 942 სასოფლო საბჭო (სულ 62 ქალაქი, 53 ქალაქის ტიპის დაბა, 4475 სოფელი). მოსახლეობა 4 მილიონზე მეტია, მათ შორის თბილისში - 1,2 მილიონი.

ქვეყანაში მოქმედებს 1995 წლის 24 აგვისტოს პარლამენტის მიერ მიღებული კონსტიტუცია.

კონსტიტუცია აგებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მკვეთრი გამიჯვნის პრინციპზე.

საკანონმდებლო კონფლიქტების გადასაწყვეტად დაარსდა **საკონსტიტუციო სასამართლო.**

საკანონმდებლო ხელისუფლება - პარლამენტი. 1990 წლის 28 ოქტომბერს, 1992 წლის 11 ოქტომბერს, 1995 წლის 5 ნოემბერს, 1999 წლის 31 ოქტომბერს, 2003 წლის 2 ნოემბერს, 2004 წლის 28 მარტს, 2008 წლის 21 მაისს ჩატარებულმა მრავალპარტიულმა არჩევნებმა საქართველოში უკვე შექმნა პარლამენტარიზმის გარკვეული ტრადიციები და გამოცდილება. პარლამენტი სულ უფრო გამოკვეთილ ადგილს იკავებს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აღმასრულებელი ხელისუფლება.

ა) **პრეზიდენტი**

პირველი საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში 1991 წლის 26 მაისს ჩატარდა და მასში ზვიად გამსახურდიამ გაიმარჯვა. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ გაუქმდა პრეზიდენტის ინსტიტუტი. 1992 წლის 6 ნოემბერს მიღებული სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონის მიხედვით, პარლამენტის თავჯდომარეს, ედუარდ შევარდნაძეს, სახელმწიფო მეთაურის უფლებამოსილება მიენიჭა.

1995 წლის კონსტიტუციით კვლავ შემოიღეს პრეზიდენტის თანამდებობა. პრეზიდენტი აირჩევა საერთო-სახალხო კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იმავე პირის პრეზიდენტად არჩევა შეიძლება ზედიზედ ორი ვადით. იგი არის სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, უმაღლესი მთავარსარდალი.

პარლამენტს აქვს პრეზიდენტის იმპიჩმენტის (გადაყენების) უფლება ხმათა 2/3-ით. პრეზიდენტად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც არ შესრულებია 35 წელი (ზედა ზღვარი დადგენილი არ არის). 1995 და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე გაიმარჯვა ედუარდ შევარდნაძემ, 2004 და 2008 წლის რიგგარეშე არჩევნებში გაიმარჯვა მიხეილ სააკაშვილმა. 2013 წელს პრეზიდენტად გიორგი მარგველაშვილი აირჩიეს.

ბ) **მთავრობა**

1995 წლის კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად შეცვალა აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა. გაუქმდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, აღარ არსებობდა მინისტრთა კაბინეტი, თუმცა 2004 წლიდან კვლავ აღდგა ეს თანამდებობა.

1997 წლის 3 მაისს ძალაში შევიდა ახალი კანონი სახელმწიფო მოწყობის შესახებ. დღეისათვის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურას ქმნიან:

- პრეზიდენტი
- პრემიერ-მინისტრი
- სამინისტროები
- სახელმწიფო დეპარტამენტები
- სახელმწიფო ინსპექციები.

სასამართლო ხელისუფლება.

1995 წლის კონსტიტუციით აკრძალულია სპეციალური სასამართლოების შექმნა. მოსამართლეებს ირჩევენ 10 წლის ვადით შესაბამისი გამოცდების ჩაბარების შემდეგ. 1996 წლიდან პირველად შეიქმნა საკონსტიტუციო სასამართლო. მოსამართლე შეიძლება გახდეს 28 წელს გადაცილებული პირი. სასამართლო სისტემაზე მეთვალყურეობა ავალია საქართველოს პრეზიდენტთან შექმნილ სათათბირო ორგანოს – იუსტიციის საბჭოს, შექმნილია რაიონული, საოლქო, სააპელაციო, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი, საქართველოს უზენაესი სასამართლოები.

1997 წლიდანაა შემოღებული სახალხო დამცველის ანუ ომბუდსმენის თანამდებობა, რომელსაც საკმაოდ დიდი უფლებები აქვს და რომელიც არც ერთი პარტიის წევრი არ უნდა იყოს.

ქვეყნის ტერიტორიის 15%-ზე მეტი, ყოფილი აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები, სეპარატისტული მთავრობების ხელშია კვლავაც და უდიდეს პრობლემებს უქმნის ქვეყანას. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ცალმხრივად აღიარა, ამასთან დაიკავა ახალგორის რაიონი, დიდი და პატარა ლიახვის და ფრონეს ხეობები.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: კონსტიტუცია, სასამართლო, პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მინისტრი, პარლამენტი, იმპიჩმენტი

_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

რისთვის დაარსდა საკონსტიტუციო სასამართლო?

რამდენი წლის მოქალაქე შეიძლება აირჩიონ პრეზიდენტად?

რომელი კონსტიტუცია მოქმედებს ქვეყანაში?

როდის შემოიღეს ომბუდსმენის თანამდებობა?

რამდენი წლის მოქალაქე შეიძლება გახდეს მოსამართლე?

ვინ ახორციელებს მეთვალყურეობას სასამართლო სისტემაზე?

რამდენი წლის ვადით ირჩევენ მოსამართლეებს?

---

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

გაუქმდა პრეზიდენტის გადატრიალების სახელმწიფო შემდეგ ინსტიტუტი

საკონსტიტუციო კონფლიქტების დაარსდა საკანონმდებლო გადასაწყვეტად სასამართლო.

დემოკრატიული წყობილების პოლიტიკური საქართველოს ფორმა არის რესპუბლიკა სახელმწიფოს.

---

5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

კონსტიტუციით აღმასრულებელი პრეზიდენტის კენჭისყრით, უმაღლესი

1995 წლის ..... კვლავ შემოიღეს ..... თანამდებობა. პრეზიდენტი აირჩევა საერთო-სახალხო ..... 5 წლის ვადით. ერთი და იმავე პირის პრეზიდენტად არჩევა შეიძლება ზედიზედ ორი ვადით. იგი არის სახელმწიფოსა და ..... ხელისუფლების მეთაური, ... მთავარსარდალი.

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. უზენაესი	იმპიჩმენტი
ბ. სახელმწიფო	სასამართლო
გ. პარლამენტის	მთავრობა
დ. საპრეზიდენტო	ოლქი
ე. პრეზიდენტის	გადატრიალება
ვ. ავტონომიური	თავჯდომარე

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

სოციოლოგია

თემა 11. სოციოლოგია როგორც მეცნიერება

სოციოლოგია. ტერმინი სოციოლოგია რთული სიტყვაა და შედგება ორი - ლათინური და ბერძნული სიტყვებისგან ლათ. socius (საზოგადოება) ბერძ. logos (სიტყვა, მეცნიერება). ის პირველად გამოიყენა სოციოლოგიის მამად აღიარებულმა **ოგიუსტ კონტმა.**

სოციოლოგია იკვლევს ადამიანური ცხოვრების ორგანიზების გზებს. სოციოლოგები სხვადასხვა გარემოში სოციალური ცხოვრების შესწავლის მიზნით სამეცნიერო კვლევით მეთოდებსა და თეორიებს იყენებენ. ისინი ცდილობენ შეისწავლონ როგორც ინტიმური ურთიერთობები, ასევე ვრცელი გლობალური ქსელები და ყველაფერი, რაც მათ შორის არსებობს.

სოციოლოგები დაინტერესებულები არიან იმ გზებით, რომლები-თაც ადამიანები უკავშირდებიან ერთმანეთს. სხვა სოციალური მეცნიერებანი ძირითადად შეისწავლიან სოციალური ცხოვრების მხოლოდ ერთ სფეროს: ეკონომიკა შეისწავლის ბაზრების დინამიკასა და პროდუქტების ცირკულაციას; პოლიტიკური მეცნიერება უღრმავდება სამთავრობო და ძალაუფლების ურთიერთობებს; ანთროპოლოგია ეკოლოგიასა და კულტურულ თავისებურებებს იკვლევს; ფსიქოლოგია სწავლობს ბიოლოგიას, ადამიანურ განვითარებასა და ინდივიდუალურ მენტალურ თავისებურებებს შორის ურთიერთკავშირს. **სოციოლოგია მოიცავს ყველა ამ ასპექტს.** სოციოლოგები ყველაზე მეტად დაინტერესებულნი არიან სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის ურთიერთქმედებით. ის შედარებით ახალი სამეცნიერო დისციპლინაა, რომელსაც საფუძველი მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა.

სოციოლოგიას აინტერესებს ჩვენი, როგორც სოციალური არსებების, ქმედება; ამგვარად, სოციოლოგიური ინტერესის სფერო მოიცავს როგორც ანონიმურ ინდივიდუმთა მოკლე კონტაქტს ქუჩაში, ასევე გლობალურ სოციალურ პროცესთა შესწავლას. ფართო გაგებით, სოციოლოგია არის იმ სოციალურ ჯგუფთა მეცნიერული შესწავლა, რომელთა შორისაც ადამიანებს უწევთ მოძრაობა ცხოვრების განმავლობაში.

სოციოლოგიური კვლევის შედეგები ეხმარება პედაგოგებს, კანონშემქმნელებს, ადმინისტრატორებს და ყველას, ვინც დაინტერესებულია სოციალური პრობლემების გადაჭრით და საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმულირებით.

სოციოლოგთა უმრავლესობა მუშაობს ერთი ან რამდენიმე სპეციალობით, როგორებიცაა:

- სოციალური ორგანიზაცია, სოციალური სტრატიფიკაცია და სოციალური მობილურობა;
- რასობრივი და ეთნიკური ურთიერთობანი;
- განათლება;
- ოჯახი, სოციალური ფსიქოლოგია;
- ურბანული, სასოფლო, პოლიტიკური და შედარებითი სოციოლოგია;
- სქესთა როლი და ურთიერთობანი;
- დემოგრაფია;
- გერონტოლოგია;
- კრიმინოლოგია;
- სოციოლოგიური პრაქტიკა.

სოციოლოგია, მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანის შესწავლის ერთ-ერთი საშუალებაა.

სოციოლოგები ცდილობენ გაიგონ, რატომ იქცევიან ადამიანები ამა თუ იმ სახით, რატომ ქმნიან ჯგუფებს, მიდიან ომში, თაყვანს სცემენ რამეს, ქორწინდებიან, ხმას აძლევენ, ე.ი. მათ აინტერესებთ ყველაფერი, რაც ხდება ადამიანების ურთიერთობაში. მოკლედ, სოციოლოგია შეიძლება განისაზღვროს, როგორც საზოგადოებისა და სოციალური ურთიერთობების მეცნიერული შესწავლა.

სოციოლოგია – ესაა ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების, ჯგუფებისა და საზოგადოების შესწავლა. მისი საგანია ადამიანების, როგორც სოციალური არსებების, ქცევების კვლევა. სოციოლოგიის სამოქმედო არე უკიდურესად ფართოა, დაწყებული ქუჩაში ადამიანთა შემთხვევითი შეტაკებებიდან და დამთავრებული გლობალური სოციალური პროცესების გამოკვლევებით. ზოგიერთი მაგალითი გვაძლევს პირველ წარმოდგენებს მისი ბუნებისა და მიზნების შესახებ.

ჩვეულებრივ, გარესამყარო იყოფა „ფაქტების“ სამ განსხვავებულ ჯგუფად:

- ბიოლოგიური ფაქტები (სუნთქვა, კვება, ძილი...);
- ფსიქოლოგიური ფაქტები (სასიყვარულო ემოციები, სიძულვილი, ფერწერული ნაშრომის ჭვრეტით მიღებული სიამოვნება...);
- სოციოლოგიური ფაქტები, დაკავშირებული საზოგადოებასთან და სოციალურ ურთიერთობებთან (ჩვენ ვიღაცასთან ვმეგობრობთ, გვყავს თანამშრომლები, ვირიცხებით გარკვეულ ჯგუფებში...).

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: სოციოლოგია, საზოგადოება, ურთიერთობები, ანთროპოლოგია, პროცესი, ფსიქოლოგია, გლობალური

_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

რა არის სოციოლოგიის საგანი?

_____

როგორია სოციოლოგიის სამოქმედო არე?

_____

„ფაქტების“ რამდენ ჯგუფად იყოფა გარესამყარო?

_____

ვისთვის არის საჭირო სოციოლოგიური კვლევის შედეგები?

_____

_____

რომელი გზებით არიან დაინტერესებული სოციოლოგები?

_____

_____

რას სწავლობს ანთროპოლოგია?

_____

_____

რას სწავლობს პოლიტოლოგია?

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები
მიზნების მისი მაგალითი ზოგიერთი გვაძლევს პირველ ბუნებისა და შესახებ წარმოდგენებს

_____

ცირკულაციას ბაზრების ეკონომიკა შეისწავლის და პროდუქტების დინამიკასა

_____

კულტურულ იკვლევს ანთროპოლოგია და თავისებურებებს ეკოლოგიასა

_____

5. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

შესახებ, გზებს, სპეციალობით, იყენებენ

სოციოლოგია იკვლევს ადამიანური ცხოვრების ორგანიზების .....

სოციოლოგები სხვადასხვა გარემოში სოციალური ცხოვრების შესწავლის მიზნით სამეცნიერო კვლევით მეთოდებსა და თეორიებს .....

ზოგიერთი მაგალითი გვაძლევს პირველ წარმოდგენებს მისი ბუნებისა და მიზნების .....

სოციოლოგთა უმრავლესობა მუშაობს ერთი ან რამდენიმე .....

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. სოციალური	ცირკულაცია
ბ. სოციალური	არე
გ. ინტერესის	ქსელები
დ. სამოქმედო	ფსიქოლოგია
ე. გლობალური	სფერო
ვ. პროდუქტების	არსება

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 12. სოციოლოგიური მიდგომები

სოციოლოგიაში არსებობს სხვადასხვა მიდგომა.

პირველია **დემოგრაფიული** მიდგომა.

დემოგრაფია _ მოსახლეობის შესწავლაა, განსაკუთრებით შობადობის, სიკვდილიანობის, მიგრაციის და ადამიანების მასასთან დაკავშირებული საქმიანობისა.

მეორე მიდგომა **ფსიქოლოგიურია.**

ადამიანის ქცევას ის აგვიხსნის ადამიანის, როგორც პიროვნებისადმი, მისი მნიშვნელობის თვალსაზრისით. შეისწავლება მოტივები, აზრები, ჩვევები, სოციალური განწყობა, ადამიანის შეხედულება საკუთარ თავზე. ასეთი მიდგომა ახასიათებს ფსიქოლოგიას, მაგრამ ის, ასევე, დამკვიდრდა სოციოლოგიაში. სოციალური ფსიქოლოგები მრავალ პრობლემას შეისწავლიან, მათ შორის ისეთებს, როგორებიცაა სოციალური განწყობის ჩამოყალიბება, საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობა სოციალიზაციის პროცესში, განწყობის ფორმირება და გავრცელება პანიკასა და არეულობების სიტუაციებში.

კოლექტივისტური მიდგომა გამოიყენება, როდესაც ჩვენ ვსწავლობთ ორ ან მეტ ადამიანს, რომლებიც ქმნიან ჯგუფებს ან ორგანიზაციებს.

მკვლევარს შეუძლია ასეთი მიდგომა გამოიყენოს ოჯახის შესწავლისას, როდესაც ეს ოჯახი გეგმავს მოგზაურობას ჰავაის კუნძულებზე. მას შეუძლიათ განიხილოს მოვლენათა თანმიმდევრობა, რომელთაც ხელი შეუწყვეს დასასვენებელი ადგილის შერჩევას და შეეცადოს დაიჭიროს აქ გარკვეული კანონზომიერება. მას შეუძლიას, ასევე, შეისწავლოს ოჯახის წევრებს შორის კომუნიკაციის პროცესი და გააანალიზოს, თუ როგორ შეუწყო ხელი საბოლოო გადაწყვეტილებას ძალაუფლების გავრცელებამ ოჯახში: ჰქონდა თუ არა ოჯახის ერთ რომელიმე წევრს სხვებზე მეტი ძალაუფლება? თუ ჰქონდა, რატომ? და როგორი გავლენა ჰქონდა მას მოვლენათა სვლაზე?

მოცემული მიდგომის გამოყენება შეიძლება ჯგუფების, ბიუროკრატიული ორგანიზაციებისა და სხვადასხვაგვარი ერთობის შესწავლისას. ის დაეხმარება სოციოლოგს, გააანალიზოს კონკურენცია პოლიტიკურ პარტიებს შორის, რასობრივ საფუძველზე არსებული კონფლიქტები, მოქიშპე ჯგუფები. ის დაგვეხმარება, აგრეთვე, გავიგოთ, თუ როგორ ხდება ერთი კლასის, რასის, ეთნიკური წარმომავლობის ან ასაკის, სქესის მიხედვით ადამიანთა გაერთიანება საკუთარი ინტერესების დასაცავად. გარდა ამისა, ეს მიდგომა მნიშვნელოვანია კოლექტიური ქცევის შესწავლისას, მაგალითად, ბრბოს, აუდიტორიის რეაქციის, აგრეთვე ისეთი საზოგადოებრივი მოძრაობების, როგორებიცაა ფემინიზმი, ბრძოლა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის.

მეოთხე მიდგომით საზოგადოებრივი ცხოვრება განიხილება არა მასში მონაწილე ცალკეული ადამიანების მიხედვით, არამედ მათი **როლებით** განპირობებული ურთიერთობებით მათ შორის. როლი ეწოდება ქცევას, რომელსაც ადამიანისაგან მოელიან, როდესაც მას გარკვეული პოზიცია უკავია ჯგუფში. მაგალითად, მსხვილი კორპორაციის კადრების განყოფილებაში თქვენ ღიმილით შეგხვდებათ მოსამსახურე, ჩამოგართმევთ პალტოს, შემდეგ მდივანი მოგაწვდით ანკეტას და შეატყობინებს თქვენს მოსვლას. ბოლოს კი გაგესაუბრებათ განყოფილების უფროსი. დავადგენთ რა ჯგუფის შიგნით არსებულ როლებს, ჩვენ შევძლებთ გამოვავლინოთ ურთიერთობა ჯგუფის წევრებს შორის და, მაშასადამე, გავაანალიზოთ მისი სტრუქტურა.

ჩვენს საზოგადოებაში ასობით როლი არსებობს: პოლიტიკოსის, ამომრჩეველის, პატრონის, მოსამსახურის, საქმიანი ადამიანის, მომხმარებლის, პოლიციელის, ტუსაღის და ა.შ. ადამიანთა ქცევები გარკვეული სახით ხორციელდება ამ როლების შესაბამისად არა მხოლოდ

შეყვარებულებთან ან ოჯახის დონეზე, არამედ ისეთი ძირითადი სოციალური ინსტიტუტების დონეზეც, როგორებიცაა, მაგალითად, განათლება და რელიგია.

მეხუთე, ბოლო მიდგომა **კულტუროლოგიურია.** ის გამოიყენება კულტურის ისეთი ელემენტების საფუძველზე ქცევების ანალიზისას, როგორებიცაა საზოგადოებრივი წესები და ღირებულებები. კულტუროლოგიური მიდგომისას ქცევის წესები ან ნორმები განიხილება, როგორც ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ცალკეული ადამიანების ქცევის წესებსა და ჯგუფების ქმედებებს (მაგალითად: სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით მკვლელობა, გაუპატიურება, გაქურდვა ისჯება). არსებობს აგრეთვე ამგვარი ზნეობრივი ნორმებიც: ადამიანს ნუ უცქერ ჯიქურ, ნუ უთითებ თითით, ნუ იღეჭები ღია პირით, თუ დღეობაზე მიდიხარ, მიიტანე საჩუქარი.

იდეები, რომლებიც განსაზღვრავს, თუ რომელი საზოგადოებრივი მიზნებია სასურველი, შედის კულტურის სხვა ასპექტში. ეს იდეები ცნებებია, მათ უწოდებენ **ღირებულებებს,** ისინი განსაზღვრავს სოციალურ ნორმებს.

ამ მონაცემების ანალიზის პროცესში სოციოლოგი შეისწავლის საზოგადოების სტაბილურობისა და ცვლილებების მიზეზებს. მართლაცდა, საზოგადოების შიგნით მუდმივად მიმდინარეობს ბაგირების გადაქაჩვა.

საზოგადოებისა და მისი ინსტიტუტების სხვადასხვა დონეზე შესწავლისას მრავალ კონტექსტში შეინიშნება ეს დაძაბული პროცესი.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: კულტუროლოგია, დემოგრაფიული, ღირებულებები, სოციალური, საზოგადოება, ნორმები, როლი

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

რამდენი სახის მიდგომა არსებობს სოციოლოგიაში?

_____

რა განსაზღვრავს სოციალურ ნორმებს?

_____

როდის გამოიყენება კოლექტივისტური მიდგომა?

_____

_____

რას შეისწავლიან სოციალური ფსიქოლოგები?

_____

_____

რას შეისწავლის დემოგრაფია?

_____

_____

როგორ განიხილება საზოგადოებრივი ცხოვრება მეოთხე მიდგომით?

_____

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები
მიდგომა შესწავლისას შეუძლია მკვლევარს ასეთი გამოიყენოს ოჯახის

_____

ელემენტების ქცევების საფუძველზე ის გამოიყენება ისეთი ანალიზისას კულტურის

_____

მუდმივად გადაქაჩვა საზოგადოების მიმდინარეობს ბაგირების შიგნით

_____

5. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:
შეისწავლიან, შესწავლისას, კონფლიქტები, მიზეზებს

სოციოლოგი შეისწავლის საზოგადოების სტაბილურობისა და ცვლილებების .....
ეს მიდგომა მნიშვნელოვანია კოლექტიური ქცევის .....
ის დაეხმარება სოციოლოგს, გააანალიზოს რასობრივ საფუძველზე არსებული .....
სოციალური ფსიქოლოგები მრავალ პრობლემას .....

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. კულტურის	უფროსი
ბ. დემოგრაფიული	სამართლის
გ. ზნეობრივი	განყოფილება
დ. სისხლის	მიდგომა
ე. განყოფილების	ელემენტები
ვ. კადრების	ნორმები

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 13. **მდიდრები და ღარიბები; კონფლიქტის თეორია**

კონფლიქტის თეორია ძირითადად ჩამოყალიბდა **კარლ მარქსის** ნაწარმოებების საფუძველზე. მარქსს მიაჩნდა, რომ კლასობრივი კონფლიქტი ჩადებულია საზოგადოების საფუძველში. კლასობრივი კონფლიქტი ჩნდება იმიტომ, რომ ადამიანების გაყოფილი არიან განსხვავებულ კლასებად, რაც ასახავს მათ მდგომარეობას ეკონომიკურ სისტემაში. მარქსის თვალსაზრისით, ბურჟუაზიული საზოგადოების ძირითადი კლასებია კაპიტალისტები და დაქირავებული მუშები. ამ ორ კლასს არ გააჩნია საერთო ღირებულებები; კაპიტალისტები მიისწრაფვიან, რომ იბატონონ მუშებზე და ექსპლოატაცია გაუწიონ მათ. შედეგად, აღნიშნული კლასები მუდმივად მტრობენ ერთმანეთს.

ჩვენს საუკუნეში შეიქმნა კონფლიქტების რამდენიმე თეორია. ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თანამედროვე თეორიად ითვლება გერმანელი სოციოლოგის **რალფ დარენდორფის** კონცეფცია. დარენდორფის აზრით, კონფლიქტის მთავარი მიზეზი ის ფაქტია, რომ ადამიანებს აქვთ ძალაუფლება მეორე ადამიანზე. ძირითადი კონფლიქტები ხდება იმათ შორის, ვისაც აქვს ეს ძალაუფლება და ვისაც ის არა აქვს.

დარენდორფმა ჩამოაყალიბა კონფლიქტის თეორიის ძირითადი დებულებები.

1. ნებისმიერი საზოგადოების მთავარი განმასხვავებელი ნიშნებია ბატონობა, კონფლიქტი და დათრგუნვა.

2. საზოგადოებრივი სტრუქტურა ეფუძნება ადამიანთა ერთი ჯგუფის ძალაუფლებას მეორეზე, მაგალითად, მუშებზე - მეწარმეთა, ჯარისკაცებზე - ოფიცრებისა, სტუდენტებზე - პედაგოგების და ა.შ.

3. თითოეულს ამ ჯგუფიდან აქვს საკუთარი ინტერესები, მიუხედავად იმისა, ჯგუფის წევრებს გაცნობიერებული აქვთ ეს თუ არა; სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები განსხვავებულია და წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან. მაგალითად, კონფლიქტი შეიძლება გაჩნდეს მოგების მსურველ საქმიან ადამიანებსა და ბუნების დაცვის მოძრაობის აქტივისტებს შორის, რომელთაც აინტერესებთ ჰაერისა და წყლის სისუფთავე.

4. როდესაც ადამიანები გააცნობიერებენ თავიანთ საერთო ინტერესებს, მათ შეუძლიათ შექმნან საზოგადოებრივი კლასი, რაც შეიძლება გამოვლინდეს პროფკავშირულ მოძრაობაში, პოლიტიკური პარტიის ლობის სახით და ა.შ.

5. კლასობრივი კონფლიქტი მწვავდება, თუ: მთელი ძალაუფლება მოქცეულია რამდენიმე ადამიანის ხელში, ხოლო დანარჩენები აბსოლუტურად უუფლებონი არიან; უუფლებოებს ძალაუფლებისაკენ გზები გადაკეტილი აქვთ; ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ პოლიტიკური ჯგუფების შექმნა.

ფუნქციონალიზმი და **კონფლიქტების თეორია** არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან. ფუნქციონალისტები, ჩვეულებრივ, საზოგადოებას განიხილავენ, როგორც სავსებით მდგრად და ერთ მთლიანობას, კონფლიქტის თეორიის წარმომადგენლებს კი მიაჩნიათ, რომ აქ მუდმივად მიმდინარეობს ცვლილებები და ადგილი აქვს კონფლიქტებს. ფუნქციონალისტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ზოგადი ღირებულებების მიმართ საზოგადოების ყველა წევრის თანხმობას, ხოლო კონფლიქტის თეორიის წარმომადგენლები ძირითადად ყურადღებას უთმობენ საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ მეორის დათრგუნვას.

ორივე თეორიას აქვს თავისი ნაკლოვანებები. ფუნქციონალისტები უგულებელყოფენ იმ ფაქტს, რომ საზოგადოებების უმრავლესობებში არასოდეს არ მიიღწეოდა სრული თანხმობა

ღირებულებების საკითხებზე; კონფლიქტების თეორია ვერ არკვევს, თუ როგორ ხერხდება მუდმივი ცვლილებების დროს საზოგადოებების შენარჩუნება და არსებობა. მაგალითად, აშშ-ის ძირითადი პოლიტიკური პარტიები ვერ თანხმდებიან ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში, მაგრამ, მიუხედავად განსხვავებისა შეხედულებებში, რესპუბლიკელებიც და დემოკრატებიც კომპრომისის წყალობით ყოველ წელს ახერხებენ ფედერალური ბიუჯეტის დამტკიცებას.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: კონფლიქტი, საზოგადოება, წინააღმდეგობა, ინტერესები, ექსპლოატაცია, კლასობრივი, ძალაუფლება

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

რა არის კონფლიქტის მთავარი მიზეზი დარენდორფის აზრით?

_____
_____

როგორ განიხილავენ საზოგადოებას ფუნქციონალისტები?

_____
_____

რა მიაჩნიათ კონფლიქტის თეორიის წარმომადგენლებს?

_____

_____

რაში ვერ თანხმდებიან ამერიკის შეერთებული შტატების ძირითადი პოლიტიკური პარტიები?

_____

_____

რას უგულებელყოფენ ფუნქციონალისტები?

_____

_____

რომელია, მარქსის თვალსაზრისით, ბურჟუაზიური საზოგადოების ძირითადი კლასები?

_____

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

საკითხებზე თანხმობა უმრავლესობებში საზოგადოებების არასოდეს არ სრული ღირებულებების მიიღწეოდა

_____

_____

დათრგუნვას საზოგადოების ყურადღებას წარმომადგენლები კონფლიქტის თეორიის ძირითადად უთმობენ ერთი მიერ მეორის ნაწილის

_____

_____

გადაკეტილი უუფლებოებს აქვთ ძალაუფლებისაკენ გზები

_____

5. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

შექმნა, დამტკიცებას, ერთმანეთთან, დებულებები

სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები განსხვავებულია და წინააღმდეგობაშია .....

ადამიანებს თავისუფლად შეუძლიათ პოლიტიკური ჯგუფების .....

დარენდორფმა ჩამოაყალიბა კონფლიქტის თეორიის ძირითადი .....

რესპუბლიკელებიც და დემოკრატებიც კომპრომისის წყალობით ყოველ წელს ახერხებენ ფედერალური ბიუჯეტის .....

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____
_____
_____
_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. ფედერალური	ღირებულებები
ბ. კლასობრივი	ბიუჯეტი
გ. პროფკავშირული	ადამიანები
დ. საერთო	წევრი
ე. საზოგადოების	მოძრაობა
ვ. საქმიანი	კონფლიქტი

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 14. სოციოლოგია და თანამედროვე ეპოქა

მე-18 საუკუნემდე ევროპელები ცხოვრობდნენ უმეტესწილად პატარა, ნახევრად ავტონომიურ აგრარულ დასახლებებში, სადაც მათ ოჯახებს მანამდე თაობათა განმავლობაში უცხოვრიათ. ოჯახი იყო დასახლების ცხოვრების ბირთვი, რომელიც თავადვე ზრუნავდა საკუთარ თავზე და უზრუნველყოფდა მას. ეს დასახლებები იყო უფრო დიდი ქვეყნების ნაწილი, რომელთა მმართველებს (როგორც წესი, მეფეებს) დაწყებული ჰქონდათ იმპერიების შენება. თუმცა, ომიანობის გარდა, რიგით მამაკაცსა თუ ქალს სახელმწიფო საქმეები ნაკლებად ეხებოდა. მოგზაურობა იშვიათობა იყო და „ახალ ამბებს," უმეტესად, ადგილობრივი ჭორები შეადგენდა (არ იყო არც გაზეთები და არც რეგულარული საფოსტო მომსახურება), ყველა ერთსა და იმავე ეკლესიაში დადიოდა; მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ფერმერები შეადგენდნენ, მათი უმეტესობა არ იყო იმ მიწის მფლობელი, რომელსაც ამუშავებდა. ისინი მიწას მეტწილად იჯარით იღებდნენ მიწათმფლობელებისგან რამდენიმე საუკუნის წინ დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე. ეს სოციალური წესრიგი თითქოს ღმერთის მიერ იყო დაწესებული და იშვიათად თუ ბადებდა ეჭვს. ხალხმა იცოდა თავისი მოვალეობა და ადგილი, თაობიდან თაობამდე ცოტა რამ თუ იცვლებოდა.

ასეთივე მყარი იყო სოციალური წესრიგი თანამედროვე ეპოქამდელ ქალაქებში, კარგად დამკვიდრებული იერარქია მართავდა სოციალურ ურთიერთობებს. ოსტატები იყვნენ დაქირავებული ხელოსნების ზემდგომნი, რომელნიც, თავის მხრივ, ხელოსანთა გილდიებში გაერთიანებული შეგირდების უფროსებად ითვლებოდნენ. ისიც კი დაკანონებული იყო, რა სახის სამოსი შეეძლო ეტარებინა განსხვავებული ხელობისა და სტატუსის ადამიანს, ხოლო საბოლოო უფლებამოსილება ყველა საკითხზე ადამიანის დაბადებიდან გარდაცვალებამდე ეკლესიას ჰქონდა.

ამ ინდუსტრიამდელ სოფლებსა და ქალაქებში ცხოვრება შორს იყო იდილიურისაგან. მიწათმფლობელები ექსპლოატაციას უწევდნენ მოიჯარეებს და ხშირად ისე ბეგრავდნენ მათ, რომ შიმშილობამდეც კი მიჰყავდათ. მეზობელი მეზობელს ედავებოდა და ხანდახან საგვარეულო შუღლი თაობებზე ვრცელდებოდა. სანიტარიული პირობები ცუდი იყო, სამედიცინო მომსახურება _ პრიმიტიული, ნაადრევი სიკვდილი კი _ ხშირი. მაგრამ მიუხედავად ასეთი რთული მდგომარეობისა, სოციალური ცხოვრების განმსაზღვრელი ფაქტორები და კონტურები ცნობილი იყო. ინდუსტრიულმა რევოლუციამ შეცვალა ორივე ლანდშაფტი _ ფიზიკურიცა და სოციალურიც. მე-19 საუკუნეში ფაბრიკა-ქარხნებმა, ქვანახშირის საბადოებმა, რკინიგზამ და სატელეგრაფო ხაზებმა მოშალა ის იზოლაცია, რომელიც ტრადიციული სოფლის მეურნეობის თემების თავშესაფარი იყო. თითქოს ერთ ღამეში გაჩნდა საქარხნო ქალაქები და ქალაქის მოსახლეობაც სწრაფად გაიზარდა.

თანამედროვე ეპოქის წარმოშობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კულტურული განსხვავებების თავიდან აღმოჩენა. მოგზაურობებმა დედამიწის „შორეულ მხარეებში", ქალაქებს შორის ვაჭრობის ზრდამ და კოლონიური იმპერიების დამკვიდრებამ აიძულა ევროპელები, დაპირისპირებოდნენ მსოფლიოს განსხვავებულ კულტურათა უზარმაზარ წყებას _ თავისი დამახასიათებელი ენით, ადათ-წესებით, მრწამსით, მმართველობის სისტემითა და ცხოვრების წესით. ევროპელებსა და არაევროპელებს შორის კონტაქტის ზრდამ ორივე მათგანის ცხოვრება შეცვალა _ ყველაზე თვალნათლივ კოლონიალიზმისა და მონობის მეშვეობით. ამ კონტაქტებმა ეჭვქვეშ დააყენა გაბატონებული წარმოდგენები ადამიანის ბუნების შესახებ. ევროპელების

უმეტესობა დარწმუნებული იყო, რომ მათ საკუთარ კულტურას აშკარა უპირატესობა ჰქონდა სხვებთან შედარებით, თუმცა კულტურის ნაირგვარობამ საგონებელში ჩააგდო სწავლულები.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო თანამედროვე ეპოქის აღმოცენებას, პოლიტიკური და ინტელექტუალური ქაოსი იყო. ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციებმა შეცვალა ძველი წარმოდგენები მოვალეობებზე, ტრადიციებსა და ხელისუფლებისადმი მორჩილებაზე, ანუ ახალი იდეების მიხედვით _ ინდივიდის უფლებებზე, თანასწორობასა და თავისუფლებაზე და ყველა შემთხვევაში ეს იყო მუქარა მონარქებისადმი.

სოციალურმა ფილოსოფიამ, რომელიც განიხილავდა, როგორი უნდა ყოფილიყო საზოგადოება, ვერ შეძლო აეხსნა, რა ხდებოდა იმჟამინდელ რეალურ სამყაროში. ხალხს ესაჭიროებოდა მომავალზე გათვლილი ფაქტობრივი ინფორმაცია, რომელიც დაეყრდნობოდა თეორიებს, რომლებიც სისტემატურად შემოწმდებოდა და დაეხმარებოდა მათ თანამედროვე ეპოქის გაგებასა და მისდამი ადაპტაციაში. ასე შეიქმნა ცოდნის ახალი დარგი _ **სოციოლოგია.**

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

_____
_____
_____
_____
_____
_____

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: *ინდივიდი, თანასწორობა, თავისუფლება, კულტურა, კოლონიალიზმი, ფერმერი, მიწათმფლობელი*

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

ვინ მართავდა თანამედროვე ეპოქამდელ ქალაქებში სოციალურ ურთიერთობებს?

_____
_____

ვინ იყო დაქირავებული ხელოსნების ზემდგომი?

_____
_____

ვის ჰქონდა საბოლოო უფლებამოსილება ყველა საკითხზე ადამიანის დაბადებიდან გარდაცვალებამდე?

_____

_____

რა იყო თანამედროვე ეპოქის წარმოშობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი?

_____

_____

რა გამოიწვია ევროპელებსა და არაევროპელებს შორის კონტაქტის ზრდამ?

_____

_____

რაში იყო ევროპელების უმეტესობა დარწმუნებული?

_____

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

გათვლილი ინფორმაცია ხალხს მომავალზე ფაქტობრივი ესაჭიროებოდა

_____

_____

იყვნენ ხელოსნების ოსტატები ზემდგომნი დაქირავებული

_____

_____

ეს დაწესებული თითქოს ღმერთის წესრიგი მიერ იყო სოციალური

_____

_____

5. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

სწავლულები, ვრცელდებოდა, აღმოჩენა, შესახებ

თანამედროვე ეპოქის წარმოშობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კულტურული განსხვავებების თავიდან .....

ამ კონტაქტებმა ეჭვქვეშ დააყენა გაბატონებული წარმოდგენები ადამიანის ბუნების .....

კულტურის ნაირგვარობამ საგონებელში ჩააგდო .....

ხანდახან საგვარეულო შუღლი თაობებზე .....

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____
_____
_____
_____
_____
_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. გაბატონებული უწევს
ბ. თანამედროვე დარგი
გ. ცოდნის დასახლება
დ. სოციალური ეპოქა
ე. აგრარული წესრიგი
ვ. ექსპლოატაციას წარმოდგენები

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 15.სოციოლოგიური კვლევის სტრატეგიები

სოციოლოგიური გამოკვლევები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ტიპად: **რაოდენობრივად** და **თვისებრივად.** რაოდენობრივი კვლევისას სოციოლოგები გამოითვლიან რომელიმე სოციალური ფენომენის ცალკეულ შემთხვევებს და ცდილობენ დაუკავშირონ ისინი სხვა სოციალურ ფაქტორებს სტატისტიკური ანალიზით.

რაოდენობრივი კვლევა იყენებს მრავალგვარ სტატისტიკურ მეთოდს სხვადასხვა მახასიათებელს შორის დამოკიდებულების გამოვლენისა და მიზეზობრივი კავშირების ანალიზისთვის.

ცხადია, ყველა სოციალური მოვლენა არ შეიძლება იყოს გამოთვლილი და შეფასებული რაოდენობრივი თვალსაზრისით.

თვისებრივი გამოკვლევისას სოციოლოგები იყენებენ სიტყვიერ აღწერას, პირად დაკვირვებას და ზოგჯერ სოციალური ქცევის არსის ინტერპრეტაციას ან საზოგადოებრივი ცხოვრების სქემების დეტალების ანალიზს. თვისებრივი გამოკვლევაა, როდესაც მიმოიხილება მუშა ჯგუფები იმის განსასაზღვრად, თუ როგორ ვლინდება ლიდერის როლი, ასევე გამოკითხვა მცირეწლოვან ბავშვებში იმის დასადგენად, როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ მშობლების განქორწინებასთან.

როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ გამოკვლევებში გამოყენებულია მონაცემების შეგროვების მრავალი განსხვავებული მეთოდი _ გამოკითხვების ჩატარებიდან პირად დაკვირვებამდე, ისტორიული ჩანაწერების ამოღებიდან ექსპერიმენტების ჩატარებამდე.

სოციოლოგები იყენებენ გამოკითხვას საზოგადოებრივი აზრის შეფასებისთვის, ქცევის მოტივაციის ანალიზისა და საზოგადოების ქცევის პროგნოზისთვის. გამოკითხვისას ისინი მონაცემებს აგროვებენ გარკვეული ტიპის რესპონდენტის უშუალო გამოკითხვის ან კითხვარების გაგზავნის გზით, შესაძლოა, ორივე მეთოდითაც ერთდროულად. რესპონდენტს შეუძლია გასცეს პასუხები კითხვარებს ფოსტით, ტელეფონით ან პირისპირი საუბრის დროს. გამოკითხვა განსაკუთრებით მოსახერხებელია, როცა სოციოლოგს სურს ინფორმაციის მიღება დიდი პოპულაციისაგან მოვლენაზე, რომლის შეფასებაც მათ ღიად არ შეუძლიათ.

გამოკითხვაში შესაძლოა დასმული იყოს კითხვები სოციალურ-ეკონომიკური საკითხების ირგვლივ (ასაკი, შემოსავალი, განათლება, პროფესია და მისთანანი). რადგან გამოკითხვისას რესპონდენტმა შეიძლება გასცეს ან არ გასცეს კითხვებზე დამაჯერებელი პასუხი, გამოკითხვის შედეგები განიხილება, როგორც მიახლოებითი.

სოციოლოგიურ გამოკითხვაში მონაწილეობს ბევრი ხალხი, რომლებიც, უბრალოდ, სვამენ კითხვებს. მათი შედეგები სანდო და დასაბუთებული რომ იყოს, სოციოლოგები უნდა იყვნენ გარკვეული, ვისთვისაა შეკითხვა და როგორ უნდა გაიცეს პასუხი. სატელევიზიო ინტერვიუების დროს სატელეფონო გამოკითხვა იწვევს ფართო მასების ჩართვას და აქვს გავლენა სახალხო ლიდერებზე. საკონტროლო ჯგუფის საგულდაგულო შერჩევა არის სწორი მეცნიერული გამოკითხვის საწინდარი. გამოკითხვათა უმრავლესობის მიზანი არის რაოდენობრივი მონაცემების მიღება, ინტერვიუების შედეგიც რაოდენობრივი მონაცემებია.

თანმიმდევრობამ, რომლის მიხედვითაც სოციოლოგი სვამს კითხვებს, შესაძლოა, იქონიოს გავლენა პასუხების ხასიათზე. ადრე დასმული კითხვების პასუხებს შეუძლია იმოქმედოს იმაზე, რას ფიქრობს რესპონდენტი მოგვიანებით დასმული კითხვების შესახებ.

გამოკითხვის დროს ადამიანს შეუძლია გასცეს პასუხი ორიდან ერთ-ერთი ფორმით. დახურული პასუხის კითხვებში რესპონდენტმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი ჩამოთვლილი პასუხების ვარიანტებიდან, რომელიც მკვლევარის მიერაა შემოთავაზებული.

ღია პასუხის კითხვებში რესპონდენტი პასუხობს საკუთარი სიტყვებით. მაგალითად, სოციოლოგებს შესაძლოა სურდეთ იმის ცოდნა, რას ანიჭებენ ადამიანები ყველაზე მეტ უპირატესობას თავიანთ სამუშაოში. ისინი სვამენ კითხვას დახურული ფორმით: „გადახედეთ ამ ბარათს და მითხარით, რას ანიჭებთ ყველაზე მეტ უპირატესობას საქმეში?“ ბარათში ჩამოთვლილია ხუთი სავარაუდო პასუხი: *მაღალი შემოსავალი, სამუშაოს უსაფრთხოება, მოკლე სამუშაო დღე, განვითარების შესაძლებლობა, დამაკმაყოფილებელი სამუშაო, რაც თავს გაგრძნობინებს წარმატებულ პიროვნებად.* დახურული პასუხის მქონე კითხვის სხვა ვარიანტი მოცემული პასუხების სერიის შეფასებას შეიცავს. მაგალითად, *1 = „სრულად ვეთანხმები“-დან 5 = „სრულიად არ ვეთანხმები“-მდე.* კითხვა შეიძლება დაისვას ღია ფორმითაც: „ადამიანები სამუშაოს სხვადასხვაგვარად აფასებენ, თქვენ რას ანიჭებთ ყველაზე მეტ უპირატესობას სამუშაოში?“

როდესაც გამოკითხვისას მკვლევარს სჭირდება მეტი ინფორმაცია, ვიდრე მოკლე კითხვარი იძლევა, მათ შეუძლიათ ჩაატარონ იტერვიუ ტელეფონით ან პირადად. ინტერვიუ არის გასაუბრება, რომლის დროსაც მკვლევარი სვამს კითხვების სერიას ან განიხილავს თემას სხვა პირთან. თუ ისინი გამოიყენებენ ღია პასუხის ფორმის კითხვებს, ინტერვიუერს შეუძლია განასხვაოს, როდის შეიძლება მეტი ინფორმაციის მიღება და როდის გადავიდეს შემდეგ კითხვაზე. კარგმა ინტერვიუერმა აგრეთვე იცის, რომ ინტერვიუს დასაბუთებულობა და სანდოობა დამოკიდებულია ინტერვიუერსა და რესპონდენტს შორის ურთიერთობაზე. ისინი სწავლობენ ინტერვიუს ტონისა და ტემპის განსაზღვრას სხვადასხვა ტიპის რესპონდენტებისათვის.

ტექსტზე მუშაობა

1. **ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. **შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:** მკვლევარი, რაოდენობრივი, თვისებრივი, პასუხი, კითხვა, ინტერვიუ, გამოკითხვა

_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

რამდენი ტიპისაა სოციოლოგიური გამოკვლევები?

_____

_____

როგორ პასუხობს ღია პასუხის კითხვებში რესპონდენტი?

_____

_____

რა შემთხვევაშია გამოკითხვის შედეგები სანდო და დასაბუთებული?

_____

_____

როგორ ირჩევს დახურული პასუხის კითხვებში რესპონდენტი პასუხს?

_____

_____

რა არის გამოკითხვათა უმრავლესობის მიზანი?

_____

_____

რა არის ინტერვიუ?

_____

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები
პასუხი ერთ-ერთი დროს ადამიანს გამოკითხვის შეუძლია გასცეს ორიდან ფორმით.

_____

_____

სხვადასხვა განსაზღვრას რესპონდენტებისათვის ინტერვიუს ისინი სწავლობენ ტონისა და ტემპის ტიპის

_____

_____

მიღება რაოდენობრივი უმრავლესობის გამოკითხვათა მიზანი არის მონაცემების

_____

_____

5. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

საწინდარი, ვარიანტებიდან, მიღება, ჩართვას

ინტერვიუერს შეუძლია განასხვაოს, როდის შეიძლება მეტი ინფორმაციის .....

დახურული პასუხის კითხვებში რესპონდენტმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი ჩამოთვლილი პასუხების .....

სატელევიზიო ინტერვიუების დროს სატელეფონო გამოკითხვა იწვევს ფართო მასების .....

საკონტროლო ჯგუფის საგულდაგულო შერჩევა არის სწორი მეცნიერული გამოკითხვის .....

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. სტატისტიკური	ინტერვიუ
ბ. სატელევიზიო	შედეგები
გ. სავარაუდო	უპირატესობა
დ. სოციალური	მეთოდი
ე. მეტი	პასუხი
ვ. გამოკითხვის	ფენომენი

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 16. ლაბორატორიული ექსპერიმენტები

ლაბორატორიული ექსპერიმენტებისას სოციოლოგები საგნებს განიხილავენ ხელოვნურ გარემოში, სადაც შესაძლებელია პირობების იოლად რეგულირება.

ექსპერიმენტში, რომელიც კლასიკად იქცა, სოციოლოგმა **ფილიპ ზიმბარდომ** სტენფორდის უნივერსიტეტის შენობის საფუძველზე ააგო „ციხე“. ზიმბარდოს აინტერესებდა პატიმრისა და მცველის სოციალური როლების ზეგავლენა მათ ქცევაზე. ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად სკოლის გაზეთში განთავსებული განცხადებების საშუალებით მოიზიდეს მოხალისე სტუდენტები.

70 მოხალისე ყურადღებით შეამოწმეს. მკვლევრებმა მათგან მსგავსი პიროვნული მახასიათებლების მქონე საშუალო ფენის წარმომადგენელი 24 თეთრკანიანი მამაკაცი აირჩიეს. ინტერვიუებითა და შემოწმებებით დაადგინეს, რომ ისინი იყვნენ ჩამოყალიბებული, გონიერი და ემოციურად გაწონასწორებული _ ზიმბარდოს აზრით „საუკეთესოთა ნაკრები“. წილისყრით გადაწყდა, რომელი სტუდენტი შეასრულებდა პატიმრის როლს და რომელი _ მცველისას.

რეალური ელფერის მისაცემად 12 „ტუსაღი“ სტუდენტი გაუფრთხილებლად დააპატიმრეს, პატრულის მანქანით წაიყვანეს პოლიციაში, სადაც აუღეს თითის ანაბეჭდები და „აიყვანეს აღრიცხვაზე“, შემდეგ სკოლის „ციხეში“ გადაიყვანეს, თითოეული მათგანი გააშიშვლეს, შეამოწმეს მკბენარებზე, ჩააცვეს ფორმა, მიანიჭეს საიდენტიფიკაციო ნომერი და საკანში მოათავსეს. მცველი სტუდენტები წინასწარ იქნენ გაფრთხილებულნი, რომ უნდა უზრუნველეყოთ კანონის დაცვა და წესრიგი ინსცენირებულ ციხეში. მათ დაავალეს საკუთარი წესების შექმნა და ყურადღების მოკრება „პატიმართა აჯანყების“ რაიმე ნიშნის აღმოჩენისათვის.

დაგეგმილი იყო ორკვირიანი ექსპერიმენტი, მაგრამ იგი ექვს დღეში შეწყდა. რატომ?

იმიტომ, რომ ზიმბარდო და მისი კოლეგები ნანახმა შეაშინა. დაცვის ზოგიერთი წევრი პატიმარს, როგორც მხეცს, ისე ეპყრობოდა. ისინი იგონებდნენ სხვადასხვა მეთოდს, რათა პატიმრებს თავი უარესად ეგრძნოთ. ზოგი მცველი იყო უხეში, მაგრამ სამართლიანი, ზოგი კი _ კეთილი. მაგრამ „კარგ“ დაცვას არც ერთხელ არ შეუშლია ხელი „ცუდი“ დაცვისთვის ზიმბარდოსთან ამბის მიტანით ან რაიმე ქმედებით.

ცვლილებები „პატიმარ“ სტუდენტთა საქციელშიც იმდენადვე საგანგაშო იყო, რამდენადაც „მცველების“ საქციელი. ვინმე შეიძლება მოელოდა სტუდენტების შეკრებას უხეში მოპყრობისათვის წინააღმდეგობის გასაწევად (ბოლოს და ბოლოს, მათ არანაირი დანაშაული არ ჩაუდენიათ), მაგრამ ისინი ასე არ მოქცეულან. ერთ-ერთი პატიმარი მოათავსეს „ცალკე საკანში“ შიმშილობის გამოცხადებისთვის. თავდაპირველად მისმა მეგობარმა პატიმრებმა პროტესტი გამოთქვეს, მაგრამ როდესაც მცველმა არჩევანის საშუალება მისცა პატიმრის გათავისუფლების სანაცვლოდ ერთი ღამით საბნებზე უარი ეთქვათ, მათ საბნები არჩიეს და პატიმარი სატანჯველად გაწირეს. ინსცენირებული საიდუმლო მმართველობის შეხვედრიდან ზოგი გაშვებას იხვეწებოდა, მაგრამ არც ერთი არ მოითხოვდა გათავისუფლებას. ექვსი დღის მიწურულს პატიმარი სტუდენტები დაემსგავსნენ „მორჩილ, დეჰუმანირებულ რობოტებს“. ყველა სტუდენტმა იცოდა, რომ მონაწილეობდა ექსპერიმენტში, ფაქტობრივად, „თამაშობდა თამაშს“ პატიმარსა და მცველზე, მაგრამ ერთ კვირაზე მოკლე ხანში ექსპერიმენტი ზედმეტად დაემსგავსა სინამდვილეს. ზიმბარდოს ექსპერიმენტმა წინ წამოწია სუბიექტებთან მოპყრობის ეთიკური საკითხები.

ეთიკური და პრაქტიკული მიზეზების გამო სიტუაციათა უმრავლესობა, რომლებიც აინტერესებთ სოციოლოგებს, ლაბორატორიაში ვერ იქმნება. თუმცა ექსპერიმენტის ჩატარება და

გამომწვევი მიზეზისა და შედეგის ურთიერთობის დამტკიცება საველე პირობებში უფრო რთულია (რაც არსებობს რეალური ცხოვრების გარემოცვაში).

საველე ექსპერიმენტები ხანდახან მაშინაც ტარდება, როდესაც პოლიტიკის გამტარებლებს ამ პოლიტიკის ფართო მასების მიმართ განხორციელებამდე სურთ წინასწარ გამოსცადონ განსაზღვრული პოლიტიკის ზეგავლენა მის ეფექტებზე მონაცემთა შეგროვებით.

ტექსტზე მუშაობა

1. **ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. **შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:** ექსპერიმენტი, რეალური, სოციოლოგი, გარემო, როლი, ეთიკური, საველე

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. **უპასუხეთ კითხვებს:**

სად განიხილავენ ლაბორატორიული ექსპერიმენტებისას სოციოლოგები საგნებს?

_____
_____

რა აინტერესებდა ზიმბარდოს?

_____
_____

რამდენ ხანს უნდა გაგრძელებულიყო ექსპერიმენტი?

_____
_____

რამდენ ხანში შეწყდა ექსპერიმენტი?

_____

_____

რატომ შეწყდა ექსპერიმენტი ადრე?

_____

_____

რის გამო ვერ იქმნება ლაბორატორიაში სიტუაციათა უმრავლესობა, რომლებიც აინტერესებთ სოციოლოგებს,?

_____

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

საგნებს განიხილავენ ლაბორატორიული ხელოვნურ ექსპერიმენტებისას გარემოში სოციოლოგები

_____

_____

ნანახმა კოლეგები ზიმბარდო და მისი შეაშინა

_____

_____

საიდუმლო ზოგი მმართველობის შეხვედრიდან გაშვებას იხვეწებოდა ინსცენირებული

_____

_____

5. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

საკანში, საკითხები, რთულია, ექსპერიმენტში

ექსპერიმენტის ჩატარება საველე პირობებში უფრო .....
ერთ-ერთი პატიმარი მოათავსეს ცალკე .....
ყველა სტუდენტმა იცოდა, რომ მონაწილეობას იღებდა .....
ზიმბარდოს ექსპერიმენტმა წინ წამოსწია სუბიექტებთან მოპყრობის ეთიკური .....

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. ლაბორატორიული	მოპყრობა
ბ. ეთიკური	ნომერი
გ. ექსპერიმენტის	მახასიათებლები
დ. უხეში	საკითხი
ე. პიროვნული	ჩატარება
ვ. საიდენტიფიკაციო	ექსპერიმენტი

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 17. ქორწინება გარიგებით

ბევრ კულტურაში ქორწინებები არის ოჯახების მიერ მოწყობილი; ოჯახის სტატუსისათვის შესაფერისი რძლის ან სიძის მოძებნა უმთავარესი პრიორიტეტი იყო. ახალგაზრდები ეყრდნობიან თავიანთი მშობლების გონიერებას. ისინი იმედოვნებენ, რომ სიყვარული გაჩნდება ქორწინების შემდეგ.

ამის საპირისპიროდ, რომანტიკული სიყვარულის მიმდევრები ქორწინებას განიხილავენ, როგორც შეძენილ სტატუსს. რომანტიკოსები წლების განმავლობაში ეძებენ საუკეთესო მეორე ნახევარს და იმედი აქვთ, რომ ხანგრძლივი რომანტიკული ურთიერთობით „მოიპოვებენ“ იდეალურ შეყვარებულს. ინდივიდუალიზმი ადამიანებს ითრევს რომეოსა და ჯულიეტას მსგავს ისტორიებში, სადაც შეყვარებულები ყურადღებას არ აქცევენ არც თავიანთ საზოგადოებასა და კულტურის ნორმებს და არც მოსალოდნელ შედეგებს ითვალისწინებენ.

რომანტიკულმა სიყვარულმა ვერსად ვერ მოიკიდა ისე ფეხი, როგორც ამერიკაში. წერილების მიხედვით, რაც იმ დროს კომუნიკაციის ძირითადი საშუალება იყო, მეცხრამეტე საუკუნის რომანტიკული ურთიერთობა თვითგამორკვევისა და თავისი თავის აღმოჩენის პროცესი იყო შეყვარებულებს შორის, რომლებიც ერთმანეთში მსჯელობდნენ თავიანთი „შინაგანი მეს“ გამოვლენისა და „ნამდვილი“ გრძნობების გამოხატვის საკითხთან დაკავშირებით.

სასიყვარულო ისტორია ხიდია მამაკაცისა და ქალის სამყაროებს შორის არსებულ მზარდ უფსკრულზე.

ამერიკელები ცდილობენ, რომ დაოჯახდნენ ცხოვრების გარკვეულ პერიოდში, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, როდესაც ყველაფერი უზრუნველად ეჩვენებათ.

ჩვენი არჩევანი დამოკიდებულია იმაზე, ვის ვხვდებით, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია სოციალურ სტრუქტურასა და ქსელებზე.

სოციოკულტურული მსგავსება იწვევს „შეწყობის“ გრძნობებს. შესაძლებელია, რომ განსხვავებული სოციალური და კულტურული წარმომავლობის ხალხსაც გაუჩნდეს ერთმანეთისადმი გარკვეული გრძნობები, მაგრამ მათი ურთიერთობების შენარჩუნება ძალიან ძნელია. ერთი და იმავე წარმომავლობის ხალხს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მსგავსი შეხედულებები აქვს; მაგალითად, ბავშვების გაჩენის, პოლიტიკურ ორიენტაციასა და გემოვნების შესახებ. მსგავსება განამტკიცებს ჩვენს რწმენასა და პოზიციებს და გვაძლევს საშუალებას, რომ კომფორტულად ვიგრძნოთ თავი. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლად შეგვიძლია დავქორწინდეთ სასურველ პირზე, ჩვენი არჩევანი დამოკიდებულია სოციოკულტურულ მსგავსებაზე, სტრუქტურულ შესაძლებლობებსა და დროის შერჩევაზე.

„შეყვარებას“ ყოველთვის ჰქონდა პრაქტიკული მხარე. რომანტიკული სიყვარულის იდეოლოგია არ გამორიცხავს სხვა მახასიათებლების განხილვასაც, მაგრამ ეს პრიორიტეტების საკითხია. იმის შესწავლით, რას ანიჭებენ პარტნიორები უპირატესობას, სიყვარული და მიმზიდველობა პირველ ადგილს იკავებს დასავლეთის ყველა საზოგადოებაში (გარდა ფრანგი ქალბატონებისა, რომლებიც პირველ ადგილზე „საიმედოობას“ აყენებენ). მამაკაცები კარგ გარეგნობას უფრო მეტად აფასებენ, ვიდრე ქალები, მაშინ როდესაც ქალები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამბიციასა და გულმოდგინებას.

ორივე სქესი აფასებს ემოციურ სტაბილურობას და სრულყოფას, სასიამოვნო განწყობას, განათლებასა და ინტელექტს.

რომანტიკული სიყვარული გარკვეულ საფასურს მოითხოვს. იმ საზოგადოებაში, რომელშიც სასიყვარულო ურთიერთობები ფორმირებას ახდენენ ქორწინების მოსალოდნელ შედეგებზე, განქორწინების მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც ქორწინებები გარიგებით ხდება და პიროვნულ მიმზიდველობას მინიმალური მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების მისაღებად.

ტექსტზე მუშაობა

1. **ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. **შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:** ქორწინება, სტაბილურობა, რომანტიკული, სიყვარული, არჩევანი, ოჯახი, საზოგადოება

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

რას მოითხოვს რომანტიკული სიყვარული?

_____
_____

რაზეა დამოკიდებული ჩვენი არჩევანი?

_____
_____

როგორ განიხილავენ ქორწინებას რომანტიკული სიყვარულის მიმდევრები?

_____
_____

რას იწვევს სოციოკულტურული მსგავსება?

_____

_____

რას აყენებენ პირველ ადგილზე ფრანგი ქალბატონები?

_____

_____

რა ასრულებს ხიდის როლს მამაკაცისა და ქალის სამყაროებს შორის არსებულ მზარდ უფსკრულზე?

_____

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

მნიშვნელობას ამბიციასა ანიჭებენ ქალები დიდ და გულმოდგინებას

_____

საზოგადოებაში დასავლეთის სიყვარული და პირველ ადგილს იკავებს მიმზიდველობა ყველა

_____

_____

დავქორწინდეთ სასურველ შეგვიძლია თავისუფლად პირზე

_____

5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:
შეხედულებები, სტრუქტურულ, წარმომავლობის, არჩევანი, სასურველ, ორიენტაციასა

ერთი და იმავე ..... ხალხს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მსგავსი ..... აქვს; მაგალითად, ბავშვების გაჩენის, პოლიტიკურ ..... და გემოვნების შესახებ. მსგავსება განამტკიცებს ჩვენს რწმენასა და პოზიციებს და გვაძლევს საშუალებას, რომ კომფორტულად ვიგრძნოთ თავი. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლად შეგვიძლია დავქორწინდეთ ..... პირზე, ჩვენი ..... დამოკიდებულია სოციოკულტურულ მსგავსებაზე, ... შესაძლებლობებსა და დროის შერჩევაზე.

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____
_____
_____
_____
_____
_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. რომანტიკული	მხრივ
ბ. გარკვეული	სიყვარული
გ. პოლიტიკური	ანიჭებს
დ. მნიშვნელობას	განწყობა
ე. თავის	ორიენტაცია
ვ. სასიამოვნო	საფასური

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 18. ნორმა

ნორმა ამა თუ იმ სიტუაციაში ქცევისა და მოქმედების განმსაზღვრელი გზამკვლევია.

ის ღირებულებებზე უფრო ვიწრო მნიშვნელობისაა. მაგალითად, ინდივიდუალურობა და პატიოსნება _ ღირებულებებია, ხოლო ის წესი, რომ მოსწავლემ გვერდზე მჯდომი მოსწავლისგან დავალება არ უნდა გადაიწეროს, უკვე ამ ღირებულებებზე აღმოცენებული ნორმა.

ნორმები ზოგჯერ ძალიან მკაცრი და განსაზღვრულია; ასეთები გვხვდება ბიბლიურ პოსტულატებში, კანონებში. უფრო ხშირად კი ნორმები ის ჩვევებია, რომლებსაც ადამიანები ულაპარაკოდ, უყოყმანოდ და გაუცნობიერებლად მისდევენ ხოლმე. თუ არასასურველი ადამიანი პაემანზე გეპატიჟებათ, რეალური მიზეზის დასახელების ნაცვლად, უარის თქმის ზრდილობიან ფორმას გამოძებნით და შემდეგ მიზეზს მოიშველიებთ: „დაკავებული ვარ“, ან „სხვას უნდა შევხვდე“.

ღირებულებებისაგან განსხვავებით, ნორმები სწრაფად იცვლება. 50-იან წლებში სიგარეტის მოწევა ერთობ მდიდრულ, ზოგჯერ სექსუალურ ჟესტადაც კი ითვლებოდა. ნორმების თანახმად, კარგი დიასახლისის სუფრაზე ყოველთვის რამდენიმე საფერფლე უნდა ყოფილიყო. მას შემდეგ, რაც რეალობამ დაგვანახა, რომ სიგარეტი ჯამრთელობისთვის არასასურველი და მავნებელია, იწვევს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, მოწევა უკვე არა მარტო სახიფათო, არამედ ბინძურ და მავნე ჩვევად იქცა.

ხშირად ადამიანები თავიანთი კულტურისთვის დამახასიათებელ ნორმებს უბრალოდ მექანიკურად მისდევენ. ეს თავისთავად ბუნებრივ ნორმებს შეეხება; მაგალითად, პასუხის გაცემა ადამიანისთვის, რომელიც შეკითხვით მოგმართავთ. ჩვენ ამას სხვა ადამიანებისგან, საკუთარი გამოცდილებებიდან, ტელევიზიიდან, წიგნებიდან ვიგებთ. ეს გათავისებული ჩვევები ყოველთვის გვეხმარება სხვადასხვა სიტუაციისთვის მისაღები და მიუღებელი ნორმის გარჩევაში. უმარტივეს სიტუაციებში პაუზის გაკეთება და შესაფერის ქცევაზე ფიქრის დაწყება საზოგადოებრივ ქმედებას უბრალოდ შეაფერხებს და შეუძლებელს გახდის.

მართალია, ნორმები ისეთი მყარი არ არის, როგორიც ღირებულებები, მაგრამ მათი ზემოქმედების ძალა საგრძნობლად მნიშვნელოვნია. სოციოლოგმა არნოლდ გარფინკელმა ამის ჩვენება ერთი ექსპერიმენტის ჩატარების დახმარებით გადაწყვიტა. მან სტუდენტებს სთხოვა, მშობლებითვის ფამილარული მიმართვის ნაცვლად ოფიციალურად მიემართათ: მისტერ, მის და ა.შ. და მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მიმართვა სიყვარულისა და პატივისცემის ხარისხს სრულებითაც არ აკნინებს, მშობლემისთვის ის სრუალიად უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა.

ნორმები იცვლება ადამიანების მხრიდან მათი მნიშვნელობის განსაზღვრისა და ძალადობის მიმართ გამოხატული რეაქციის მიხედვით. ხალხური ზნე-ჩვეულებები უბრალო ყოველდღიური ჩვევებია. დამთქნარებისას პირზე ხელს ვიფარებთ, ხელის ჩამორთმევით ვეგებებით სტუმარს იმიტომ, რომ ასეთია წეს-ჩვეულებები. ადამიანები, რომლებიც ამ წეს-ჩვეულებებს უარყოფენ _ მეამბოხეებად, ექსცენტრიკულებად ან სნობებად ინათლებიან. თუმცა, როგორც წესი, მათ მიმართ დამოკიდებულება მაინც ტოლერანტულია. ამის საპირისპიროდ, ზნეობის უგულებელყოფა ყოველთვის მძაფრ რეაქციებს იწვევს. ზნეობა ადამიანებისთვის საკრალური და ხელშეუხებელი ღირებულებებია. ზნეობას ეწინააღმდეგება ინცესტი, კანიბალიზმი, ბავშვებზე განხორციელებული სექსუალური ძალადობა. ისინი, ვინც ზნეობის ჩარჩოს სცილდებიან, საზოგადობისაგან გარიყულები, განკიცხულნი, დასჯილნი არიან.

ზოგი ნორმა დღეს სახელმწიფო ძალით გატარებულ კანონებად გადაიქცა.

ტექსტზე მუშაობა

1. **ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. **ამ სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:** ნორმა, ზნეობა, ტოლერანტული, კანონი, ქცევა, ქმედება, წეს-ჩვეულებები

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

რის მიხედვით იცვლება ნორმები?

_____
_____

რისი განმსაზღვრელი გზამკვლევია ნორმა?

_____
_____

რით განსხვავდება ღირებულებებისაგან ნორმები?

_____
_____

რა ცვლილება განიცადა ზოგიერთმა ნორმამ დღეს?

_____
_____

დამთქნარებისას პირზე ხელს ვიფარებთ. რატომ?

_____

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

ხალხური ჩვევებია ზნე-ჩვეულებები ყოველდღიური უბრალო

_____

_____

ხელშეუხებელი ზნეობა ადამიანებისთვის და ღირებულებებია საკრალური

_____

_____

ზნეობის მძაფრ იწვევს ყოველთვის უგულებელყოფა რეაქციებს

_____

_____

5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

სტუდენტებს, პატივისცემის, სოციოლოგმა, ოფიციალურად, ფამილარული, ექსპერიმენტის

..... არნოლდ გარფინკელმა ამის ჩვენება ერთი ..... ჩატარების დახმარებით გადაწყვიტა. მან ..... სთხოვა, მშობლებითვის ..... მიმართვის ნაცვლად ..... მიემართათ: მისტერ, მის და ა.შ. ასეთი მიმართვა სიყვარულის და ..... ხარისხს სრულებითაც არ აკნინებს.

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. პასუხის	ჩამორთმევა
ბ. პაუზის	განსაზღვრა
გ. ზემოქმედების	გაკეთება
დ. ხელის	გაცემა
ე. ზრდილობიანი	ძალა
ვ. მნიშვნელობის	ფორმა

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 19. სიმბოლოები

ქცევის წესების, ცუდისა და კარგის განმსაზღვრელი შეფასებების გარდა, კულტურა იძლევა იმ დამატებით მინიშნებებსაც, რომლებსაც საგნების არსისა და მნიშვნელობის ახსნა შეუძლიათ. სწორედ ეს არის სიმბოლოების მთავარი ფუნქცია. სიმბოლოებია ჟესტები, ხმები ან გამოსახულებები, რომელთაც, თავიანთი პირდაპირი მნიშვნელობის გარდა, სხვა დატვირთვაც ეძლევა. მაგ.: **ჯვარი** გეომეტრიულად ორი ურთიერთგადამკვეთი ხაზია, ქრისტიანებისთვის კი _ მსხვერპლის, ტკივილის, თავგანწირვის, რწმენის, იმედისა და გადარჩენის სიმბოლო. ასეთივე სიმბოლოებია სიტყვებიც. სიტყვა „გრიინ“ _ ბგერების უბრალო ჟღერადობა, ინგლისელთათვის გარკვეული ფერის აღმნიშვნელია.

როგორც ვხედავთ, აუცილებელი არ არის სიმბოლოებს ჰქონდეს თავისი პირდაპირი დანიშნულების ან გამოსახულების მნიშვნელობა. ხშირად, სიმბოლოებს განსაკუთრებული მნიშვნელობა რაღაც მემკვიდრეობითი ხარისხით გადაეცემათ ხოლმე (მაგალითად, ლომი – უძლიერესი იმპერიის სიმბოლო).

ზოგჯერ სიმბოლოსთვის მინიჭებული მნიშვნელობა უბრალოდ ტრადიციის, შეთანხმებისა და პირობითობის გამომხატველია. ამიტომაც, არცთუ იშვიათად, განსხვავებულ ხალხებსა და კულტურებში ერთსა და იმავე სიმბოლოებს აბსოლუტურად განსხვავებული დატვირთვა აქვს. ერთგან შავი მწუხარების გამომხატველია, სხვაგან იგივე დატვირთვა წითელ ან თეთრ ფერს აქვს. ერები ამ შემთხვევაში არ კარნახობენ ერთმანეთს საგნის მნიშვნელობას. ამიტომაც, როცა საგანი პირობითად არის რაღაც სიმბოლოს მატარებელი, ის საკმაოდ იოლად და ხშირად შეიძლება შეიცვალოს.

ხშირად სიმბოლურ შენიღბვას ჩვეულებრივი უტილიტარული საგნებიც კი იძენენ ხოლმე. ეს საგნები მატერიალური კულტურის ნაწილია _ კულტურულ ნოუ ჰაუზე დაფუძნებული და სიმბოლური დატვირთვით ინტერპრეტირებული, ადამიანების მიერ ათვისებული ფიზიკური ნივთები. ხშირად მანქანა ტრანსპორტირების ერთ-ერთ საშუალებაზე უფრო მეტს ნიშნავს. ის სტატუსის, თავისუფლების, დამოუკიდებლობის, მობილობის, ზოგჯერ, ეროვნულობისა და პატრიოტულობის სიმბოლოც კი ხდება (ამერიკული წარმოების მანქანები - იაპონურების წინააღმდეგ). ამერიკელთათვის მანქანა კულტურული გამოხატულების მაჩვენებელია და ეს რეკლამის მწარმოებლებმაც კარგად უწყიან. მაღალსიჩქარიანი მძლავრი ძრავის მქონე, ნებისმიერ რელიეფზე მოსიარულე მანქანები ახალგაზრდა და თავგადასავლების მოყვარული ადამიანებისთვისაა განკუთვნილი. უფრო მსუბუქ, მოხერხებულ და დაცულ მანქანებს ძირითადად ოჯახები ანიჭებენ უპირატესობას. არსებობს ელეგანტური სალონების მქონე ფუფუნებისა და სიმდიდრის გამომხატველი მანქანებიც.

რეკლამირების ასეთი მნიშვნელოვანი როლი კულტურაში იმით აიხსნება, რომ სიმბოლოების გამოყენება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კომუნიკაციას. რეკლამა ის ძირითადი იარაღია, რომელსაც საზოგადოებრივი დატვირთვის მქონე მატერიალური საგნების შესახებ ინფორმაცია მთელ მოსახლეობამდე მიაქვს. რეკლამა არა მარტო პროდუქციის გასაღების მიზნით მოგონილი ბიზნესელემენტია, არამედ კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილიც.

ზოგჯერ ადამიანები გარკვეულ სიმბოლოებს თავისებურ ახნასაც უმატებენ. შუა ხნის ადამიანისთვის ჯიპის ტარება შესაძლოა ახალგაზრდობაში დარჩენის ერთ-ერთი საშულება იყოს, ახალგაზრდა ქალაქელისთვის კი _ საკუთარი სტატუსის რეკლამის საგანი. ინტერპრეტაციებიც

უამრავია. მაგრამ თუკი ადამიანები თავიანთ ქმედებებს გარშემო მყოფთა ქმედებებს უკავშირებენ, მათ სამყაროს იდენტური გაგება და აღქმაც უნდა ჰქონდეთ. ამიტომაც, საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოუდგენელია კოლექტიური შემოქმედებისა და სიმბოლოების ათვისების გარეშე.

ტექსტზე მუშაობა

1. **ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. **შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:** *სიმბოლო, რეკლამა, კულტურა, ინფორმაცია, მნიშვნელობა, დანიშნულება, დატვირთვა*

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

როგორი საგნები იძენენ ხოლმე ხშირად სიმბოლურ შენიღბვას?

_____
_____

აუცილებელია თუ არა, რომ სიმბოლოებს ჰქონდეს პირდაპირი დანიშნულების ან გამოსახულების მნიშვნელობა?

_____
_____

რას უმატებენ ხოლმე ზოგჯერ ადამიანები გარკვეულ სიმბოლოებს?

_____
_____

რისი მაჩვენებელია ამერიკელთათვის მანქანა?

_____

_____

ვინ ანიჭებს უპირატესობას მსუბუქ, მოხერხებულ და დაცულ მანქანებს?

_____

_____

რითი აიხსნება რეკლამირების მნიშვნელოვანი როლი კულტურაში?

_____

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

თავისებურ გარკვეულ ზოგჯერ ახნასაც უმატებენ სიმბოლოებს ადამიანები

_____

_____

ათვისების საზოგადოებრივი შემოქმედებისა წარმოუდგენელია ცხოვრება კოლექტიური და სიმბოლოების გარეშე

_____

_____

საშუალებაზე უფრო მანქანა ერთ-ერთ მეტს ნიშნავს ტრანსპორტირების

_____

_____

5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:
საზოგადოებრივი, კულტურის, გასაღების, სიმბოლოების, მატერიალური, ინფორმაცია

..... გამოყენება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კომუნიკაციას. რეკლამა ის ძირითადი იარაღია, რომელსაც ..... დატვირთვის მქონე ..... საგნების შესახებ ..... მთელ მოსახლეობამდე მიაქვს. რეკლამა, არა მარტო პროდუქციის ..... მიზნით მოგონილი ბიზნესელემენტია, არამედ ..... ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილიც.

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____
_____
_____
_____
_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. უწყობს	მოყვარული
ბ. დატვირთვის	უპირატესობას
გ. თავგადასავლების	ახსნა
დ. რეკლამის	ხელს
ე. ანიჭებს	მქონე
ვ. მნიშვნელობის	მწარმოებელი

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 20. ენა და ლინგვისტური მრავალსახეობა

ენა ვერბალური და წერითი სიმბოლოების სისტემაა. შეუძლებელია გვერდი აუარო ენის არსებით მნიშვნელობას კულტურის განვითარების, გარდაქმნისა და ამოქმედების საქმეში. ენა ადამიანებს საგნების მნიშვნელობის კლასიფიცირებასა და თაობებისთვის მის გადაცემაში ეხმარება. ენის საშუალებით ვიგებთ სხვათა გამოცდილებების შესახებ. ენა სცდება კონკრეტულობის საზღვრებს, მისთვის არ არსეობს მხოლოდ აქ და ახლა; მისი დახმარებით ვინარჩუნებთ წარსულს და ვჭვრეტთ მომავალს, ვახორციელებთ კომპლექსურ გეგმებსა და იდეებს.

ენას აქვს განსაზღვრული სტრუქტურა და წესები, რომლებიც ბგერებისა და ასოების სიტყვებად, ხოლო სიტყვების წინადადებებად ჩამოყალიბებაში გვეხმარება. მის სტრუქტურას საგნის მნიშვნელობის გამოხატვაში არსებითი დატვირთვა ეძლევა.

წინადადებებში ბგერების ან სიტყვების თვითნებური გადანაცვლება აზრისა და მნიშვნელობის დაკარგვას იწვევს. თუ გვსურს, რომ კომუნიკაცია შედგეს და ნათქვამი მეორე პირამდე სრულად მივიდეს, აუცილებელია გრამატიკული და სინტაქსური წესების გათვალისწინება და დაცვა. ენის სტრუქტურას შეისწავლიან ლინგვისტები.

სოციოლოგები ხშირად ინტერესდებიან, როგორ იყენებენ ადამიანები ენას საზოგადოებრივ აქტიურობაში და როგორ ეყრება საფუძველი საზოგადოებრივ გაგებას.

ენა საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის რეალურად ხელმისწვდომი რესურსია. ყველა ჩვენგანი იყენებს მას ურთიერთობების დასამყარებლად და სწორედ ამ ენით მართული კომუნიკაცია აახლოებს ადამიანებს ერთმანეთთან.

ენა არა მარტო აახლოებს ხალხებს, არამედ განასხვავებს კიდეც მათ, ის არის საზოგადოებრივი ნიშანი, რომელიც გვეხმარება ხალხების, მათი ჯგუფური კუთვნილების, განათლების, სტატუსის გაგებაში. წარმატებული ავტორიტეტული პირი მნიშვნელოვანი ბიზნესშეხვედრის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობის ფრაზებზე შესაბამის აქცენტს აკეთებს და განსაკუთრებულად დამაჯერებელი მანერით ასაბუთებს მათ.

ენა უდიდეს როლს ასრულებს როგორც კულტურული თვითმყოფადობის, ისე კულტურული მრავალსახეობის განვითარებაში. დღეს მსოფლიოში ბევრი მრავალენოვანი საზოგადოებაა. ეს ახალი მოვლენა არ გახლავთ. წარსულში, როცა ხალხი შორეულ ვაჭრობაში იყო ჩართული ან დიდი იმპერიების შემადგენლობაში შედიოდა, რამდენიმე ენის ცოდნა აუცილებელიც კი იყო. ინდოეთი თითქმის მთელი ისტორიის განმავლობაში განსხვავებული ენების და კულტურის მქონე პატარა შტატებისაგან შედგებოდა.

მრავალი ენის ცოდნა პრაქტიკული საჭიროებით იყო განპირობებული. თანამედროვე ინდოეთში ჰინდი ენა ეროვნულობის იდეის განმტკიცების მიზნით ოფიციალურ ენად გამოცხადდა, თუმცა ყველა ინდოელი ჰინდიზე არ ლაპარაკობს. მეტიც, ჰინდის კონკურენციას უწევს ინგლისური, რაც ინდოეთის დიდი ბრიტანეთის კოლონიად ყოფნით იყო განპირობებული. დღეს მისი ცოდნა უკიდურესად აქტუალურია გლობალურ ეკონომიკაში ეფექტური ჩართვისათვის.

აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში სხვადასხვა ენაზე საუბრობენ. ზოგ რეგიონში ოფიციალურ ენასთან ერთად არსებობს სხვა დომინანტი ენებიც, მაგალითად, ბასკური, კატალონიური, უელსური, რომანული. რამდენადაც ინტეგრირებული ხდება ევროპული საზოგადოება, იმდენად იმატებს სხვა ენების ცოდნის აუცილებლობაც. ევროპის საბჭოში მუშაობის დასაწყებად ბრიუსელის სათავო ოფისში სამუშაოზე ასაყვან კანდიდატს ბიზნესწერილების

მომზადება და სატელეფონო ზარებზე პასუხის გაცემა ხუთ ენაზე ევალება, ამათგან ორს მაინც სრულყოფილად უნდა ფლობდეს.

ტექსტზე მუშაობა

1. **ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. **შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:** ენა, ლაპარაკობს, ვერბალური, ეროვნული, სახელმწიფო, განათლება, ფლობს

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. **უპასუხეთ კითხვებს:**

რას იწვევს წინადადებებში ბგერების ან სიტყვების თვითნებური გადანაცვლება?

_____
_____

რითი ინტერესდებიან სოციოლოგები ხშირად?

_____
_____

რითი იყო განპირობებული წინათ მრავალი ენის ცოდნა?

_____
_____

როგორია დღეს მსოფლიოში საზოგადოება ენის თვალსაზრისით?

_____

როგორი რესურსია ენა საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის?

_____

როგორი სისტემაა ენა?

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

ენის საჭიროებით პრაქტიკული მრავალი ცოდნა იყო განპირობებული

_____

ქვეყანაში საუბრობენ სხვადასხვა აღმოსავლეთ ენაზე ევროპის ზოგიერთ

_____

საზოგადოების ხელმისწვდომი ნებისმიერი ენა რეალურად რესურსია წევრისთვის

_____

5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ინდოელი, თანამედროვე, კონკურენციას, ოფიციალურ, ეროვნულობის, ბრიტანეთის

..... ინდოეთში ჰინდი ენა იდეის განმტკიცების მიზნით ..... ენად გამოცხადდა, თუმცა ყველა ..... ჰინდიზე არ ლაპარაკობს. მეტიც, ჰინდნას ..... უწევს ინგლისური, რაც ინდოეთის დიდი ..... კოლონიად ყოფნით იყო განპირობებული.

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. სინტაქსური	საზოგადოება
ბ. პრაქტიკული	აქცენტს
გ. აახლოებს	სტრუქტურა
დ. აკეთებს	საჭიროება
ე. მრავალენოვანი	წესები
ვ. ენის	ხალხებს

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 21. ჟურნალისტი – პროფესია, რომელსაც ვირჩევთ

სად არის შესაძლებელი დაეუფლო ჟურნალისტის პროფესიას? რას ფიქრობენ ის სტუდენტები, რომლებმაც არჩევანი უკვე შეაჩერეს ამ სფეროზე? რა სირთულეები ახლავს მას თან? – ამ ყველაფრის გარკვევაში დახმარება სტუდენტებს ვთხოვეთ. ყველა მათგანი ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სხვადასხვა უნივერსიტეტისა და კურსის სტუდენტია.

ანა მებურიშვილი, თსუ-ს მესამე კურსის სტუდენტი:

ჟურნალისტობა ბავშვობიდან უნდოდა. თვლიდა, რომ ჟურნალისტები ყველა მნიშვნელოვან ამბავს სხვებზე ადრე იგებენ. ამასთანავე, მიაჩნდა, რომ ჟურნალისტისთვის დამახასიათებელ თვისებებს – კომუნიკაბელურობას, კარგი წერის უნარს და კითხვის სიყვარულს – ფლობდა. ამიტომ არჩევანის გაკეთება მისთვის რთული არ ყოფილა. პროფესია არჩეული ჰქონდა, ჯერი უნივერსიტეტზე მიდგა. მიუხედავად იმის, რომ ფინანსურმა მხარემ არჩევანის გაკეთებისას გადამწყვეტი როლი შეასრულა, ანასთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო თსუ-ს ისტორია, სახელი და გამოცდილება. მოსწონს, რომ სტუდენეტები ჯგუფებად არ იყოფიან და ერთ ლექციაზე უამრავი სხვადასხვა მიმართულების სტუდენტის გაცნობაა შესაძლებელი. ასევე, დადებითად მიაჩნია ის ფაქტი, რომ სტუდენტებს საშუალება აქვთ სასწავლო პროცესში მომზადებული მასალები განათავსონ თსუ-ს მულტიმედია ცენტრის საიტზე, გაზეთსა თუ ჟურნალში.

მარიამ ყაზარაშვილი კავკასიის უნივერსიტეტის მედიასკოლაში სწავლობს. ჩაბარების პირველ წელს მას გაუჭირდა იმ ტემპით მუშაობა, რასაც უნივერსიტეტი ითხოვდა. როგორც ყველა პირველკურსელს, მასაც ახასიათებდა წუწუნი უნივერსიტეტში გატარებული ხანგრძლივი დროისა და ბევრი სამეცადინოს გამო. თუმცა დღეს თვლის, რომ სხვანაირად ვერც წარმოუდგენია. „ამ გადასახედიდან პირველ კურსს რომ ვუყურებ, აღარ მეჩვენება ძალიან რთული და გული მწყდება, რომ ჩემს კავკასიას უნდა გამოვეთხოვო. ძალიან ბევრი რამე ვისწავლე, გავიზარდე და დიდი ცოდნითა და კარგი სივით მივდივარ. ზოგადად, ცხოვრებაში კარგი ნაცნობის ყოლა ძალიან მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტმა მოგვცა იმის საშუალება, რომ ბევრი ცნობილი, საჭირო და კვალიფიციური ადამიანი უკვე ლექტორების სახით კარგად გაგვეცნო'', – ამბობს მარიამი.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტის **ვერიკო ბუბუთეიშვილის** თქმით, ბავშვობიდან ამ სფეროში ხედავდა საკუთარ თავს. თავიდან ამას მხოლოდ ოცნების სახე ჰქონდა, შემდეგ კი შეძლო ოცნება რეალობად ექცია და დღეს ჟურნალისტია.

ვერიკო ბევრს საუბრობს **სდასუ**ს დადებით მხარეებზე. „გვაქვს საკუთარი ტელევიზია, რადიო, ელექტრონული ჟურნალი, რაც გვეხმარება ჟურნალისტური თვისებების განვითარებასა და ამ თვისებების პრაქტიკულ გამოყენებაში. ასევე აქ არის საჭირო ნივთებით დაკომპლექტებული ლაბორატორიები, რომლებიც სხვადასხვა ფაკულტეტისთვისაა გამოყოფილი. გვაქვს კომფორტული გარემო და იგრძნობა მეგობრული დამოკიდებულება სტუდენტებსა და ლექტორებს შორის", – გვითხრა მან.

სალომე საგინაშვილი GIPA-ში ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის მიმართულებით უკვე მეორე წელია, სწავლობს. წლიურად სწავლაში 5000 ლარს იხდის.

„როდესაც მეკითხებიან, რა არის GIPA-ს უპირატესობაო, ვპასუხობ ხოლმე, რომ სოციალურ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამა ეფუძნება თავისუფალი მეცნიერებების სწავლების პრინციპებს: ზოგადიდან კონკრეტულისკენ სვლას, თეორიული ცოდნის მიწოდება-მიღების და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების სინთეზს. GIPA – ეს არის სივრცე საინტერესო ექსპერიმენტებისთვის. ადგილი, სადაც მიზნები მიღწევებად იქცევა", – ასე აღწერს სალომე სასწავლო პროცესს.

ნათია დაშნიანის მიხედვით

ტექსტზე მუშაობა

1. **ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:**

--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---
--- ---

2. **შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:** *ჟურნალისტი, უნივერსიტეტი, ტელევიზია, ფაკულტეტი, სტუდენტი, ლექტორი, ბაკალავრი*

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

სად სწავლობს მარიამ ყაზარაშვილი?

_____

სად სწავლობს ვერიკო ბუბუთეიშვილი?

_____

სად სწავლობს ანა მებურიშვილი?

_____

სად სწავლობს სალომე საგინაშვილი?

_____

რამდენს იხდის წლიურად სალომე საგინაშვილი?

_____

რაზე საუბრობს ბევრს ვერიკო?

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

ჰქონდა ოცნების მხოლოდ თავიდან ამას სახე

_____

_____

ეფუძნება მეცნიერებების საბაკალავრო თავისუფალი სოციალურ პროგრამა სწავლების პრინციპებს მეცნიერებათა

_____

_____

ხანგრძლივი მასაც წუწუნი გატარებული დროისა და ბევრი ახასიათებდა სამეცადინოს უნივერსიტეტში გამო

_____

_____

5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

უნივერსიტეტმა, პირველ, ცოდნითა, ცხოვრებაში, კვალიფიციური, რთული

ამ გადასახედიდან ..... კურსს რომ ვუყურებ, აღარ მეჩვენება ძალიან ..... და გული მწყდება, რომ ჩემს კავკასიას უნდა გამოვეთხოვო. ძალიან ბევრი რამე ვისწავლე, გავიზარდე და დიდი ..... და კარგი სივით მივდივარ. ზოგადად ..... კარგი ნაცნობის ყოლა ძალიან მნიშვნელოვანია, ... მოგვცა იმის საშუალება, რომ ბევრი ცნობილი, საჭირო და ..... ადამიანი უკვე ლექტორების სახით კარგად გაგვეცნო

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____
_____
_____
_____
_____
_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. სასწავლო	უნარი
ბ. საბაკალავრო	სიყვარული
გ. კომფორტული	პროგრამა
დ. წერის	სწყდება
ე. კითხვის	გარემო
ვ. გული	პროცესი

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 22. ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

პრეამბულა

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ერთ–ერთი ძირითადი უფლებაა. ჟურნალისტის ნებისმიერი პროფესიული უფლება–მოვალეობა გამომდინარეობს საზოგადოების უფლებიდან, იყოს ინფორმირებული მოვლენებისა და თვალსაზრისების შესახებ.

ქარტია ეფუძნება ევროპის საბჭოს „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-10 მუხლსა და „ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაციის“ მიერ აღიარებულ „ჟურნალისტების ქცევის პრინციპების დეკლარაციას“. ეს პრინციპები პროფესიული ქცევის სტანდარტად დამკვიდრდა იმ ჟურნალიტებისთვის, რომლებიც მოიპოვებენ, გადასცემენ და ავრცელებენ ინფორმაციასა და კომენტარებს მიმდინარე მოვლენებზე.

საქართველოს მედიის წარმომადგენლები ვცნობთ და ვაღიარებთ ქვემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დაცვის ვალდებულებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას. საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, პროფესიულ საკითხებს მხოლოდ ჩვენივე კოლეგების უფლებამოსილებად განვიხილავთ და გამოვრიცხავთ ხელისუფლების ან სხვა ძალის ნებისმიერი სახით ჩარევას ამ უფლებამოსილებების განხორციელებაში.

ქარტია

1. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

2. დაუშვებელია ჟურნალისტის იძულება, პროფესიული საქმიანობისას მოიქცეს ან აზრი გამოხატოს საკუთარი სინდისის წინააღმდეგ.

3. ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია.

4. ინფორმაციის, ფოტოების ან დოკუმენტების მოპოვებისას ჟურნალისტმა მხოლოდ კეთილსინდისიერი და სამართლიანი მეთოდები უნდა გამოიყენოს.

5. მედია ვალდებულია, შეასწოროს გამოქვეყნებული არსებითად არაზუსტი ინფორმაცია, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება.

6. ჟურნალისტის მორალური პასუხისმგებლობაა, არ გაამჟღავნოს კონფიდენციურად მოპოვებული ინფორმაციის წყარო.

7. ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

8. ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები; პროფესიული საქმიანობისას უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭოს ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოს და არ გამოაქვეყნოს ბავშვების შესახებ ისეთი სტატიები ან რეპორტაჟები, რომლებიც საზიანო იქნება მათთვის. ჟურნალისტმა არ უნდა ჩამოართვას ინტერვიუ და არ უნდა გადაუღოს ფოტო 16 წელზე

ნაკლები ასაკის მოზარდს მშობლის ან მეურვის თანხმობის გარეშე იმ საკითხებზე, რომლებიც მისი ან სხვა რომელიმე მოზარდის კეთილდღეობას ეხება.

9. სარედაქციო მასალები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს მარკეტინგული, სარეკლამო და სპონსორის მიერ დაფინანსებული მასალებისაგან.

10. ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი.

11. ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები:

- ფაქტის განზრახ დამახინჯება;
- ნებისმიერი სახის ქრთამის, საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება პროფესიულ საქმიანობაზე გავლენის მოხდენის სანაცვლოდ;
- პლაგიატი.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: *ქარტია, უფლებები, ინფორმაცია, სიმართლე, საქმიანობა, სტატია, ინტერვიუ*

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

რას უნდა სცეს პატივი ჟურნალისტმა?

_____

რა არის ჟურნალისტის მორალური პასუხისმგებლობა?

_____

_____

რა არის ჟურნალისტის უმძიმესი პროფესიულ დანაშაული?

_____

_____

რისგან უნდა გაიმიჯნოს სარედაქციო მასალები მკვეთრად?

_____

_____

რა არის დაუშვებელი?

_____

_____

რა უნდა ესმოდეს ჟურნალისტს?

_____

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები.

გაიმიჯნოს მარკეტინგული სარედაქციო უნდა მასალებისაგან მასალები მკვეთრად

_____

_____

სიტყვისა ძირითადი და გამოხატვის ადამიანის უფლებაა თავისუფლება ერთ-ერთი

_____

_____

მედიის წახალისების ჟურნალისტს უნდა მიერ დისკრიმინაციის საფრთხე ესმოდეს

_____

_____

5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

პრინციპების, ჩარევას, უფლებამოსილებად, ხელისუფლების, წარმომადგენლები, კანონმდებლობის

საქართველოს მედიის ..... ვცნობთ და ვაღიარებთ ქვემოთ ჩამოთვლილი ..... დაცვის ვალდებულებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას. საქართველოს ..... ფარგლებში, პროფესიულ საკითხებს მხოლოდ ჩვენივე კოლეგების ..... განვიხილავთ და გამოვრიცხავთ

..... ან სხვა ძალის ნებისმიერი სახით ..... ამ უფლებამოსილებების განხორციელებაში.

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. გამოხატვის	პასუხისმგებლობა
ბ. შეცდომაში	საქმიანობა
გ. პროფესიული	ცხოვრება
დ. პირადი	შეჰყავს
ე. მორალური	სცემს
ვ. პატივს	თავისუფლება

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 23. მასმედია და გენდერის საკითხები

მასმედია ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების ერთობლიობაა, რომელშიც იგულისხმება ტელევიზია, რადიო, ფილმები, კომპაქტდისკები და ჩანაწერები, კომპიუტერული პროგრამები, წიგნები, ჟურნალები და გაზეთები.

დღეს თითქმის ყველა ოჯახს აქვს ტელევიზორი, მისი ამუშავება შემეცნებითი უნარ-ჩვევების მხოლოდ მინიმუმს მოითხოვს. 65 წლამდე მიღწეულ ადამიანს საშუალოდ 9 წელი აქვს გატარებული ტელევიზორის წინ.

მრავალი ადამიანი შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ ტელევიზორი ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების გაღრმავებას. 1969-1985 წლების ყველაზე პოპულარული გადაცემების ანალიზის შედეგად ნენსი სინორიელიმ აღმოაჩინა, რომ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ქალი პერსონაჟების რიცხვი გაიზარდა და თითოეულ ახალ სეზონში ქალები არატრადიციულ როლებში გვევლინებოდნენ. მამაკაცი პერსონაჟების რიცხვი მაინც გაცილებით დიდი დარჩა – დაახლოებით სამი ერთთან. ქალი პერსონაჟები უფრო მეტ დროს სახლში ატარებენ, მით უმეტეს, თუ არ მუშაობენ და შვილები ჰყავთ. თუ ქალი პერსონაჟები მუშაობენ, მაშინ უმეტეს შემთხვევაში მათი სამუშაო დაბალანაზღაურებადი, არაპრესტიჟულია (ოფიციანტები, მდივნები, გამყიდველები). პოპულარული გადაცემების ქალი პერსონაჟების უმეტესობა უბრალოდ სილამაზით გამოირჩევა, მაშინ როდესაც მამაკაცები უფრო ხანდაზმულები და პრესტიჟული სამსახურის მქონენი არიან (ექიმები, იურისტები).

სინორიელიმ დაასკვნა, რომ ერთეული გამონაკლისის გარდა, სატელევიზიო პროგრამების გენდერულმა როლებმა 15 წლის განმავლობაში შეინარჩუნა ტრადიციული და კონსერვატული ხასიათი. ეს მდგომარეობა არ შეცვლილა გასული რამდენიმე წლის განმავლობაშიც. მიუხედავად იმისა, რომ შეინიშნება ქალი პერსონაჟების სამსახურების გამრავალფეროვნება, მათთვის დაკისრებული მოვალეობები ძირითადად მაინც სხვაზე ზრუნვითა და მოვლით შემოიფარგლება, განსხვავებით მამაკაცი პერსონაჟებისაგან, რომლებიც უფრო აქტიურად არიან ჩაბმულნი გადაწყვეტილებების მიღებისა და პოლიტიკურ პროცესებში. ისინი უფრო ხშირად არიან ლიდერები, ვიდრე ქალი პერსონაჟები.

ამგვარი გენდერული სტერეოტიპები აქტიურად გადაიცემა მასმედიის საშუალებით და დიდ ზეგავლენას ახდენს ბავშვებზე. მაგალითად, პოპულარული საბავშვო წიგნების შესწავლამ დაადასტურა, რომ თითქმის ყოველი მათგანი შეიცავდა გოგონებისა და ბიჭების, ქალებისა და კაცების მკვეთრად სტერეოტიპულ სახეებს. მამაკაცების 11 სურათზე ქალების ერთი სურათი მოდიოდა, ხოლო შესწავლილი წიგნების ერთი მესამედი მხოლოდ მამრობითი სქესის გმირებზე მოუთხრობდა მკითხველს.

რაც შეეხება ჟურნალებს, განცხადებები განსაკუთრებით ხაზს უსვამდა გენდერულ სტერეოტიპებს. საგაზეთო რეკლამები მამაკაცს აღწერს, როგორც მარტოსულებს, დამოუკიდებლებსა და ძლიერებს. ქალები კი უფრო ხშირად ეძებენ ნუგეშსა და სხვასთან კონტაქტს (მათი მზერიდან და ჟესტიკულაციიდან გამომდინარე).

ერთ-ერთმა ახალმა კვლევამ დაადასტურა, რომ ქალები სულ უფრო იშვიათად არიან მამაკაცებზე დამოკიდებული დიასახლისები, დღეს ისინი უფრო დამოუკიდებლები არიან და დიდ ყურადღებას აქცევენ საკუთარ სილამაზესა და გარეგნობას.

მოკლედ რომ ვთქვათ, იოლია მასმედიის როლის გაზვიადება გენდერულ სოციალიზაციაში. ის, რასაც ადამიანები იღებენ ტელევიზორიდან, ჟურნალებიდან და წიგნებიდან, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ახდენენ ისინი ამ ინფორმაციის ინტერპრეტირებას.

ტექსტზე მუშაობა

1. **ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. **შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:** გენდერი, ტელევიზია, გადაცემა, სტერეოტიპი, პრესტიჟული, პროგრამა, გაზეთი

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

რა არის მასმედია?

_____
_____

რითია შეშფოთებული მრავალი ადამიანი?

_____
_____

როგორ აღწერს საგაზეთო რეკლამები მამაკაცს?

_____
_____

როგორ აღწერს საგაზეთო რეკლამები ქალს?

_____

_____

რაზეა დამოკიდებული ის, რასაც ადამიანები იღებენ ტელევიზორიდან, ჟურნალებიდან და წიგნებიდან?

_____

_____

რა დაადასტურა ერთ-ერთმა ახალმა კვლევამ?

_____

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

გენდერულ გაზვიადება იოლია მასმედიის სოციალიზაციაში როლის

_____

უბრალოდ გადაცემების სილამაზით პერსონაჟების პოპულარული ქალი უმეტესობა გამოირჩევა

_____

მინიმუმს უნარ-ჩვევების მისი შემეცნებითი მხოლოდ მოითხოვს ამუშავება

_____

_____

5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

გადაწყვეტილებების, მოვალეობები, ზრუნვითა, განსხვავებით, პერსონაჟების, ლიდერები

მიუხედავად იმისა, რომ შეინიშნება ქალი ..... სამსახურების გამრავალფეროვნება, მათთვის დაკისრებული ..... ძირითადად მაინც სხვაზე ..... და მოვლით შემოიფარგლება, ... მამაკაცი პერსონაჟებისაგან, რომლებიც უფრო აქტიურად არიან ჩაბმულნი ..... მიღებისა და პოლიტიკურ პროცესებში. ისინი უფრო ხშირად არიან....., ვიდრე ქალი პერსონაჟები.

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____
_____
_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. გენდერული	ჩაბმული
ბ. ხელს	გადაცემა
გ. დროს	აქცევს
დ. არის	სოციალიზაცია
ე. ყურადღებას	ატარებს
ვ. პოპულარული	უწყობს

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 24. მასმედია და კულტურის გლობალიზაცია

კულტურა არასოდეს „სრულდება“, ის ცვალებადია. ის ყოველთვის განიცდის სხვადასხვა ხალხის, შემოქმედისა თუ მომხმარებლის ზემოქმედებას.

კულტურულ ცვლილებათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი კომუნიკაციების გზების ცვლილებაა. დღევანდელი ელექტრონული მედია ვრცელი კულტურული რევოლუციის დამასრულებელი ფაზაა.

ელექტრონულმა მედიამ შეამცირა მანძილები და გაზარდა ინფორმაციის მიწოდების სიჩქარე; გაიზარდა კომუნიკაციაში ჩართულთა რიცხვი. ბოლო ინოვაციები ტელეკომუნიკაციები და ქსელური კავშირებია. ინტერნეტი კომუნიკაციის გაფართოების საფუძველია. მისი მეშვეობით ადამიანები უზიარებენ ერთმანეთს აზრებს კერძებზე, განათლებაზე, სოციალურ მოძრაობებზე, პოლიტიკურ კამპანიებზე, იუმორზე, ბიზნესსა და სხვა თემებზე.

კომპიუტერული ქსელები აშკარად განსხვავდება სხვა საკომუნიკაციო საშუალებებისგან. აქ მოხსნილია პოლიტიკური თუ გეოგრაფიული საზღვრები, არ არსებობს დროის განცდა. მესიჯები წამის მეასედებში ლახავს სხვადასხვა ქვეყნის საზღვრებს, ოკეანეებს, მთებს, ქსელი მუშაობს 24 საათის განმავლობაში კვირაში შვიდი დღე შეუჩერებლად. აქ გამგზავნსა და მიმღებს თანაბარი შესაძლებლობები აქვს. არავინ იზღუდება ფიზიკური ნაკლის, სოციალური ვალდებულებების (ბავშვის ან მოხუცის მოვლა), ინვალიდობის, სოციალური დაბრკოლების (გარეგნობა, სიმორცხვე, ენის ბორძიკი და ა.შ.), სქესის, ასაკის, ეროვნული თუ რასობრივი წარმომავლობის გამო.

ეს არის ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას შესაძლებელი კომუნიკაცია, რომელიც ხალხს ადგილმდებარეობის მიუხედავად სოციალიზაციაში, მუშაობაში, საკუთარი თავის გაცნობაში ეხმარება.

მასმედიის როლის ზრდის ერთ-ერთი განმაპირობებელი გარემოება კულტურის გლობალიზაციაა. ინდონეზიაში დონალდ დაკის მულტფილმებს უყურებენ, აფრიკაში ფრანგულ პრესას ეცნობიან, ბრაზილიაში მაიკლ ჯექსონის სიმღერებზე ცეკვავენ. კულტურის ზეგავლენის გარეშე დღეს მსოფლიოში ძალიან ცოტა ადგილი თუ დარჩა.

გლობალიზაციის პროცესი ახალი დაწყებული არ გახლავთ. ადრეული იმპერიები და მსოფლიო რელიგიების ფართო მასშტაბებით გავრცელება ხშირად სხვადასხვა კულტურის მატარებელი ხალხისთვის საერთო კანონებს, ადათ-წესებს, რწმენას, სიმბოლოებს აწესებდა. მეოცე საუკუნემ პროცესი საგრძნობლად დააჩქარა. წარსულში კულტურული განშტოების ორი წამყვანი მედია _ მოგზაურობა და წერა-კითხვის ცოდნა იყო. ადამიანები სხვა ხალხების შესახებ მოგზაურობის, წიგნების, ხელოვნების ნიმუშების გაცნობით იგებდნენ. მასობრივი მიგრანტული ტალღის გარდა (აფრიკელი მონების შესვლა ამერიკაში) ეს პროცესი ელიტურ ფენებსაც ეხებოდა. აზიურ თუ აფრიკულ კოლონიებში სხვა კულტურების გაცნობის საშუალება უფრო მმართველ ფენებს ან ურბანისტებს ეძლეოდათ. ისინი უფრო განიცდიდნენ დასავლურ ზეგავლენას.

ჩვენს სინამდვილეში კულტურის განშტოებათა გაზრდა არა მხოლოდ კომუნიკაციების ზრდით, არამედ წერა-კითხვის მასობრივი გავრცელებით, ისეთი საერთაშორისო გლობალური ორგანიზაციების ზრდით, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შორ მანძილზე ტრანსპორტირების განვითარებითაა განპირობებელი.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია მიგრაცია. ბოლო დროს ინდოელებისა და პაკისტანელების მასობრივი ტალღა დიდი ბრიტანეთისკენ დაიძრა; აფრიკელები საფრანგეთში

გადავიდნენ, მექსიკელები _ ამერიკის შეერთებულ შტატებში. მიგრაცია არა მარტო ქმნის სუბკულტურებს, ახალ გლობალურ კულტურებსაც კი უდებს სათავეს.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: *კულტურა, გლობალიზაცია, ინტერნეტი, ქსელი, კომუნიკაცია, დააჩქარა, მანძილი*

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

როგორ იგებდნენ ადამიანები სხვა ხალხების შესახებ წარსულში?

_____
_____

რას უდებს სათავეს მიგრაცია?

_____
_____

რა არის მასმედიის როლის ზრდის ერთ-ერთი განმაპირობებელი გარემოება?

_____
_____

სად არის მოხსნილი პოლიტიკური თუ გეოგრაფიული საზღვრები?

_____

_____

რის ზემოქმედებას განიცდის ყოველთვის კულტურა?

_____

_____

რა არის კულტურულ ცვლილებათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი?

_____

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

მასობრივი ტალღის პროცესი მიგრანტული გარდა ეს ელიტურ ეხებოდა ფენებსაც

_____

_____

პროცესი გლობალიზაციის არ გახლავთ დაწყებული ახალი

_____

_____

კულტურების გაცნობის საშუალება სხვა უფრო ფენებს ეძლეოდათ მმართველ

_____

_____

5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

კოლონიებში, პროცესი, ურბანისტებს, ხელოვნების, მიგრანტული, დასავლურ

ადამიანები სხვა ხალხების შესახებ მოგზაურობის, წიგნების, ... ნიმუშების გაცნობით იგებდნენ. მასობრივი ..... ტალღის გარდა (აფრიკელი მონების შესვლა ამერიკაში) ეს ..... ელიტურ ფენებსაც ეხებოდა. აზიურ თუ აფრიკულ ..... სხვა კულტურების გაცნობის საშუალება უფრო მმართველ ფენებს ან ..... ეძლეოდათ. ისინი უფროგანიცდიდნენ ..... ზეგავლენას.

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. გლობალიზაციის	ფენა
ბ. უდებს	აზრს
გ. განიცდის	პროცესი
დ. უზიარებს	სათავეს
ე. ფართო	ზემოქმედებას
ვ. მმართველი	მასშტაბები

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 25. ტელევიზიის გამოგონება

სატელევიზიო მაუწყებლობები სათავეს იღებს გვიანი 1920-იანი წლებიდან. ტელევიზია გახდა აქტუალური ყველა სფეროში, თუმცა ძირითადად სანახაობრივი და საინფორმაციო ფუნქცია მიიღო. ბოლო წლებში ინტერნეტის განვითარებასთან ერთად აქტუალური გახდა ინტერნეტტელევიზია.

ტელევიზორი ეს არის ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება უკაბელოდ ვიდეო- და აუდიოინფორმაციის მისაღებად და საჩვენებლად ეკრანზე, თუმცა მას შეუძლია კაბელით დაკავშირების შემთხვევაში ვიდეოფირის ჩვენებაც.

პირველი კომერციული ტელევიზორი დამზადდა გერმანიაში 1934 წელს, შემდეგ უკვე საფრანგეთში (1936), ინგლისში (1936) და აშშ-ში (1938).

ყველაზე იაფი ტელევიზორი მეორე მსოფლიო ომამდე ღირდა 125$ (რომელიც ახლა ტოლფასია 1863 დოლარისა), რომელსაც ჰქონდა 8 სმ სიგრძის ეკრანი, ხოლო 30 სმ ეკრანიან ტელევიზორებს შორის ყველაზე იაფი ღირდა 445$ (6633$ ახლა).

ჯონ ლოგი ბერდის მიერ ტელევიზიის გამოგონება ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფურცელია. თუმცა ტელევიზიის იდეა გაცილებით ადრე არსებობდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსთვის მეცნიერების ჯგუფი ამ პროექტზე მთელი დატვირთვით მუშაობდა. ჯონ ლოგმა გამოიყენა ორი მეცნიერის აღმოჩენა:

1)ჰენრი ბეკერლმა აღმოაჩინა, რომ სინათლე ელექტროობაში გარდაიქმნება.

2)ფერდინანდ ბრაუნმა ელექტროსხივური მილაკი შექმნა.

1920 წლიდან მოყოლებული მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ცდილობდნენ ტელევიზიის შექმნას, ისინი მეცნიერებს დიდ დახმარებას უწევდნენ, მიუხედავად ამისა, მაინც არ ჩანდა კაცი, რომელიც ამას შეძლებდა.

თუმცა ბერდის გამოჩენამ ყველაფერი რადიკალურად შეცვალა. ის თავდაპირველად წინდებს და საპონს ყიდდა, მაგრამ ტელევიზიის შექმნის იდეამ მას თავისი ბიზნესის გაყიდვა გადააწყვეტინა, ერთი პერიოდი მას ისე გაუჭირდა, რომ ფულს მეგობრებისგან სესხულობდა, მან ყველაფერი შესწირა ამ პროექტს, რაც კი ჰქონდა.

და აი, ბერდმა შეძლო 1925 წლისთვის საზოგადოებისთვის ტელევიზიის პირველი ვარიანტი წარედგინა. 1927 წელს ფერადი ტელევიზორის შექმნა შეძლო, ხოლო 1928 წელს მას რეგულარული 30-წუთიანი გადაცემები ჰქონდა, რომელიც მსოფლიო მასშტაბით გადაიცემოდა.

1936 წლიდან მისი გამოგონება ბიბისიმ აითვისა და გამოყენება დაიწყო.

1940 წელს ბერდმა შექმნა სტერეო ფერადი ტელევიზია.

ქართული ტელევიზიის ისტორია დაიწყო 1956 წლის 30 დეკემბერს. ამ დღეს ცისფერი ეკრანიდან დიქტორმა ლია მიქაძემ პირველად მიმართა ქართველ მაყურებელს.

თბილისის ტელესტუდიის გახსნას წინ უძღოდა მოსკოვისა და ლენინგრადის ტელესტუდიების სამი ათეული წლის მოღვაწეობა. პირველი გადაცემები თბილისის სატელევიზიო ცენტრის გახსნას მიეძღვნა. ლექსი წაიკითხა იოსებ გრიშაშვილმა. საესტრადო ორკესტრის თანხლებითა და ც. ციცქიშვილისა და ე. გვაზავას მონაწილეობით შესრულდა კომპოზიტორ ა. კერესელიძის მიერ

სპეციალურად ამ დღისთვის დაწერილი სიმღერა. სიმღერის ფონზე ნაჩვენები იყო თბილისის ხედები. მოსკოვის ტელესტუდიის სახელით გამოვიდა ცნობილი რუსი დიქტორი ვ. ლეონტიევა. 1956 წლის 30 დეკემბრის პროგრამა ქართულმა ფილმმა „აბეზარამ“ დაასრულა.

ტექსტზე მუშაობა

1. **ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. **შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:** *ტელევიზორი, ტელევიზია, დიქტორი, ეკრანი, ტელესტუდია, კაბელი, ვიდეოფირი*

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. **უპასუხეთ კითხვებს:**

ვინ გამოიგონა ტელევიზორი?

_____

როდის შეიქმნა ფერადი ტელევიზორი?

_____

როდის წარუდგინა ბერდმა საზოგადოებას ტელევიზიის პირველი ვარიანტი ?

_____

როდის დაიწყო მაუწყებლობა ქართულმა ტელევიზიამ?

_____

ვინ იყო ქართული ტელევიზიის პირველი დიქტორი?

_____

რა ღირდა ტელევიზორი მეორე მსოფლიო ომამდე?

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

მიქაძემ მაყურებელს ამ დღეს ცისფერი ეკრანიდან ლია მიმართა დიქტორმა ქართველ პირველად

_____

_____

თბილისის სიმღერის ნაჩვენები იყო ხედები ფონზე

_____

ინტერნეტის ერთად ინტერნეტტელევიზია აქტუალური გახდა განვითარებასთან

_____

5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ტელევიზიის, პროექტს, პერიოდი, რადიკალურად, მეგობრებისგან, ბიზნესის

ბერდის გამოჩენამ ყველაფერი ..... შეცვალა, ის თავდაპირველად წინდებს და საპონს ყიდდა, მაგრამ ..... შექმნის იდეამ მას თავისი ..... გაყიდვა გადააწყვეტინა, ერთი ..... მას ისე გაუჭირდა, რომ ფულს ..... სესხულობდა, მან ყველაფერი შესწირა ამ ..... რაც კი ჰქონდა.

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. ცისფერი	ფუნქცია
ბ. ლექსი	მოწყობილობა
გ. შესრულდა	ორკესტრი
დ. საესტრადო	ეკრანი
ე. ელექტრონული	სიმღერა
ვ. საინფორმაციო	წაიკითხა

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 26. ტელემაუწყებლობა ამაზონიაში

1992 წ. ბრაზილიაში ამაზონიის ქალაქ გურუპაში (რომლის მოსახლეობაა 20. 000) პირველად ჩაირთო ტელემაუწყებლობა. არსებობის 370 წლის მანძილზე აქაურ მაცხოვრებლებს პირველად მიეცათ გარესამყაროსთან ვიდეო-აუდიო კონტაქტის საშუალება. მდინარე ამაზონის ირგვლივ გაშენებულ, ტროპიკულწვიმიანი ტყეებით გარშემოტყმულ გურუპასთან დაკავშირება მხოლოდ ნავით ან კერძო თვითმფრინავითაა შესაძლებელი. ეკონომიკა აქ ძირითადად სოფლის მეურნეობას, მეთევზეობას, ნადირობასა და ტყის პროდუქტების მოგროვებას ეფუძნება. მოსახლეობის 95% უკიდურესი გაჭირვების ზღვარზეა, ისინი ელექტროენერგიის გარეშე, უსახლკაროდ ცხოვრობენ. წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 40%-ს შეადგენს. 1950 წლამდე აქაური მოსახლეობა ინფორმაციას მოგზაურთა და ვაჭართა დახმარებით იგებდა. ბატარეებზე მომუშავე რადიომიმღებები აქ მხოლოდ 50-იან წლებში გაჩნდა. მაგრამ ბრაზილიურ კულტურასა და სხვადასხვა მოვლენასთან კავშირის დამყარება მხოლოდ ტელემაუწყებლობის შემოსვლით გახდა შესაძლებელი.

როგორ ზემოქმედებს ტელევიზია მსოფლმხედველობასა და სოციალური ინტერაქციის ნიმუშებზე?

ტელევიზიის გამოჩენამ არათუ გაზარდა მოსახლეობის იზოლაცია და პასიურობა, არამედ, პირიქით, გაზარდა საზოგადოების ინტეგრაციის დონე. საღამოობით, ახალი ამბების, ფეხბურთისა და ბრაზილიური ტელესერიალების ჩვენებისას, ფანჯრებზე მოთავსებული ტელემიმღებები გარეთ, ქუჩისკენ ტრიალდებოდა და ეკრანის ცქერის საშუალება უბრალო გამვლელებსაც კი ეძლეოდათ.

საზოგადოების ცხოვრების სტილი იცვლება. ტელევიზიის გამოჩენამდე ქუჩებში საღამოს ცხოვრება შვიდიდან ათ საათამდე აქტიურდებოდა. ხალხი ქუჩაში სეირნობას, კარების ზღურბლზე ჩამოჯდომასა და გამვლელ-გამომვლელის ყურებას არჩევდა. ერთობოდა საცეკვაო დარბაზებიდან გამოსული მუსიკის ჰანგებით და სხვ. ტელევიზიის გამოჩენასთან ერთად აქაური ქუჩები თითქმის დაცარიელდა. ბრაზილიაში აქტიურ ცხოვრებას ძირითადად მამაკაცები მისდევენ, ქალები ამ დროს სახლის საქმით არიან დაკავებულნი.

გურუპაში ტელევიზიის შემოსვლამ მოსახლეობას გარემო მსოფლიოს გაგების, დამატებითი ცოდნის შეძენის, რადიოსა და გაზეთების საშუალებით ინფორმაციის გაგების სურვილი გაუღვიძა.

დასავლეთში ტელევიზიის ყურებით გამოწვეული ეფექტურობა სტატუს კვოს ინარჩუნებს; გურუპაში მან აშკარად გაზარდა საზოგადოებრივი ფენის ცნობიერების ხარისხი. გაჩნდა აქაური მოსახლეობის რიო-დე-ჟანეიროსა და სან პაულოს საშუალო თუ მაღალ ფენებთან დაკავშირების იმპულსები. მაცხოვრებლების უმეტესობას გაუჩნდა კითხვები საკუთარი ცხოვრებისეული სტანდარტების შესახებ. ბევრმა არსებული სიღარიბე აქაურ სიზარმაცეს დააბრალა. ზოგმა მიზეზის ძებნა ადგილმდებარეობასა და შეზღუდული რესურსების პირობებში დაიწყო, ზოგმა კი _ ადგილობრივი ელიტის კორუმპირებულობასა თუ კაპიტალისტური წყობის ხასიათში, რომლის თანახმადაც კეთილდღეობა საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილის ხელში აღმოჩნდა. ტელევიზიას პოლიტიკურ შეხედულებებზე დიდი გავლენა არ მოუხდენია.

ბრაზილიის ხელისუფლება იმდენი ხნის განმავლობაში აკონტროლებდა პრესასა და პოლიტიკურ ამბებს, რომ დიქტატურის დასასრულმაც კი ვერ გააქრო მოსახლეობის სკეპტიციზმი.

ბევრი კამათობს ტელევიზიის ზეგავლენის თაობაზე ქცევასა და შემეცნებაზე. ეს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ტელევიზიის ზემოქმედება კულტურის მედიატორობის დახმარებით ხორციელდება.

დასავლეთისგან განსხვავებით, გურუპაში ტელემაუწყებლობის გამოჩენამ აშკარად გაზარდა მოსახლეობის საზოგადოებრივი ინტერაქცია, ცოდნის შეძენის სურვილი, სოციალური უთანასწორობით გამოწვეული უკმაყოფილების და აღშფოთების დონე.

ტექსტზე მუშაობა

1. **ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. **შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:** *ელექტროენერგია, ინფორმაცია, სიღარიბე, რადიო, კეთილდღეობა, ცოდნა, სურვილი*

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

რამდენი ადამიანი ცხოვრობს გურუპაში?

_____

როგორ იმოქმედა ტელევიზიის გამოჩენამ გურუპის მოსახლეობაზე?

_____
_____

როგორია ტელევიზიის ზემოქმედება?

_____
_____

რასთან დაკავშირებით გაუჩნდა გურუპის მაცხოვრებლების უმეტესობას კითხვები?

_____

_____

რითი არიან ძირითადად დაკავებული ქალები ბრაზილიაში?

_____

რას ინარჩუნებს დასავლეთში ტელევიზიის ყურებით გამოწვეული ეფექტურობა?

_____

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

მოსახლეობის საზოგადოებრივი გურუპაში გამოჩენამ აშკარად ტელემაუწყებლობის გაზარდა ინტერაქცია

_____

_____

ამბებს პრესასა ბრაზილიის აკონტროლებდა და პოლიტიკურ ხელისუფლება

_____

ცხოვრებას მამაკაცები ბრაზილიაში ძირითადად აქტიურ მისდევენ

_____

5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ელიტის, რესურსების, კაპიტალისტური, სტანდარტების, სიღარიბე, მიზეზის

მაცხოვრებლების უმეტესობას გაუჩნდა კითხვები საკუთარი ცხოვრებისეული ..... შესახებ. ბევრმა არსებული ..... აქაურ სიზარმაცეს დააბრალა. ზოგმა ..... ძებნა ადგილმდებარეობასა და შეზღუდული ..... პირობებში დაიწყო, ზოგმა კი _ ადგილობრივი ..... კორუმპირებულობასა თუ ..... წყობის ხასიათში.

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. მუსიკის	ყურება
ბ. კაპიტალისტური	მოახდინა
გ. ტელევიზიის	ჰანგები
დ. გავლენა	წყობა
ე. შეზღუდული	კორუმპირებულობა
ვ. ელიტის	რესურსები

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 27. ციფრული ტელევიზია

ციფრული ტელევიზიის განვითარების ისტორია პირობითად შეიძლება დავყოთ რამდენიმე ეტაპად, რომელთაგან თითოეული ხასიათდება სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებით, ექსპერიმენტული სისტემებით და მოწყობილობებით და შესაბამისი სტანდარტებით.

ციფრული ტელევიზიის ისტორიის პირველი ეტაპი ხასიათდება ტელესისტემების ცალკეულ ნაწილებში ციფრული ტექნიკის გამოყენებით, ამასთან, ნარჩუნდებოდა კავშირის ანალოგური არხები. ამ ეტაპზე სტუდიური მოწყობილობები გადაიტანება ციფრულ სიგნალზე. ციფრული ტელევიზიის განვითარების მეორე ეტაპია ჰიბრიდული ანალოგურ-ციფრული ტელესისტემების შექმნა, რომელთა პარამეტრები განსხვავდება ჩვეულებრივ სატელევიზიო სტანდარტებში მიღებულთაგან.

განვითარების მესამე ეტაპია სრული ციფრული სატელევიზიო სისტემების შექმნა. მას შემდეგ რაც ევროპასა და იოპონიაში გამოჩნდა მაღალი გარჩევადობის ანალოგურ-ციფრული სატელევიზიო სისტემები, შეერთებულ შტატებში 1987 წელს გამოცხადდა კონკურსი მაღალი გარჩევადობის სატელევიზიო სისტემის საუკეთესო პროექტზე, რომელიც დამტკიცდებოდა ეროვნულ სტანდარტად. პირველ წლებში კონკურსზე წარადგინეს რამდენიმე სხვადასხვა ანალოგური სისტემა. ზემოთ აღნიშნული ჰიბრიდული სატელევიზიო სისტემები, რომლებიც ითვალისწინებდნენ სიგნალის გადაცემას მხოლოდ თანამგზავრული არხებით, მალევე განხილვიდან მოიხსნა. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ამერიკის აშშ-ში მიწისზედა მაუწყებლობას ეწევა 1400-მდე კომპანია და ფართოდ არის განვითარებული საკაბელო მაუწყებლობა.

1990 წელს გამოჩნდა სრულიად ციფრული სატელევიზიო სისტემების პირველი შემოთავაზებები. ყოველწლიურად იზრდებოდა ასეთი პროექტების რაოდენობა და უმჯობესდებოდა მათი მახასიათებლები. 1993 წელს უკანასკნელი ანალოგური სისტემები საბოლოოდ მოიხსნა დღის წესრიგიდან, ხოლო ამავე წლის მაისში კომპანიების 4 ჯგუფი, რომლებსაც არსებითად მსგავსი პროექტები ჰქონდათ წარდგენილი, გაერთიანდა და სამომავლოდ მათ წარადგინეს ერთიანი პროექტი. ამ პროექტმა კონკურსში უპირობო გამარჯვება მოიპოვა და იქცა ამერიკის შეერთებულ შტატებში სრულიად ციფრული სატელევიზიო სისტემის სტანდარტის საფუძვლად.

ამჟამად ციფრული სატელევიზიო სისტემები მრავალ ქვეყანაში სწრაფად ვითარდება. ამასთან, უპირველესად წყდება გადაცემული ჩვეულებრივი გაფართოების ტელევიზიის პროგრამების რაოდენობის ზრდის ამოცანა, რადგან ეს სწრაფ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა.

ციფრული ტელევიზიის საერთაშორისო სტანდარტები, უპირველეს ყოვლისა, მიიღება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნის სტანდარტიზაციის ეროვნულ კომიტეტებს. ამ ორგანიზაციის შემადგენლობაში ფორმირდება ჯგუფები, რომლებიც დაკავებულნი არიან ტექნიკის სხვადასხვა დარგების სტანდარტიზაციის პრობლემებით.

ტექსტზე მუშაობა

1. **ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. **შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:** *ციფრული, ეტაპი, პროექტი, კომპანია, ტექნიკა, სიგნალი, საკაბელო*

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. **უპასუხეთ კითხვებს:**

პირობითად რამდენ ეტაპად შეიძლება დავყოთ ციფრული ტელევიზიის განვითარების ისტორია?

_____
_____

როდის გამოჩნდა სრულიად ციფრული სატელევიზიო სისტემების პირველი შემოთავაზებები?

_____
_____

რა შეიქმნა ციფრული ტელევიზიის განვითარების მეორე ეტაპზე?

_____
_____

რითი ხასიათდება ციფრული ტელევიზიის ისტორიის პირველი ეტაპი?

_____
_____

როგორია ამჟამად ციფრული სატელევიზიო სისტემების მდგომარეობა?

_____

_____

ვინ იღებს ციფრული ტელევიზიის საერთაშორისო სტანდარტებს?

_____

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

ქვეყანაში სწრაფად მრავალ ციფრული სისტემები ვითარდება სატელევიზიო

_____

სისტემების განვითარების მესამე ციფრული სატელევიზიო შექმნა სრული ეტაპია

_____

პროექტების ყოველწლიურად ასეთი რაოდენობა იზრდებოდა

_____

5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

წარადგინეს, კომპანიების, პროექტების, მსგავსი, მახასიათებლები, სისტემები

ყოველწლიურად იზრდებოდა ასეთი ..... რაოდენობა და უმჯობესდებოდა მათი ..... 1993 წელს უკანასკნელი ანალოგური ..... საბოლოოდ მოიხსნა დღის წესრიგიდან, ხოლო ამავე წლის მაისში ..... 4 ჯგუფი, რომლებსაც არსებითად ..... პროექტები ჰქონდათ წარდგენილი, გაერთიანდა და სამომავლოდ მათ ..... ერთიანი პროექტი.

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. დღის	ტელევიზია
ბ. საერთაშორისო	გადაცემა
გ. საკაბელო	წესრიგი
დ. ციფრული	იძლევა
ე. ეფექტს	მაუწყებლობა
ვ. სიგნალის	სტანდარტები

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 28. რადიოს ისტორია

მსოფლიოში პირველად რეგულარული რადიომაუწყებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ქ. პიტსბურგში 1921 წლის ნოემბერში დაიწყო.

გერმანიაში რეგულარული რადიოგადაცემები დაიწყო 1924 წელს, საქართველოში კი - 1925 წლის 23 მაისს ქ. თბილისში. ინფორმაცია ნახევრად კუსტარული რადიოსატელეფონო სადგურით გადაიცემოდა, რომელიც აწყობილი იყო უცხოური რადიოსატელეგრაფო გადამცემის APS-78-ის ბაზაზე. ეს იყო ამიერკავკასიაში პირველი სამაუწყებლო გადამცემი, რომელიც დღეში 1-2 საათი მუშაობდა.

საქართველოში პირველი რადიოსტუდია მოეწყო რადიოგადამცემი სადგურის ტერიტორიაზე არსებულ შენობაში 12 კვ.მ. ფართობზე. რადიოგადაცემებში მონაწილეები ახალ ამბებსა და სტატიებს უშუალოდ გაზეთებიდან კითხულობდნენ, ატარებდნენ ტექნიკური სახის კონსულტაციებს რადიოპროგრამების მიღების შესახებ. გადამცემი სადგურის მოქმედების ზონა 25-30 კმ. რადიუსი იყო.

1927 წელს იმავე ტერიტორიაზე დამონტაჟდა რადიოსამაუწყებლო სადგური. რადიოსტუდია 90 კვ.მ ფართობზე იყო განთავსებული სასტუმრო „თბილისის“ შენობაში და საჰაერო კავშირით დაკავშირებული იყო გადამცემ სადგურთან.

1927 წლის იანვრის მეორე ნახევრიდან გადაცემათა პროგრამა იბეჭდებოდა გაზეთებში.

რადიოგადაცემაში მიკროფონთან პირველი გამოვიდა მომღერალი დ. ბადრიძე.

1928 წლის ბოლოსათვის ქ.თბილისში, კიროვის ქუჩაზე, მოეწყო ახალი რადიოსამუწყებლო სტუდია.

ქ.თბილისში 1990 წლამდე დიდი პოპულარობით სარგებლობდა სადენიანი რადიომაუწყებლობა. აბონენტთა საერთო რაოდენობა 300 ათასს აღწევდა. შემდგომ პერიოდში მოკლეტალღოვანი რადიომაუწყებლობის და ტელემაუწყებლობის სწრაფი ტემპით განვითარებასთან ერთად სადენიანი მაუწყებლობა მორალურად მოძველდა და პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა.

საინტერესოა ერთი ისტორია ცნობილი ქართველი რადიოინჟინრის ზურაბ თოფურიას შესახებ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ჯარები დაეუფლნენ ბერლინში განლაგებულ რადიოსადგურებს. ეს რადიოსადგურები ჩამოიტანეს მოსკოვში და სწრაფად დაამონტაჟეს.

როგორც კი სპეციალისტებმა რადიოსადგური დაამონტაჟეს, მაშინვე შეუდგნენ რეგულირების სამუშაოების შესრულებას, მაგრამ შედეგი არ ჩანდა, რადიოსადგური დუმდა. სსრკ-ს ცნობილი სპეციალისტები დღედაღამ უშედეგოდ უტრიალებდნენ მაშინდელი სტანდარტებით მაღალი გერმანული ტექნოლოგიებით დამზადებულ აპარატურას, მაგრამ ამაოდ. მაშინ ერთ-ერთ სპეცილისტს გაახსენდა ზურაბ თოფურია და გადაწყვიტეს მისი ამ საქმეში ჩართვა.

ქართველმა ინჟინერმა ყურადღებით მოუსმინა იმედგადაწურულ სპეციალისტებს, ანალიზი გაუკეთა მათ მიერ შესრულებულ სამუშაოებს და ბოლოს უთხრა მარტო დაეტოვებინათ რადიოსადგურში, მხოლოდ მიეტანათ ორი-სამი დღის საკვები. ორ დღეში მან ეს სამუშაო შეასრულა.

ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე რადიომაუწყებლობას 46 კომპანია ახორციელებს.

ტექსტზე მუშაობა

1. **ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. **შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:** *რადიოსადგური, აპარატურა, აბონენტი, რადიოინჟინერი, რეგულირება, ტექნოლოგია, პროგრამა*

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

სად დაიწყო მსოფლიოში პირველად რეგულარული რადიომაუწყებლობა?

_____

როდის დაიწყო მსოფლიოში პირველად რეგულარული რადიომაუწყებლობა?

_____

რამდენი კომპანია ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე რადიომაუწყებლობას ამჟამად?

_____

ვინ იმღერა პირველად ქართულ რადიოგადაცემაში?

_____

რომელ წლამდე იყო პოპულარული სადენიანი რადიომაუწყებლობა თბილისში?

_____

რომელ წელს დამონტაჟდა რადიოსამაუწყებლო სადგური თბილისში?

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

ქართველმა იმედგადაწურულ ყურადღებით სპეციალისტებს ინჟინერმა მოუსმინა

_____

ამბებს მონაწილეები გაზეთებიდან რადიოგადაცემებში უშუალოდ ახალ და სტატიებს კითხულობდნენ

_____

_____

აპარატურას გერმანული უტრიალებდნენ ტექნოლოგიებით სპეციალისტები უშედეგოდ დამზადებულ

_____

_____

5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

სადენიანი, განვითარებასთან, პრაქტიკულად, პოპულარობით,
აბონენტთა, რადიომაუწყებლობის

1990 წლამდე დიდი ..... სარგებლობდა სადენიანი რადიომაუწყებლობა. ..... საერთო რაოდენობა 300 ათასს აღწევდა. შემდგომ პერიოდში მოკლეტალღოვანი ..... და ტელემაუწყებლობის სწრაფი ტემპით ..... ერთად ..... მაუწყებლობა მორალურად მოძველდა და ..... შეწყვიტა არსებობა.

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

10. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. მოქმედების	სამუშაო
ბ. მორალურად	რადიომაუწყებლობა
გ. ატარებს	მოძველდა
დ. საქმეში	ზონა
ე. შესრულებული	ჩართვა
ვ. რეგულარული	კონსულტაციებს

11. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 29. ტელერეპორტაჟი

რეპორტაჟი - ეს არის დღის განმავლობაში მომხდარი ამბების შესახებ ცნობათა შედგენა პრესისა და რადიოსათვის; ასეთი ცნობა, მოთხრობა, გამოქვეყნებული პრესაში ან გადაცემული რადიოთი (ტელევიზიით).

საინფორმაციო პროგრამების მომზადება ტელეკომპანიების ყოველდღიური საქმიანობის ძირითადი ნაწილია. ახალი ამბები ორიენტირებული უნდა იყოს მრავალფეროვან აუდიტორიაზე - მაყურებელზე.

რეპორტიორის ამოცანაა მაყურებლისათვის შინაარსობრივად გამართული და სასარგებლო, ამასთან, სანდო ინფორმაციის მიწოდება - იმისათვის, რომ მოიპოვოთ და შეინარჩუნოთ მაყურებლის ნდობა და შექმნათ თქვენდამი ლოიალური აუდიტორია, რეპორტაჟი სარწმუნო უნდა იყოს.

მაყურებლის ნდობის მოსაპოვებლად რეპორტიორმა უნდა გადმოსცეს მხოლოდ შემოწმებული ფაქტები.

ტელერეპორტაჟები გარკვევით უნდა იყოს დაწერილი, გადაღებული და გადმოცემული.

ამასთან, ავტორის კომენტარი უნდა იყოს ადვილად გასაგები და კარგად ჩამოყალიბებული, ლექსიკა - ზუსტი და ადვილად გასაგები, სიუჟეტის ტემპი და რიტმი მაყურებელს საშუალებას უნდა აძლევდეს, მიჰყვეს თხრობას ყურადღების გაფანტვის გარეშე;

აუცილებელია მასალის მონტაჟი, რაც გულისხმობს მოვლენის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის ამორჩევასა და რეალური დროის შეკვეცას, - წინააღმდეგ შემთხვევაში საინფორმაციო გამოშვებები გაგრძელდებოდა არა რამდენიმე წუთის, არამედ რამდენიმე საათის განმავლობაში.

ვიდეომონტაჟი თავისი არსით ტექსტის რედაქტირებას ჰგავს.

მოვლენების წარმატებით გასაშუქებლად და საინფორმაციო პროგრამების მოსამზადებლად საჭიროა რეპორტიორების, ოპერატორების, რედაქტორებისა და პროდიუსერების ურთიერთშეთანხმებული მუშაობა.

რეპორტიორმა ყოველთვის უნდა აცნობოს ოპერატორს, რომელი კონკრეტული სცენები ან კადრები სჭირდება სიუჟეტის მოსამზადებლად. რეპორტიორი და ოპერატორი წინასწარ უნდა თათბირობდნენ სიუჟეტის გადაღების გეგმაზე, თუ განსაკუთრებულ სიტუაციაში არ უხდებათ მუშაობა.

საბოლო პასუხისმგებლობა მხოლოდ რეპორტიორმა უნდა იტვირთოს გადაცემული მასალის სიზუსტესა და სანდოობაზე. ის უნდა იყოს ეთერში გასული ინფორმაციის ყოველმხრივ გაწონასწორებულობისა და სიზუსტის გარანტი.

რეპორტაჟს ამზადებს გადამღები ჯგუფი, რომელშიც, ჩვეულებრივ, შედიან რეპორტიორი და ოპერატორი. ზოგჯერ ამ ორ ფუნქციას ერთი პირი ითავსებს.

რეპორტიორი გაზეთის, ჟურნალის, რადიოს, საინფორმაციო სააგენტოს თანამშრომელია, რომელიც აგროვებს ცნობებს სხვადასხვა ამბისა და შემთხვევის შესახებ.

ორკაციან გუნდში ორივე წევრი ჟურნალისტია. რადგან მთელი პასუხისმგებლობა ეთერში გადაცემული მასალის სიზუსტესა და სანდოობაზე, ჩვეულებრივ, რეპორტიორს ეკისრება, გუნდის ლიდერის როლსაც ის ასრულებს.

რეპორტიორმა უნდა მოიპოვოს სიუჟეტის ოპერატიული მომზადებისთვის საჭირო ინფორმაცია. მან ოპერატორს უნდა მიაწოდოს თავის ხელთ არსებული მთელი ინფორმაცია.

ოპერატორი, თავის მხრივ, რეპორტიორს უნდა უზიარებდეს თავის ყველა პროფესიულ მოსაზრებას.

დამოუკიდებლად მუშაობისას ოპერატორის პასუხისმგებლობა იზრდება. ამ შემთხვევაში მან უნდა იტვირთოს რეპორტიორის როლიც - მასალის მოსამზადებლად საჭირო დოკუმენტური ფაქტებისა და ინფორმაციის შეგროვება.

რეპორტიორი კარგად უნდა ერკვეოდეს თანამედროვე ვიდეოაპარატურაში და ესმოდეს, რის გადაღება შეიძლება კონკრეტული კამერით და რის - არა. განსაკუთრებულ პრობლემებთან არის დაკავშირებული მიკროფონების გამოყენება.

ტექსტზე მუშაობა

1. **ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. **შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:** *რეპორტიორი, ოპერატორი, კამერა, მიკროფონი, სიუჟეტი, მასალა, მონტაჟი*

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

ვინ ამზადებს რეპორტაჟს ?

_____

რა არის რეპორტიორის ამოცანა?

_____
_____

ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ეთერში გადაცემული მასალის სიზუსტესა და სანდოობაზე?

_____

_____

რა არის რეპორტაჟი?

_____

_____

რაზე უნდა იყოს ორიენტირებული ახალი ამბები?

_____

_____

რა უნდა გააკეთოს რეპორტიორმა მაყურებლის ნდობის მოსაპოვებლად?

_____

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

საჭირო სიუჟეტის მომზადებისთვის ოპერატიული რეპორტიორმა უნდა მოიპოვოს ინფორმაცია

_____

_____

ვიდეომონტაჟი რედაქტირებას არსით ტექსტის ჰგავს თავისი

_____

_____

მიკროფონების დაკავშირებული პრობლემებთან არის გამოყენება განსაკუთრებულ

_____

_____

5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ინფორმაცია, რეპორტიორს, პროფესიულ, ოპერატიული, როლიც, ოპერატორის

რეპორტიორმა უნდა მოიპოვოს სიუჟეტის ..... მომზადებისთვის საჭირო ინფორმაცია. მან ოპერატორს უნდა მიაწოდოს თავის ხელთ არსებული მთელი ..... ოპერატორი, თავის მხრივ, ... უნდა უზიარებდეს თავის ყველა ..... მოსაზრებას. დამოუკიდებლად მუშაობისას ..... პასუხისმგებლობა იზრდება. ამ შემთხვევაში მან უნდა იტვირთოს რეპორტიორის .....

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. პასუხისმგებლობა	აუდიტორია
ბ. მასალის	გამართული
გ. ინფორმაციის	გადაღება
დ. ლოიალური	იზრდება
ე. შინაარსობრივად	სანდოობა
ვ. სიუჟეტის	შეგროვება

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე

თემა 30. ინტერვიუ

ტელერეპორტაჟში ინტერვიუ ყველაზე ეფექტურად გამოიყენება მაშინ, როცა მისი საშუალებით მაყურებელს აცნობთ თვისობრივად ახალ ინფორმაციას. რესპონდენტის აზრი რეპორტაჟში მოცემულ მასალას გარკვეულ წონას მატებს.

როდესაც მაყურებელი ხედავს რესპონდენტს, შეუძლია შეაფასოს, რამდენად სანდოა მისი ინფორმაცია.

საინფორმაციო პროგრამები, როგორც წესი, უნდა აჩვენებდნენ იმას, რის შესახებაც საუბრობენ. მაგრამ, როცა ხელთ არა გაქვთ საჭირო ვიდეომასალა, მაშინ ამ მოვლენის აღწერის ერთადერთ საშუალებად რჩება ინტერვიუ.

ინტერვიუს ჩართვა სიუჟეტში არ უნდა იყოს თვითმიზანი. ყოველთვის ეცადეთ გაარკვიოთ, დაგეხმარებათ სიუჟეტის განვითარებაში ინტერვიუს ჩართვა თუ, პირიქით, გაფანტავს მაყურებლის ყურადღებას.

რამდენიმე პრაქტიკული რჩევა ინტერვიუს აღებისას:

- თქვენდამი მტრულად განწყობილ რეპონდენტებს მიეცით საშუალება, ბოლომდე გამოთქვან საკუთარი აზრი. ნუ შეაწყვეტინებთ ლაპარაკს. მოისმინეთ ყველაფერი, რისი თქმაც უნდათ და მხოლოდ ამის შემდეგ, თუ შეამჩნევთ რაიმე წინააღმდეგობას ან პასუხისაგან თავის არიდების მცდელობას, გამოთქვით თქვენი აზრი.
- თუ ადამიანი პასუხებს თავს არიდებს, მიეცით ამის საშუალება რამდენიმე უბრალო კითხვაზე, მაგრამ შემდეგ აიძულეთ, გაგცეთ პასუხი თქვენი საუბრის უმთავრეს საკითხზე. თუ ვერ მიიღეთ პასუხი კითხვაზე, გაიმეორეთ რამდენადმე შეცვლილი სახით. არ გადახვიდეთ შემდეგ შეკითხვაზე, ვიდრე ბოლომდე არ გაარკვევთ მოცემულ საკითხს. უარი ან პასუხისთვის თავის არიდება შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ თქვენ შეეხეთ რესპონდენტისთვის მნიშვნელოვან თემას, რომელზედაც არ სურს საუბარი. დაუყოვნებლივ გაიმეორეთ შეკითხვა, ვიდრე მოსაუბრის არადამაკმაყოფილებელი პასუხი ჯერ კიდევ ნათლად გახსოვთ და შეეცადეთ, რომ მომდევნო პასუხი იყოს უფრო გასაგები.
- ინტერვიუს მიზანია გაიგოთ, თუ რატომ აკეთებს ადამიანი ამასა და ამას, რას ფიქრობს, როგორია მისი შეხედულება. თქვენს კითხვაში უნდა გამოიკვეთოს „რატომ“, „როგორ“, „ეს რას ნიშნავს“. გასაგებად ჩამოაყალიბეთ შეკითხვები.
- შეკითხვაში ნუ გამოთქვამთ საკუთარ მოსაზრებებს. მაყურებელს აინტერესებს რესპონდენტის და არა რეპორტიორის აზრი.
- იყავით ფრთხილად, რომ რესპონდენტმა არ გამოიყენოს უცენზურო სიტყვები ან ჟარგონი. ურჩიეთ ილაპარაკოს საზოგადოებაში მიღებული სიტყვებით. გააგებინეთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შეძლებთ ინტერვიუს ეთერში გაშვებას.

როგორც წესი, ინტერვიუს დროს საუბრობთ კომპეტენტურ პირთან. რამდენიც უნდა ემზადოთ ინტერვიუსთვის, მას მაინც მეტი ეცოდინება არჩეული თემის გარშემო, ამიტომ წინასწარ ბევრი იმუშავეთ დასასმელ კითხვებზე, - თქვენი მიზანია რესპონდენტისგან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება.

ტექსტზე მუშაობა

1. **ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:**

---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2. **შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:** *ინტერვიუ, რესპონდენტი, ინფორმაცია, თემა, შეკითხვა, პასუხი, ეთერი*

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

3. უპასუხეთ კითხვებს:

როდის გამოიყენება ტელერეპორტაჟში ინტერვიუ ყველაზე ეფექტურად?

_____
_____

რა არის ინტერვიუს მიზანი?

_____
_____

რამდენად მნიშვნელოვანია რესპონდენტის აზრი რეპორტაჟში მოცემულ მასალისთვის?

_____

როგორ უნდა მოიქცეს რეპორტიორი, თუ ადამიანი პასუხებს თავს არიდებს?

_____
_____

როგორც წესი, რას უნდა აჩვენებდნენ საინფორმაციო პროგრამები?

_____
_____

უნდა გამოთქვას თუ არა რეპორტიორმა საკუთარი მოსაზრებები რესპონდენტთან მუშაობისას?

_____

4. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები

მიზანია რესპონდენტისგან თქვენი მნიშვნელოვანი მიღება ინფორმაციის

_____

_____

აღწერის ამ ერთადერთ რჩება ინტერვიუ საშუალებად მოვლენის

_____

_____

შეძლებთ ეთერში წინააღმდეგ ვერ ინტერვიუს გაშვებას შემთხვევაში

_____

_____

5. ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

გაიმეორეთ, არადამაკმაყოფილებელი, რესპონდენტისთვის, არიდება, პასუხი, შეკითხვაზე

არ გადახვიდეთ შემდეგ ....., ვიდრე ბოლომდე არ გაარკვევთ მოცემულ საკითხს. უარი ან პასუხისთვის თავის ..... შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ თქვენ შეეხეთ ..... მნიშვნელოვან თემას, რომელზედაც არ სურს საუბარი. დაუყოვნებლივ ..... შეკითხვა, ვიდრე მოსაუბრის ..... პასუხი ჯერ კიდევ ნათლად გახსოვთ და შეეცადეთ, რომ მომდევნო ..... იყოს უფრო გასაგები.

6. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

ა. ინტერვიუს	ლაპარაკს
ბ. აწყვეტინებთ	გაშვება
გ. თავის	რჩევა
დ. ეთერში	პირი
ე. პრაქტიკული	აღება
ვ. კომპეტენტური	არიდება

8. შეავსეთ ცხრილი:

რა ვიცოდი	რა ვიცი	რა მინდა ვიცოდე